CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## უმაღლესი სასწავლებლების ნაწილი დაიხურება?

რა ცვლილებები შედის განათლების კანონში?

11

N20/3336/ 19-23 თებერვალი 2016 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

ახმეტაში ნასვამი ზვიადაური ჯერ მანქანას, შემდეგ კი სახლს შეეჯახა – არიან დაშავებულები



6

პრემიერი კვირიკაშვილი ონლაინ კაზინოების დახურვას აპირებს

რას უპასუხებენ „ალიას“ კაზინოების მფლობელები?



9

4 წლის ბავშვის დედამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა – რას აცხადებენ მეზობლები მოძალადე მამაზე



4

ვინ და რატომ ცდილობს საპატრიარქოს პოლიტიკაში ჩართვას?



4

„საზაფხულოდ ევროპულ და ამერიკულ ავტომობილებზე ფასები გაიზრდება“



8

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გოგი თოფაძე მართალია – რატომ დუმს და რას ელოდება ბიძინა ივანიშვილი



7

## „ქართული ოცნების“ გასაუქმებელი სამინისტროების სია

5

## რა შემოსავალი და რა ქონება აქვს „უმწეო“ პროკურორს, რომლის შვილსაც ნარმანიამ საფრანგეთში სწავლა დაუფინანსა



2



13

# ფატუ ბენსუდა საქართველოსთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს



სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გუნდის საქართველოში ბოლო ვიზიტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა განცხადებას ავრცელებს:

– რისთვის იმყოფება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გუნდი ამ კვირას აქ, საქართველოში? პირველ რიგში, შეხვედრებმა საშუალება მოგვცა, აგვეხსნა, როგორ მუშაობს სასამართლო, რა შედის სასამართლოს ე.წ. „ორგანოების“ ფუნქციებში. გარდა ამისა, საშუალება მოგვეცა, განგვემარტა სასამართლო პროცედურების შემდგომი ეტაპები. დაბოლოს, საშუალება მოგვეცა, გვემსჯელა იმის თაობაზე, რას მოითხოვს და რა პროცედურებს მოიცავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა.

კიდევ ერთხელ მინდა ყურადღება გავამახვილო ჩემ მიერ უკვე გაკეთებულ განცხადებაზე: მოცემული გამოძიების არც ერთი ნაწილი არ გასაჯაროვდება. ის არის და დარჩება სრულიად კონფიდენციალური. ეს საჭიროა იმისთვის, რომ გამოძიება და მტკიცებულებათა შეგროვება წარიმართოს მიუკერძოებლად და ასევე, იმისთვის, რომ შევასრულოთ ჩვენი სამართლებრივი და ფიდუციური ვალდებულებები მოწმეების და იმ პირთა მიმართ, რომლებთანაც ურთიერთობა გვექნება გამოძიების მსვლელობაში.

გამოძიება გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც დასჭირდება მტკიცებულებების შეგროვებას და დამოკიდებული იქნება რესურსებზე, უსაფრთხოებასა და თანამშრომლობაზე. როდესაც ამის დრო მოვა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს შუამდგომლობით მივმართავ, რათა მათ გასცენ იმ პირთა დაკავების ან სასამართლოში გამოცხადების ბრძანება, რომლებიც მიჩნეულნი იქნენ სავარაუდო დანაშაულის ჩამდენ პირებად ჩვენი დამოუკიდებელი გამომძიებლების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ძალაზე დაყრდნობით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გამოძიებას არ ვიწყებთ კონკრეტული ეჭვმიტანილების გათვალისწინებით. ჩვენ არ გვაქვს ეჭვმიტანილების ან სამიზნეების სია. აბსოლუტურად ნათელი უნდა იყოს, რომ მხოლოდ ჩვენი გამოძიების დასასრულს, მას შემდეგ, რაც შევაგროვებთ და განვიხილავთ ყველა საჭირო მტკიცებულებას, ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული იქნებიან ეჭვმიტანილები, - აღნიშნულია ბენსუდას განცხადებაში. (kvira.ge)

# რა შემოსავალი და რა ქონება აქვს „უმწეო“ პროკურორს, რომლის შვილსაც ნარმანიამ საფრანგეთში სწავლა დაუფინანსა





მელია ნარმანიას გერგედავასთვის დაფინანსების უკანონოდ გამოყოფაში ადანაშაულებს. ჰოდა, თამამად შეიძლება, ამ ამბავს „მეგრელების საქმე“ ვუწოდოთ, რომელიც შესაძლოა, ნარმანიას თანამდებობის დაკარგვად დაუჯდეს.

მივყვეთ თანმიმდევრულად – „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ნიკა მელია დავით ნარმანიას მიერ ხელმოწერილ სკანდალურ დოკუმენტს ასაჯაროებს.

ნიკა მელიას მიერ მოპოვებული დოკუმენტის მიხედვით, თბილისის მერიამ ქალაქის ბიუჯეტიდან ისანი-სამგორის რაიონული პროკურორის, ლეონიდ გერგედავას შვილს პარიზში სწავლის მიზნით, ცხოვრების ხარჯები დაუფინანსა.

– ნარმანიამ გამოსცა ბრძანება და სოციალური დახმარებისთვის განკუთვნილი მუხლიდან გამოუყო 5400 ლარი, საიდანაც სოციალურად დაუცველები, უსახლკაროები უნდა ფინანსდებოდეს. ეს არის ცინიზმი და ნარმანიამ უნდა ახსნას, რამ გაამწარა, რამ გააკეთებინა ეს სისულელე და ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის ხელმძღვანელი გერგედავა დაკავებული თანამდებობიდან უნდა განთავისუფლდეს, – განაცხადა ნიკა მელიამ.

მისი თქმით, შესაბამისი ბრძანება თბილისის მერის, დავით ნარმანიას სახელზეა გამოცემული.

თბილისის მერის მიერ ხელმოწერილ სკანდალურ დოკუმენტს საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილიც გამოეხმაურა.

მისი თქმით, გადაწყვეტილების მიმღები აუცილებლად დასასჯელია.

– ეს არის უსინდისობა და დანაშაული, აუცილებლად გამოსაკვლევი და დასასჯელია, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, ნარმანიამ პასუხი უნდა აგოს, რატომ ფლანგავს ასე ფულს, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

სკანდალურ დოკუმენტს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ირაკლი აბესაძეც აფასებს.

– რაც მერიაში ხდება, ეს არის უპასუხისმგებლობის, უკონტროლობისა და თავგასულობის, ასევე, მაღალი რანგის თანამდებობის პირის მხრიდან თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნათელი მაგალითი, – აცხადებს ირაკლი აბესაძე.

ახლა უშუალოდ ბრძანების ტექსტის იმ ნაწილზეც გადავიდეთ, რომელშიც თანხის გაცემაზეა საუბარი:

**„დაკმაყოფილდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის შუამდგომლობა და მოქალაქე ... საზღვარგარეთ, საფრანგეთში (პარიზი) სწავლის მიზნით საცხოვრებელი ხარჯების ასანაზღაურებლად მისი ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით გამოეყოს 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარი“.**

მელია და აბესაძე ხაზს უსვამენ იმას, რომ, როცა თბილისში უამრავი სტატუსშეჩერებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტია, ნარმანია პროკურორის შვილს არ უნდა აფინანსებდესო.

საერთოდ, „ნაციონალურ მოძრაობას“ გადასარევად აქვს „დამუღამებული“, განცხადებები „ათიანში“ გაარტყან ხოლმე, აი, „ოცნება“ კი პირდაღებული ხვდება თითოეულ ასეთ შეტევას - ან სათქმელი არ აქვს არაფერი, ან კიდევ ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია...

„ალია“ შეეცადა, მერიისგან კითხვებზე პასუხები მიეღო, თუმცა კატეგორიულად გვითხრეს, რომ კომენტარს არ გააკეთებდნენ და მოგვიანებით „ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებებს ოფიციალური განცხადებებით უპასუხებდნენ.

დღის მეორე ნახევარში თბილისის მერიამ განცხადება მართლაც გაავრცელა, რომლითაც, ასე თუ ისე, რაღაც კითხვებზე პასუხები კი მივიღეთ, მაგრამ მედიასთან და საზოგადოებასთან მხოლოდ განცხადებებით ურთიერთობა ძალიან დიდი შეცდომაა - დარჩა მაინც ღია საკითხები და იმიტომ!

აი, მაგალითად – „ნაც-მოძრაობის“ მიერ გასაჯაროებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, დაფინანსება მოქალაქეზე ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა გაიცესო, თუმცა მედლის მეორე მხარეა ის, რომ რთული დასაჯერებელი და სირცხვილიც კია, პროკურორის ოჯახს „მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა“ ჰქონდეს. მით უმეტეს, პროკურორის ხელფასი დაახლოებით 1900 ლარია, რაც საშუალო ხელფასზე გაცილებით მაღალი და სოლიდური თანხაა.

გარდა ამისა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ თემაზე რომ საფუძვლიანად იმუშავა და ყველაფრისთვის მოემზადა, პროკურორ გერგედავას ქონებრივი დეკლარაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებითაც ირკვევა.

როგორც აღმოჩნდა, ისნის რაიონის პროკურორმა, ლეონიდ გერგედავამ ბოლო ქონებრივი დეკლარაცია 2015 წლის აგვისტოში შეავსო, რომლის მიხედვითაც მისი ოჯახის საკუთრებაშია თბილისში, 168 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა და ლიკანში 1260 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი. ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა გერგედავას ორ ვალუტაში აქვს მითითებული. 4900 ლარი და 1000 ევრო. გერგედავას მიერ პროკურატურის ხელმძღვანელის პოსტზე, წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი 38 560 ლარს შეადგენს...

მერიის განცხადებაში ვკითხულობთ:

„2015 წლიდან დღემდე ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდიდან სწავლა 111 მოქალაქეს დაუფინანსდა. რაც შეეხება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სტუდენტებს, 2015 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე „სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდა 2 553 განცხადება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში რაიმე სახის სამართლებრივი გადაცდომა არ ფიქსირდება, საკითხთან დაკავშირებით, უკვე ინფორმირებულია მერიის შესაბამისი სამსახურები, რის საფუძველზეც დაწყებულია შიდააუწყებრივი მოკვლევა, კერძოდ, ჩნდება კითხვა, რის საფუძველზე მიუთითა მერიის თანამშრომელმა ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მოკვლევის დასრულების შემდეგ, საზოგადოებას სრულყოფილ ინფორმაციას მივაწვდით. შესაბამისი დასაბუთების არარსებობის შემთხვევაში, თანამდებობას დატოვებს ყველა ის პირი, ვინც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გასცა არასწორი ინფორმაცია და რეკომენდაცია“, – აღნიშნულია განცხადებაში.

**რა თქმა უნდა, სტუდენტები უნდა ფინანსდებოდნენ - გინდ პროკურორის შვილები, გინდ ჟურნალისტებისა და გინდ ზეინკლების, მაგრამ, როცა საკითხი ბუნდოვანია, როცა კითხვები ჩნდება, მერიამ კეთილი უნდა ინებოს და ყველაფერს ამომწურავად უპასუხოს და არა ასეთი ზოგადი განცხადებით.**

**მაგალითად, ერთ-ერთი მთავარი პასუხგაუცემელი კითხვაა - ვინ შეაფასა პროკურორის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და რა კრიტერიუმებით?!**

# კუკავა: დღეს ქოცმანდერინგით არის დაკავებული დღევანდელი ხელისუფლება

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ვენეციის კომისიისგან, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, კონკრეტულ რეკომენდაციებს ელოდება.

– ვფიქრობ, იქნება კონკრეტული რეკომენდაცია, რომ ოლქის საზღვრები არ შეესაბამება ევროპულ პრაქტიკას და ჩვენს პრეზენტაციაშიც, რომელსაც ეწოდებოდა ჯერი მანდერინგი, აქცენტი იყო გაკეთებული ამაზე. ანალოგია არის ჯერი მენდერინგის პრაქტიკისგან, რომელიც ასი წლის წინათ, ამერიკაში იყო ერთ-ერთი შტატის სენატორი და რომელმაც შეცვალა საარჩევნო ოლქის საზღვრები, რის შემდეგაც დამკვიდრდა ეს ტერმინი, ჯერი მანდერინგი, რაც ნიშნავს, რომ საარჩევნო ოლქის საზღვრების შეცვლა ისეთნაირად, რომ შენთვის სასარგებლო იყოს შემადგენლობა. დღეს ქოცმანდერინგით არის დაკავებული დღევანდელი ხელისუფლება, – განაცხადა კუკავამ. (news.ge)

# „ზოგიერთი სამინისტრო არსებული გამოწვევების გამო შევქმენით, მაგრამ დავაფიცეთ „ოცნებას“, მათი მოდერნიზაცია არ მოახდინოს?“

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი გარკვეული სამინისტროების გაუქმების შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოსაზრებას ეთანხმება.

– „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლის დროს სხვა გამოწვევები იყო. ჩვენ კონსტიტუციაში ხომ არ ჩავწერეთ, ამდენი სამინისტრო უნდა იყოსო? ვინმემ უთხრა, რომ არ შეამციროთო? იყო გამოწვევები და ამ გამოწვევებს სჭირდებოდა პასუხები. ახლა აღარ არის ეს გამოწვევები – ყველა დროს თავისი გამოწვევა აქვს. რაღაც პერიოდის წინ ამა თუ იმ სამინისტროს შექმნა იყო გამართლებული. თუ სამინისტროს ფუნქციონირებამ თავისი თავი ამოწურა, არ უნდა იყოს „ათადან და ბაბადან“. მუდმივად უნდა უბრუნდებოდეს ხელისუფლება ამ თემას. სამინისტრო იქმნება კონკრეტული მიზნისთვის და როდესაც ეს ამოცანა შესრულებულია, უნდა გაუქმდეს, – განაცხადა მაჭავარიანმა.

მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა შემცირდეს ადმინისტრაციული ხარჯები.

– მე ვეთანხმები იმას, რომ ადმინისტრაციული ხარჯები შესამცირებელია. 400-500 მილიონი ლარით ადმინისტრაციული ხარჯები ჯერ კიდევ 2015 წლის ბიუჯეტში იყო შესამცირებელი. ბიუჯეტის დამტკიცების დროსაც ვამბობდით, რომ დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარით არის შესაძლებელი ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. მაგალითად, შესაძლებელია, ისეთი უაზრო ხარჯის შემცირება, როგორიც არის პრემიერ-მინისტრთან არსებული ეკონომიკური საბჭოს ხარჯები, რომელიც ბოლოს როდის შეიკრიბა, არავინ იცის, – აღნიშნა მაჭავარიანმა. (bpn.ge)

## სასამართლომ ბაია გადაბაძის საჩივარი არ დააკმაყოფილა



„უპრეცედენტო შემთხვევა“, – ასე აფასებს ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალური დირექტორი ბაია გადაბაძე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, პირველმა ინსტანციამ არ გააუქმა კრების ოქმი ბაია გადაბაძის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ და დოკუმენტი განსახილველად სააპელაციო სასამართლოში გადააგზავნა.

გადაბაძის თქმით, სასამართლო ცდილობს, საქმე, რომელიც თვეების განმავლობაში იხილებოდა, 24 საათში დაასრულოს. გადაბაძე, ასევე, ვარაუდობს, რომ სააპელაციო სასამართლო გაჩეჩილაძეების სასარგებლოდ გამოიტანს გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც ლევან გაჩეჩილაძე ტელეკომპანიაში კრედიტორთა საბჭოზე დირექტორის სტატუსით გამოცხადდება.

მიუხედავად ამისა, გადაბაძე აცხადებს, რომ ის არ აპირებს ლევან გაჩეჩილაძის შენობაში შეშვებას.

შეგახსენებთ, რომ 19 თებერვალს ტელეკომპანია „მაესტროში“ კრედიტორთა საბჭოს სხდომაა დაგეგმილი, რომელზეც ტელეკომპანიის ფუნქციონირების საკითხები უნდა გადაწყდეს. (რეპორტიორი)

## 4 წლის ბავშვზე ძალადობის გამო, მამას წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს



ქობულეთში 4 წლის ბავშვზე მოძალადე მამაკაცს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, ქობულეთში, მამამ 4 წლის ბავშვზე იძალადა. არსებული ინფორმაციით, ბავშვი სასტიკად იყო ნაცემი.

ქობულეთის სამედიცინო ცენტრის ექიმ ირაკლი ბეჟანიძის თქმით, ბავშვს სისხლჩაქცევა ორივე ბარძაყზე და თავის მიდამოებში აღენიშნებოდა.

როგორც შსს-ში განმარტავენ, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც 1-დან 3 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

რაც შეეხება მამის მიერ სასტიკად ნაცემ მცირეწლოვან ბავშვს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და ის სოციალური აგენტის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. (pia.ge)

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



# რა რეალური მიზეზები აქვს თოფაძე-„რესპუბლიკელების“ დაპირისპირებას? რატომ შეცვალა აპატურაიმ განცხადება საქართველოს მისამართით? რატომ არ ენდობა პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი სამინისტროების მუშაობას?



**რატომ შეიძლება დაიშალოს საპარლამენტო კოალიცია წინასაარჩევნოდ? რას ნიშნავს ჯეიმს აპატურაის ბოლოდროინდელი განცხადება, რომ საქართველო ნატოში ტერიტორიული კონფლიქტების მიუხედავადაც შევა? რატომ არ ენდობა პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი სამინისტროების მუშაობას?**

**„ალიას“ „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი, პეტრე მამრაძე ესაუბრება:**

**— გოგი თოფაძისა და „რესპუბლიკელების“ დაპირისპირების თემა ისევ აქტუალურია. 18 თებერვალს კინაღამ ხელჩართული ჩხუბი მოხდა პარლამენტში. ასე დაჟინებით რატომ უპირისპირდება თოფაძე თავდაცვის მინისტრს?**

– დაპირისპირება კოალიციის შიგნით, ერთმანეთის აუტანლობა, თავიდანვე არსებობდა, როცა კოალიცია იქმნებოდა. ჩვენ გვახსოვს სატელეფონო საუბრები, როდესაც კოალიციის ცნობადი სახეები ერთმანეთს, მაპატიეთ და, დედის გინებით მოიხსენიებდნენ, მაგრამ ახლა არჩევნები ახლოვდება და კოალიციის შემადგენელი ყველა ძალა, ჯგუფი იბრძვის იმისთვის, რომ სიაში ადგილები გაინაღდოს.

ყველამ იცის, რომ ერთი ადამიანი – ბიძინა ივანიშვილი წყვეტს, ვინ იქნება კოალიციის შემადგენლობაში, ვინ იქნება საპარლამენტო სიაში და რომელ ადილზე. აი, ამ ფონზე ვითარდება მოვლენები. „რესპუბლიკელები“ იბრძვიან თავისი ბერკეტების გამოყენებით და ერთ-ერთ ბერკეტად იყენებენ იმას, რაც დავით ბერძენიშვილმა უკვე ღიად გაახმოვანა – მათი აზრით, ისინი არიან ერთადერთი პროდასავლური ძალა კოალიციაში და ბერძენიშვილმა თქვა, – თუ კოალიცია შედგება „რესპუბლიკელების“ გარეშე, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ კოალიციას სერიოზული პრობლემები ჰქონია პროდასავლურ ორიენტაციასთანო.

რაც შეეხება თოფაძეს, მე რაც მახსოვს, ის ყოველთვის ღიად გამოდიოდა იგივე სავალუტო ფონდის წინააღმდეგ, მსოფლიო ბანკის, ნატოსთან ურთიერთობის, ევროგაერთიანებასთან ურთიერთობის წინააღმდეგ და აცხადებდა, რომ ეს მხოლოდ საზიანოა საქართველოსთვის და ა.შ.

**— ბერძენიშვილის აღნიშნული განცხადება ერთგვარი შანტაჟი ხომ არ არის?**

– ეს, რა თქმა უნდა, სულ ცოტა, შანტაჟს უახლოვდება, ნუ ჩვენ უნდა გვქონდეს გარანტირებული ადგილებიო და მიაქციეთ ყურადღება: მეორე საჯარო განცხადება „რესპუბლიკელებისა“ იყო ეს – რაც შეეხება სიებს, კვოტებსა და მსგავს საკითხებს, ჩვენ ამაზე ვისაუბრებთ არა პოლიტიკურ საბჭოზე, არამედ პირდაპირ უშუალოდ ივანიშვილს დაველაპარაკებით და სხვას არავისო. რა გამოდის აქედან: ერთი მხრივ, თუ ჩვენს გარეშე იქნებით, გამოვაცხადებთ, რომ თქვენი პრორუსული ორიენტაციის გამო ზურგი შეგვაქციეთ და პროდასავლურს პრორუსული ამჯობინეთო.

**არადა, თუ არსებითად ვისაუბრებთ, რაც თოფაძემ თქვა, რაც საგარეჯოს არჩევნებზე მოხდა, სადაც ასე აქტიურად მონაწილეობდნენ მინისტრები, ხიდაშელი ბიულეტენებს ითვლიდა და სადაც მის მიერ განთავსებულმა 500-მა ჯარისკაცმა გადაწყვიტა, ფაქტობრივად, არჩევნების ბედი და მერე იმის მტკიცება, რომ კანონით ეს დაშვებულია, ან იმის მტკიცება, რომ ვინც წინააღმდეგია, ჯარმა მისცეს ხმა, ის ნატოს წინააღმდეგია, ამაზე მეტად დასავლური ღირებულებების ფეხქვეშ გათელვა და ამაზე მეტი დემაგოგია ძნელი წარმოსადგენია.**

**— პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური ამბობს, რომ „მრეწველებსა“ და „რესპუბლიკელებს“ შორის არსებული უთანხმოება ქვეყნის ინტერესებს აზიანებს, ყველამ იყაროს კენჭი დამოუკიდებლად, მერე დაწყვილდნენ და მშვიდობაში მოიხმარონ ის მანდატები, რომელსაც მოსახლეობა მისცემსო. მეჭიაური ივანიშვილის მეგობარია და მისი ნათქვამი ხომ არ ნიშნავს, რომ „ოცნება“ მომავალ არჩევნებში კოალიციის სახით აღარ მიიღებს მონაწილეობას?**

– ამის შესაძლებლობა არსებობს, ვინაიდან იგივე „რესპუბლიკელები“, გრძნობენ რა თავის ძალას, მათი ხმების გარეშე შეიძლება მნიშვნელოვანი საკითხები ვერ გავიდეს, თავმჯდომარეც მათია... წარმოიდგინეთ, მათ რომ არ მიიღონ რაც უნდათ, შეტევაზე გადავიდნენ და არჩევნების წინ დემონსტრაციულად დატოვონ თანამდებობები, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარემ, ეს იქნება, რა თქმა უნდა, დიდი პოლიტიკური სკანდალი და ქვეყნის იმიჯს დააზიანებს. ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ვაჭრობა, რაც მხოლოდ საქართველოში არ ხდება.

**— თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა თურქეთში მომხდარი ტერაქტის კომენტირებისას განაცხადა: ტერორიზმის საფრთხე მთელ მსოფლიოშია გაზრდილი და საქართველო კოლბაში ვერ იცხოვრებსო. რას ნიშნავს მისი ეს განცხადება? გამოდის, რომ თავდაცვის მინისტრი ელოდება, ან არ გამორიცხავს აქაც ტერორისტულ აქტებს?**

– ჩვენი თავდაცვის ვაიმინისტრი, ბევრ ისეთ რამეს ამბობს, რომ ასეთი რამის თქმისას ბევრი ანალიტიკოსი დაფიქრდება, ეს ქვეყნისთვის საზიანო ხომ არ არისო? კი, მე მთლიანად ვიზიარებ, რომ დღეს უდიდესი საფრთხეა მსოფლიოსთვის ისლამური სახელმწიფო და რუსეთი, მაგრამ ეს ხომ არამც და არამც არ უნდა თქვას საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა? ეს შემიძლია ვთქვა მე, რადგან დღეს ვარ სრულიად თავისუფალი, დამოუკიდებელი ანალიტიკოსი. ის, რომ საქართველო, მთლიანობაში, ქრისტიანული ქვეყანაა, რომ არის კოალიციის წევრი, რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ რისკებს ქმნის, ამიტომ სამომავლოდ და ახლაც ჩვენი უსაფრთხოება ბევრად უკეთ იქნება დაცული, როდესაც ზომიერ, პრაგმატულ პოლიტიკას გავატარებთ.

**— ჯეიმს აპატურაიმ სულ ახლახან განაცხადა: ტერიტორიული კონფლიქტის მიუხედავად, საქართველო ნატოს წევრი მაინც გახდება და ამ მოსაზრებას ალიანსის ყველა წევრი იზიარებსო. წინა კვირას სწორედ აპატურაიმ თქვა, მაპ-ი დაივიწყეთ და ისე შედით ნატო-შიო. არადა, როგორც ვიცით, მაპ-ის გარეშე ნატოში არავის იღებენ. რა შეიცვალა ახლა და რატომ აკეთებს ასეთ განცხადებას?**

– აპატურაი არ არის არც ნატო-ს გენმდივანი და ძალიან მაღალი თანამდებობის პირი, მაგრამ ის კურირებს ჩვენს რეგიონს და რა თქმა უნდა, ახმოვანებს იმას, რა განწყობაც მათთან, შიგნით არის. სტოლტენბერგმა, ახალმა გენმდივანმა, ღიად განაცხადა, – რა თქმა უნდა, საქართველომ ჯერ უნდა დაიმსახუროს მაპ-ი, შემდეგ უნდა გაიაროს შესაბამისი საფეხურებიო და ასე შემდეგ. მან საქართველოს მაგალითად დაუსახელა მონტენეგრო, შეასრულეთ დავალებები, მიუახლოვდით სტანდარტებს და ასე შემდეგ. ეს არის წმინდა ფორმალური დათქმა, რადგან ნატოს ხელმძღვანელობა უფრო უფრთხილდება საქართველოს, ვიდრე ჩვენი ზოგიერთი ქართველი ვაიპოლიტიკოსი, ამიტომ ამბობენ ასე ყველაფერს და ამიტომ დემონსტრირებენ რუსეთთან, – არა, საქართველოს ამ ეტაპზე მაპ-ს არ ვაძლევთ, არც გაწევრიანებასო, რადგან იციან, ეს რომ წამოსცდეთ, რუსეთი მაშინვე მიიღებს კონკრეტულ ზომებს, დაიკავებს ახალქალაქის ტერიტორიას თავისი ჯარებით, თუნდაც სენაკში ჩადგება ყოველგვარი ბრძოლის გარეშე და გამოაცხადებს – სხვა გზა არ გვქონდა, რადგან საქართველოში ნატო-ს ჯარები შედისო და ასე შემდეგ. ახლა აპატურაიმ პირველად თქვა ღიად, რომ საქართველოს გაწევრიანების საკითხი შეიძლება გადაწყდეს კონფლიქტების მოგვარების კვალობაზე, რომელიც უნდა მოგვარდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით.

**— პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ მთავრობის ადმინისტრაციის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნება სამინისტროების საკოორდინაციო სამსახური, რომელიც სამინისტროების მიერ ვალდებულებების შესრულებას გააკონტროლებს. ეს რას ნიშნავს, კვირიკაშვილი სამინისტროების მუშაობას არ ენდობა და მათ გაკონტროლებას ასე შეეცდება?**

– რამდენადაც ვიცი, უცხოელი ექსპერტები ამას დადებითად აფასებენ და ამბობენ, რომ ეს საჭიროა, მაგრამ რეალურად, ეს, რა თქმა უნდა, არის აღიარება იმისა, რომ საქმე კარგად არ არის. „ოცნებას“ გამარჯვების შემდეგ უნდა მოეხდინა მართვის სისტემის ოპტიმიზაცია, დაეტოვებინა და რეორგანიზაცია მოეხდინა იმ სამინისტროებისა, რაც მართლაც საჭიროა და რომლებიც სადღეისოდ ორჯერ მეტია, ვიდრე საჭიროა ამ პატარა, ღატაკ ქვეყანაში. ამ სისტემამ, თუ სწორად მოიქცევიან, შეიძლება გაამართლოს ამ ეტაპზე.

ძირეული, ღრმა რეფორმა უნდა ჩატარებულიყო ჯერ კიდევ 2012 წლიდან დაწყებული უკვე 2013 წლისთვის, ანუ დაახლოებით, ექვსთვიანი მომზადების შემდგომ შეიძლებოდა მისი გატარება. ეს უნდა შეხებოდა მთლიანად მინისტრთა კაბინეტს, უნდა გაუქმებულიყო საერთოდ ეს ხორცმეტი, გუბერნატორობის ინსტიტუტი, რადგან ის მხოლოდ აფერხებს ქვეყნის განვითარებას, თვითმმართველობას, ეკონომიკის, ქვეყნის განვითარებას... ეს ინსტიტუტი ერის ტვირთია და ამ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, კიდევ ეს ტვირთი გვინდა? სამ წელზე მეტია გასული და ახლა იწყებენ ამაზე საუბარს. კი, ბატონო, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, თუმცა მე არ მჯერა, რომ „ოცნებაში“ არსებობს ასეთი რესურსი, რომ თუნდაც ეს გააკეთონ, რაც ამ ეტაპზე მათთვის, ცალკეული პიროვნებებისთვის, საზიანოა, რადგან შეიძლება დაკარგონ თანამდებობები, პრივილეგიები, ფუფუნება და ასე შემდეგ.

> „კი, ბატონო, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, თუმცა მე არ მჯერა, რომ „ოცნებაში“ არსებობს ასეთი რესურსი, რომ თუნდაც ეს გააკეთონ, რაც ამ ეტაპზე მათთვის, ცალკეული პიროვნებებისთვის, საზიანოა, რადგან შეიძლება დაკარგონ თანამდებობები, პრივილეგიები, ფუფუნება და ასე შემდეგ“

## პურის საცხობში გარდაცვლილი ქალის ცხედარი იპოვეს




თბილისში, გლდანის მესამე მიკრორაიონში გარდაცვლილი ქალის ცხედარი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზი ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა.

შემთხვევა პურის საცხობში მოხდა, სადაც რამდენიმე საათის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები იყვნენ მობილიზებულები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## ვაზაგაშვილის მკვლელობის ადგილზე ფირცხალავასა და ცაავას დნმ-ი არ აღმოჩნდა



ცნობილი ხდება, რომ ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცაავას დნმ-ის ნიმუშები იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ადგილას ფალიაზე აღმოჩენილ დნმ-ის კვალს არ დაემთხვა.

როგორც მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ნათია სუხიაშვილი აცხადებს, გამოძიებამ გენეტიკური ანალიზის შედეგები 17 თებერვალს მიიღო.

იური ვაზაგაშვილი 2015 წლის 20 იანვარს კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში საკუთარი შვილის საფლავზე ააფეთქეს. მის მკვლელობაში ბრალდებული პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გია სოსანაშვილია. გია სოსანაშვილს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით აქვს ბრალი წარდგენილი.

ფირცხალავას და ცაავას ე.წ. მატროსოვის ციხეში დნმ-ს ნიმუშები მიმდინარე წლის 29 იანვარს აულეს.

როგორც 29 იანვარს ე.წ. მატროსოვის ციხის დატოვების შემდეგ მთავარი პროკურატურის გამომძიებელმა გიორგი ლომთაძემ განაცხადა, გამოძიება მუშაობს იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის საქმეზე მკვლელობის დამკვეთებისა და დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით და დნმ-ის ნიმუშების აღება სწორედ აღნიშნულ გამოძიებას უკავშირდება. (ნიუპოსტი)

## აუდიტის სამსახური სამინისტროებს ამოწმებს



აუდიტის სამსახური სახელმწიფო უწყებებს ამოწმებს.

აუდიტის სამსახურის პრესსამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, სამინისტროებში ფინანსური აუდიტი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რადგან პარლამენტს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში უნდა წარუდგინონ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანგარიშს აპრილის ბოლოს წარადგენს.

როგორც ირკვევა, აუდიტის სამსახურმა თბილისის მერიის შემოწმება უკვე დაასრულა. ნარმანიას უწყების შემოწმების ანგარიში მას შემდეგ გამოქვეყნდება, რაც მერიისთვის შემოპასუხების განკუთვნილი დრო ამოიწურება. (ნიუპოსტი)

## 4 წლის ბავშვის დედამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა — რას აცხადებენ მეზობლები მოძალადე მამაზე



4 წლის ბავშვი, რომელიც მამამ – მალხაზ მ.-მ სასტიკად სცემა, დედით ობოლია.

პატარა დაბადებიდან უდედოდ – მამასთან, ბებიასთან და დეიდასთან იზრდებოდა.

როგორც ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის რწმუნებულმა როინ გოგიტიძემ განაცხადა, 4 წლის ბიჭის დედამ 28 წლის რუსუდან ხოზრევანიშვილმა 2012 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მან თავი ჩამოიხრჩო. მიზეზი კი მისი ფსიქიკური მდგომარეობა გახდა.

ცეცხლაურის მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ ისინი მეზობლებთან კონტაქტით არ გამოირჩევიან.

როგორც ამბობენ, ოჯახი სოციალურად დაუცველია და პატარას ოჯახი სათანადოდ ვერ უვლიდა.

მეზობლები 4 წლის პატარას მამას, 35 წლის მალხაზ მ.-ს ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანად ახასიათებენ და ამბობენ, რომ შვილის ცემის ფაქტს ადგილი აქამდეც ჰქონია.

– ბავშვი მაგათთან არ დაიტოვება. ვერ უვლიან. ძალიან უჭირთ, ამდენი სული 10 კვადრატულში ცხოვრობს. ბავშვი ხშირად ნახევრად მშიერი ყოფილა. კი ვეხმარებოდით მეზობლები, მაგრამ დიდად კონტაქტურები არ არიან.

ბავშვი ძალიან იყო ნაცემი. მამაც ჯანმრთელი ფსიქიკის არ არის. საუბრისას ეს შესამჩნევია, – აცხადებენ მალიაძეების მეზობლები. (kvira.ge)

# ვინ და რატომ ცდილობს საპატრიარქოს პოლიტიკაში ჩართვას?




მარიკა არღვლიანი

551 81-55-88





„უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლეს" თავმჯდომარე მიხეილ-გელა სალუაშვილმა პარლამენტს საარჩევნო სისტემაში საეპარქიო და სამრევლო საბჭოს შემოღების ინიციატივით მიმართა.

სალუაშვილმა პარლამენტში „საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საკანონმდებლო წინადადება დაარეგისტრირა.

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, საეპარქიო საბჭოს წევრები იქნებიან: მღვდელმთავარნი, ოთხი სასულიერო და ორი საერო პირი.

ამ ინიციატივის თანახმად, 73 წევრიდან 34 არჩეული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული ერთეულებიდან, 34 წევრი – შესაბამისი ეპარქიებიდან, 5 წევრს კი საქართველოს პრეზიდენტი დანიშნავს საქართველოში მოქმედი რელიგიური გაერთიანებების მიერ წარმოდგენილ კანდიდატთაგან. ეკლესია/მონასტრები კი, წარმოადგენენ საარჩევნო უბანს პარლამენტის არჩევნების დროს.

ამასთანავე, წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების თანახმად, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდს უფლებამოსილება მიენიჭება, ბათილად ცნოს ეპარქიის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები. ასევე, წმინდა სინოდის მიერ არჩევნებთან დაკავშირებით მიღებული დადგენილება და განკარგულება წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივ აქტს.

საკანონმდებლო წინადადება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა და მიუღებლად მიიჩნია.

კომიტეტს მიაჩნია, რომ კანონპროექტით ხდება ეკლესიის ჩარევა სახელმწიფოს საქმიანობაში და საარჩევნო პროცესებში, რომლის ორგანიზება და ჩატარება უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათა უფლებამოსილება. (აიპრესი)

როგორც ხდება ხოლმე, ამჯერადაც ეს ამბავი მართლმადიდებლური ეკლესიის მოწინააღმდეგეებმა შემდეგნაირად „გადათარგმნეს" – საპატრიარქო ყველანაირად ცდილობს პოლიტიკურ პროცესებში ოფიციალურად ჩაერიოს და მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მცდელობა სალუაშვილის კანონპროექტი იყო.

იცოდა თუ არა ინიციატივის შესახებ საპატრიარქომ?

**„ალია" მიხეილ-გელა სალუაშვილს ესაუბრა:**

– როცა ჩვენ ამ წინადადებას ვამუშავებდით და დავამთავრეთ, მაშინ ჩამოვუარეთ სომხურ, კათოლიკურ, ებრაულ ეკლესიებს და მუსლიმანურ საზოგადოებას. საპატრიარქოსაც გადავეცით, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა. ვისაც ეს ინიციატივა ჩავაბარეთ, პირად საუბრებში ყველა დადებითად განეწყო, მაგრამ ამას კანონად ჩვენ ვერ ვაქცევთ, პარლამენტმა უნდა აქციოს.

**— ბატონო მიხეილ, მართლმადიდებლური სწავლება ამბობს, რომ ეკლესია გამიჯნული უნდა იყოს პოლიტიკისგან. ამას ამბობენ იურიდიულ კომიტეტშიც, რომ მიუღებელია, ეკლესია სახელმწიფოს საქმიანობაში ჩაერიოს.**

– კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო არ ერევა საეკლესიო საკითხებში. მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს თავისი დებულება, რომლითაც ხელმძღვანელობენ. მათ მიერ დადგენილ წესში, ასევე, სინოდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში არ ერევა სახელმწიფო.

**— კი, ბატონო, სახელმწიფო არ ერევა ეკლესიის საკითხებში, მაგრამ ეკლესია რომ საარჩევნო პროცესში მიიღებს მონაწილეობას, რასაც თქვენ ითხოვთ და საპატრიარქოშიც მოსწონებიათ იდეა, ეს ჩარევა არ არის?**

– ჩარევა არ არის ის, რომ მოინახოს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის ერთობლივი მექანიზმი...

**— ასეთი მექანიზმი დღეს ისედაც არსებობს...**

– იცით, რა არის? ჩვენ ვაპირებთ საარჩევნო პროცესში მონაწილეობას და ამიტომ თუ პარლამენტი დასთანხმდება ამ ჩვენს შეთავაზებას, ხომ კარგი... შედეგად, ეკლესიიდან და საერო ხელისუფლებიდან შერჩეული ადამიანები ერთმანეთის საქმეებში ჩარევით კი არ იქნებიან დაკავებულები, არამედ მოლაპარაკებით. არჩეული დეპუტატები საეკლესიო და საერო წარმომადგენლობიდან ერთმანეთის საქმეებში ჩარევით კი არ იქნებიან დაკავებულები, არამედ ჩვეულებრივი კანონების მიღების განხილვით. ეს კი ჩარევა კი არაა, ეს არის მათი ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმის ძიება, რომ ერთად დაამუშაონ ესა თუ ის კანონი, რომელიც მთელი ერისა და ბერისთვის იქნება მისაღები.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ივანიშვილის კოალიციის ანატომია — „რესპუბლიკელების" ვა-ბანკი



– ეს დაძაბულობა არ არის ახალი – ასეთ შეფასებას აძლევს ექსპერტი გია ხუხაშვილი „რესპუბლიკელებსა" და „მრეწველებს" შორის არსებულ დაპირისპირებას:

– საბაბი ვიცით, რაც გახდა, რასაც მოჰყვა პასუხი, მაგრამ ვფიქრობ, ეს მაინც უფრო საბაბი იყო და პრობლემა უფრო სისტემურ ხასიათს ატარებს. ეს დაძაბულობა არ არის ახალი, ამ დაძაბულობას აქვს თვითონ კოალიციის ანატომიაში საფუძვლიანი მიზეზი, რაც გახლავთ მსოფლმხედველობრივი აბსოლუტური ეკლექტიკა, ურთიერთდაპირისპირებული მსოფლმხედველობის ადამიანები, ბუნებრივია, ვერ თანხმდებიან და ხშირ შემთხვევაში, ეზიზღებათ კიდევაც ერთმანეთი. ცდილობენ, რომ ეს დაფარონ, მაგრამ პიკის წერტილები არჩევნების წინ უფრო მწვავდება, ბუნებრივია. საბოლოო მიზეზი არის მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, და კონკრეტული საბაბის პოვნა, როდესაც ადამიანს რაღაცაში არ ეთანხმები, ყოველთვის შეიძლება და იმათ რომ ერთმანეთი არ უყვართ, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ერთი მხრივ, არავის არ უნდა ბიძინა ივანიშვილის მხრებიდან ჩამოსვლა, ანუ მისი რესურსები, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური, მნიშვნელოვანია კოალიციის ყველა სუბიექტისთვის, საკუთარი უსუსურობის განცდა არ აძლევს იმის საშუალებას, რომ ამ მხრებიდან ჩამოვიდნენ. ცდილობენ, რომ მხრებზე მსხდომებმა ერთმანეთს მუჯლუგუნები ურტყან, მიწაზე დაშვება არც ერთს არ უნდა. ისინი იბრძვიან მზის ქვეშ ადგილისთვის, მაგრამ არა საკუთარი ძალებით, არამედ მხრებიდან ჩამოუსვლელად, რაც ძალიან სასაცილო შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ჩანს, რესპუბლიკელები, ერთის მხრივ, ვა-ბანკზე მიდიან, ესეც კარგად ჩანს. მე დაკვირვებით ვუსმენდი დავით ბერძენიშვილს და მისი განაცხადი, პრინციპში, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ეს არის გარკვეული ვა-ბანკი. ესეთი ვითარება გვაქვს დღეის მდგომარეობით და რით დამთავრება, საბოლოო ჯამში, ძნელი სათქმელია, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საკუთარი უსუსურობის განცდა ამ ადამიანებს მაქსიმალურად უბიძგებს იქითკენ, რომ მიუხედავად ზიზღისა, მოახდინონ ერთიანობის დემონსტრირება, – აცხადებს გია ხუხაშვილი. (პირველი რადიო)

## „მე ვარ პროფესიონალი ნარკოლოგი და გეტყვით ორ სიტყვას, გაღიმებულები არ დარჩეთ"



ეკა ხოფერიას შოუში მომღერალმა კახაბერმა ისაუბრა მსუბუქი ნარკოტიკის, როგორც თავად აღნიშნა – „მშვიდობის მცენარის" ლეგალიზაციის აუცილებლობაზე, რომელიც მისი მოსაზრებით, ტურისტების მოზღვავებას გამოიწვევს. მას ნარკოლოგმა ჯონი ჯანაშიამ უპასუხა.

– მე ვარ პროფესიონალი ნარკოლოგი და გეტყვით ორ სიტყვას. გაღიმებულები არ დარჩეთ, ბატონებო. ენდეთ ჩემს ჭაღარას და ჩემს დიპლომს. ყველაზე რთული სამკურნალო, თუკი იკურნება, არის ჰაშიშური ფსიქოზი. ჩემი საექიმო მოღვაწეობის პირველივე დღეებში წავაწყდი ამას, როცა 17 წლის ბიჭი მოიყვანეს, სახე მთლიანად ჰქონდა დასერილი....კულისებში ორ ადამიანს მაინც დაგისახელებთ, ცნობილი ოჯახის შვილებს, რომლებიც ამისგან დაიღუპნენ. (exclusivenews.ge)

## მზად ვართ, მოვამზადოთ რეკომენდაციები საარჩევნო ოლქების დაყოფასა და მაჟორიტარულ კომპონენტზე — ვენეციის კომისიის ექსპერტი

ვენეციის კომისიის ექსპერტი დენ მარტინ ლიტარეხი არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრას დადებითად აფასებს.

ექსპერტის თქმით, ვენეციის კომისიის დასკვნაში ყურადღება ოლქების დაყოფის ახალ წესსა და საარჩევნო სისტემის მაჟორიტარულ კომპონენტზე გამახვილდება:

– არასაპარლამენტო ოპოზიციასთან ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა, განვიხილეთ საქართველოში არსებული ვითარება და გავეცანით შეხედულებებს საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით, მზად ვართ, მოვამზადოთ ჩვენი რეკომენდაციები საარჩევნო კოდექსში ამ ცვლილებებზე. ყურადღებას გავამახვილებთ საარჩევნო ოლქების დაყოფის ახალ წესსა და საარჩევნო სისტემის მაჟორიტარულ კომპონენტზე. ჩვენ მთელი ამ პროცესის ყველა ასპექტს არ ვაფასებთ, – განაცხადა ლიტარეხიმ. (ნიუპოსტი)

# პროკურატურის მოთხოვნა ადეიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე არ დაკმაყოფილდა



მოსამართლე არსენ კალატოზიშვილის გადაწყვეტილებით, იბერიის საქმეზე პროკურატურის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

ბრალდების მხარე იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის პატიმრობას მისი მოადგილისთვის კი 20 000-ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

მოსამართლემ გადაწყვეტილება მტკიცებულებების არარსებობით განმარტა. (ნიუპოსტი)

# 37 ევრო სულაც არ ნიშნავს, რომ დანიშნულების ადგილამდე 37 ევროდ ჩახვალთ




– სანამ გაგიხარდებათ, კარგად გაერკვიეთ ამა თუ იმ ავიაკომპანიის სარეკლამო ბუკლეტში, – ამ კომენტარს კომპანია „ვიზეარის" ფასებთან დაკავშირებით საფრანგეთში მყოფი ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე აკეთებს:

– „**wizzair**" მშვენიერი ავიაკომპანიაა იაფფასიან ავიაკომპანიებს შორის, მაგრამ ფასები მაინც გადაამოწმეთ. 37 ევრო სულაც არ ნიშნავს, რომ დანიშნულების ადგილამდე 37 ევროდ ჩახვალთ. ამას ბევრი რამე ემატება, ადგილზე გადასახადი...

დეკემბერში გადმოვფრინდი ამ ავიაკომპანიით სოფიადან ბრიუსელში და საიტზე დაფიქსირებული 60 ევროს ნაცვლად იმდენი დანამატი აღმოჩნდა, რომ ბოლო სერიაში 250 ევრო გადავიხადე. ამიტომ, სანამ გაგიხარდებათ, კარგად გაერკვიეთ ამა თუ იმ ავიაკომპანიის სარეკლამო ბუკლეტში, სინამდვილეში რა მომსახურებას გთავაზობენ და ის ციფრი, რაც რეკლამის ბანერზეა გამოტანილი, სინამდვილეში რისი ფასია...

რეკლამის მსხვერპლი ნუ გახდებით, ჩემო მეგობრებო, და ეს პოსტი არც „ქვეყნის განვითარების მოწინააღმდეგის" დაწერილია და არც „ქვეყანა რომ შენდება და ამაზე დაბოღმილია" იმ პოზიციიდან. პირიქით, ძალიან გამიხარდა და ძალიან მესიამოვნა, რაც მეტად განვითარდება ჩემი ქვეყანა, მით უკეთესი. უბრალოდ, მერე არ მოხდეს იმედგაცრუება და ხმამაღალი განცხადებები, დაახლოებით ასეთ სტილში: „ბიჭო, ამ მთავრობამ რა გვიქნა, 37-ევროიან ბილეთებს გვპირდებოდა და სინამდვილეში ასე არ ყოფილა, ძმაო"... – ამბობს ფოფხაძე. (რეპორტიორი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# „ქართული ოცნების" გასაუქმებელი სამინისტროების სია



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ ქვეყანაში ლარის კურსის ვარდნის, ეკონომიკის რეცესიისა და სხვა ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოში ძალიან ბევრი, 19 სამინისტროს არსებობაა, სამინისტროების გაუქმება-გამსხვილებით და ბიუროკრატიული აპარატის შემცირებით, ბიუჯეტს დიდი შეღავათი მიეცემაო. მაგალითიც მოიყვანა – შვეიცარიაში 8 სამინისტროა და საქართველოში ამის მეტი არ არის საჭიროო. გიორგი ქადაგიძე მართალს ამბობს, მაგრამ

რულების სამინისტრო გაუქმდა და იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარა, ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნება, ასეა ბევრ ქვეყანაშიო. აშკარაა, ეს კაცი მინისტრის სკამს არ არის გამოკიდებული და ფაქტობრივად, თავად დააყენა საკუთარი სამინისტროს დეპარტამენტად გადაკეთების საკითხი. გავიხსენოთ, რომ სწორედ იუსტიციის სამინისტროს ქვემდებარე დეპარტამენტი იყო სასჯელაღსრულება და მართლა ურიგო არ იქნება, თუ ძველებურად გადაკეთდება. თავის დროზე ამ დეპარტამენტის სამინისტროდ გადაკეთება მიხეილ სააკაშვილის ახირება იყო, მან ამბიციებმოძალებულ ბაჩო ახალაიას სამინისტრო შეუქმნა.

სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროე-

ანობას, მე ამ მხრივ მისი გაკეთებული საქმეები არ მაგონდება. ერთი ვიცი, სხვა სამინისტროს თანამშრომელთა მსგავსად, არ იკლებენ მაღალ ხელფასებს, დანამატებს, პრემიებს, მივლინებებს და აწყობენ ისეთ ღონისძიებებს, რომელთაც სპორტული ფედერაციებიც იოლად გაართმევენ თავს. უპრიანი იქნება, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო საერთოდ გაუქმდეს, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური კი დეპარტამენტად ჩამოყალიბდეს და განათლების სამინისტროს შეუერთდეს.

რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ადრე ეკონომიკის სამინისტროს ექვემდებარებოდა და მერე გახდა სამინისტრო, ისევ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს. რას

1. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – 950 მლნ ლარი;
2. ენერგეტიკის სამინისტრო – 135 მლნ ლარი;
3. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო – 153 მლნ ლარი;
4. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – 40.7 მლნ ლარი;
5. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 1.35 მლნ ლარი;
6. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 3.1 მლნ ლარი;
7. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 1.2 მლნ ლარი;

ეს ადრე რომ ეთქვა, კარგი იქნებოდა, მაშინ, როცა ამ ქვეყანას „ნაციონალები" მართავდნენ და თავად ამავე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყო. სწორედ სააკაშვილის დროს მოხდა სამინისტროების მომრავლება, დეპარტამენტების სამინისტროებად გადაკეთება, ერთიდან ორი და სამი სამინისტროს შექმნა. თუმცა, „ნაციონალები" 3 წელზე მეტია, წავიდნენ და ამ ხელისუფლებას ეს პროცესი აქამდე უნდა დაეწყო... სამინისტროების შერწყმა-გაუქმებით, მართლა ძალიან ბევრი თანხა დაიზოგება. არის სამინისტროები, რომელთა ფუნქცია გაურკვეველი ან არასაჭიროა, ზოგიერთი სამინისტრო კი, შერწყმის შემთხვევაში, უფრო მოქნილად და ეფექტურად იმუშავებს.

მაგალითად, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, დავით ბაქრაძის უწყება გასაუქმებელია იმიტომ, რომ მის ფუნქციებს ერთდროულად 2 სამინისტრო ახორციელებს – საგარეო საქმეთა და თავდაცვისა. რაღაც მეეჭვება, ამ სამინისტროს არსებობის გარეშე, ევროკავშირთან და ნატო-სთან ინტეგრაციის პროცესს ჩამოვრჩეთ. კი მაგრამ, ამ უფუნქციო თუ პარალელური ფუნქციების სამინისტროს შენახვა რაღა საჭიროა? იგივე ითქმის პაატა ზაქარეიშვილის უწყებაზე – შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატზე. ესეც დუბლირებული სამინისტროა, მეტიც, ორმაგად დუბლირებული. მისი ფუნქციები საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დევნილთა და განსახლების სამინისტროს ფუნქციების პარალელურია. გაურკვეველია დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის მართებულობაც. ამ საქმესაც საგარეო საქმეთა სამინისტრო აგვარებს, დიასპორებთან ისიც მუშაობს და გარდა ამისა, პარლამენტში დიასპორის საკითხთა კომიტეტი არსებობს და ეს კომიტეტიც მუშაობს ამ ხაზით.

კახი კახიშვილი ერთადერთი მინისტრი აღმოჩნდა, რომელმაც განაცხადა, თუ სასჯელაღს-

ბის შერწყმითაც არაფერი დაშავდება, სულ მცირე, მონათესავე პროფილის უწყებები არიან და თუ გიგლა აგულაშვილი ოთარ დანელიას მოადგილე გახდება, ან დეპარტამენტის უფროსი ამ სამინისტროში და გარემოს დაცვას იქიდან მიხედავს, ამით სახელმწიფო და ბიუჯეტი მხოლოდ იხეირებს.

საქართველოში მართლა ზედმეტია ენერგეტიკის სამინისტრო. კი, ენერგეტიკაზე სახელმწიფო კონტროლ აუცილებელია, მაგრამ სხვა რანგის, უფრო პატარა მასშტაბის უწყებით შეიძლება ამის გაკეთება. ახლა ვინმემ შეიძლება მითხრას, ენერგეტიკა სტრატეგიული დარგია საქართველოსი და სამინისტრო აუცილებელიაო. ენერგეტიკა ყველა ქვეყანაში სტრატეგიული დარგია, მაგრამ მათ უმეტესობას ენერგეტიკის სამინისტროები არ აქვთ. რომელი ყატარი და ქუვეითი ჩვენ ვართ, ნავთობს მივქონდეთ, რომ მათსავით ამხელა სამინისტრო გვქონდეს?

**ა, ეს იქნება ნამდვილად „ქამრების შემოჭერა", რასაც დღემდე გვპირდება „ქართული ოცნება", ეს იქნება ბიუროკრატიული აპარატის შემცირება და მე ვიტყოდი, მუქთახორა ჩინოვნიკების ფულით სახალხო პროექტების დაფინანსება**

ისიც შესაძლებელია, ენერგეტიკის სამინისტრო ეკონომიკისას დაუქვემდებარონ დეპარტამენტის სახით.

ჩემი აზრით, გასაუქმებელია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო. ამ სამინისტროს მთავარი ფუნქცია, სპორტის განხრით, სპორტული ფედერაციებისთვის საბიუჯეტო დაფინანსების გადანაწილებაა. ეს სპორტული ფედერაციები დამოუკიდებლები არიან და სახელმწიფოსგან მხოლოდ ფულს იღებენ. რომელ ფედერაციას რამდენი თანხა უნდა გამოუყო ყოველწლიურად, ამას სამინისტრო რად უნდა? ამას, დავუშვათ, პრემიერ-მინისტრის აპარატში რამდენიმეკაციანი ორგანოც გააკეთებს. არ იქნება სამინისტრო? ფედერაციები ბევრად დამოუკიდებლები იქნებიან. რაც შეეხება ახალგაზრდულ საქმეთა კუთხით ამ სამინისტროს საქმი-

აკეთებს ეს სამინისტრო? აცხადებს ტენდერებს სახელმწიფო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და მერე, აკონტროლებს მათ შესრულებას. ეკონომიკის სამინისტროს ფუნქცია კი ინვესტორთა მოზიდვა და სახელმწიფოს კუთვნილი ქონების განკარგვაა. კი მაგრამ, ეკონომიკის სამინისტროს ფრთებქვეშ ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი რომ იყოს, ამ ტენდერებს ვერ გამოაცხადებდა და ვერ გააკონტროლებდა? ადრე ხომ ასე იყო და არაფერი შავდებოდა? თან, არ დაგვავიწყდეს, ვინც ჩამოვთვალე, იმ, ჩემი აზრით, გასაუქმებელი სამინისტროებიდან, ყველაზე დიდი ბიუჯეტი რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქვს – 950 მილიონი, თითქმის მილიარდი. ამ თანხას ეკონომიკის სამინისტროს დეპარტამენტად ქცეულიც მშვენივრად განკარგავდა. თუ ეს მოხდება, საქართველოში 19 სამინისტროს მაგვარად 11 სამინისტრო

გვექნება – თავდაცვის, შსს, იუსტიციის, საგარეო საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ფინანსთა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, კულტურის და მეცნიერების, ლტოლვილთა სამინისტრო. მე თუ მკითხავთ, ეს უკანასკნელი, სოზარ სუბარის უწყებაც გასაუქმებელია და მისი ფუნქციები სხვა სამინისტროებზეა გადასანაწილებელი, მაგრამ მას ღრმა პოლიტიკური დატვირთვა აქვს და ცოტა არ იყოს, სადავო საკითხია.

მოდით, ახლა ვნახოთ, რამხელა დაფინანსება აქვთ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ამ სამინისტროებს და რაც ზემოთ წაიკითხეთ, ამ რეორგანიზაციის შედეგად, სახელმწიფო ყოველწლიურად რამხელა თანხას დაზოგავს:

8. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო – 75 მლნ ლარი.

საბოლოო ჯამში, ამ 8 სამინისტროს წლევანდელი დაფინანსება 1,5 მილიარდ 950 000 ლარია, თითქმის 1.6 მილიარდი. ცხადია, ამ სამინისტროების შერწყმა-გაუქმებით ეს თანხა მთლიანად არ ჩამოეჭრება ბიუჯეტს, მაგრამ, მინიმუმ, 70% დაეზოგება. დავუშვათ, სასჯელაღსრულების სამინისტრო დეპარტამენტადაც რომ გადაკეთდეს და იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებაროს, მას მაინც სოლიდური თანხები დასჭირდება, რადგან სტრატეგიული მნიშვნელობის უწყებაა. მოდით, ამ 1.6 მილიარდის 70% ავიღოთ. ეს 1 მილიარდ ლარზე მეტია. მილიარდი ლარი ვთქვათ და „ხურდას" თავი დავანებოთ. ამ 8 სამინისტროს გაუქმებით, მილიარდი ლარი ყოველდღიურად არ ექნება ბიუჯეტს გასათვალისწინებელი სრულიად უაზრო და უსარგებლო ხარჯებისთვის, ამ ფულით კონკრეტული ჩინოვნიკები ველარ იგრიალებენ, ეს ფული არ მოხმარდება მათ მაღალ და დაუმსახურებელ ხელფასებს, სახელფასო დანამატებს, პრემიებს, მივლინებებს, პერსონალურ სახელმწიფო მანქანებსა და მათ შენახვას, ბენზინს, მობილურით საუბრის ხარჯებს, ყავის სმასა და ალა-ფურშეტებსა და ბანკეტებს. ეს ფული მთავრობას შეუძლია სოციალური პროექტების დაფინანსებისკენ მიმართოს – გაზარდოს პენსიები, სოციალური დახმარებები უმწეოთათვის და დევნილთათვის, გაზარდოს ომის ვეტერანთა დახმარებები და პენსიები, დააფინანსოს სხვადასხვა სახის ძვირად ღირებული ჯანდაცვის პროგრამები, ბოლოს და ბოლოს, ამ თანხის ნაწილი თავდაცვის, უსაფრთხოების, განათლების სფეროებში გადაისროლოს.

აი, ეს იქნება ნამდვილად „ქამრების შემოჭერა", რასაც დღემდე გვპირდება „ქართული ოცნება", ეს იქნება ბიუროკრატიული აპარატის შემცირება და მე ვიტყოდი, მუქთახორა ჩინოვნიკების ფულით სახალხო პროექტების დაფინანსება.

# რა მუქარა შეუთვალა განერვიულებულმა სააკაშვილმა ლალი მოროშკინას



ორგანიზაცია „ძლიერი ქალი ძლიერი სახელმწიფოს" დამფუძნებელ ლალი მოროშკინას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მიუნხენიდან ჩაერთო „რუსთავი 2"-ს, ძალიან განერვიულებული იყო და ამის მიზეზი არის წიგნი, რომლის გამოცემის ინიციატივითაც მას რუსულმა და უკრაინულმა მხარეებმა მიმართეს. ლალი მოროშკინას თქმით, სააკაშვილის გაღიზიანება იმანაც განაპირობა, რომ რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „ენტევე"-ს ეთერში გადაიცა ფილმი მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულების შესახებ.

მოროშკინას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა შუამავლების მეშვეობით მას მუქარა შეუთვალა და ნახსენები იყო ბესიკ ხარძიანის მკვლელობაც. (exclusivenews.ge)

# თამარ კორძაია: გოგი თოფაძეს სურდა, მიეჩქმალა ის ძირითადი თემა, რაზეც „რესპუბლიკელები" ვსაუბრობთ



– გოგი თოფაძე თავად უარყოფს იმ დეკლარაციას, რომელზეც მას ხელი აქვს მოწერილი და სადაც წერია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების" მიზანი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაა, ხოლო, როდესაც საუბრობს, რომ საქართველო უნდა იყოს ნეიტრალური ქვეყანა, იგი დარტყმის ქვეშ აყენებს კოალიციის მიერ გაცხადებულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თამარ კორძაიამ დეპუტატ გოგი თოფაძის განცხადებების კომენტირებისას ტელეკომპანია „იბერიის" ეთერში განაცხადა.

– დაპირისპირება არა „რესპუბლიკელებსა" და „მრეწველებს" შორის, არამედ გოგი თოფაძესა და კოალიციას შორის, გოგი თოფაძესა და საქართველოს მთავრობას შორისაა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, – განაცხადა თამარ კორძაიამ. (news.ge)

## ზაზა პაპუაშვილი: მაინტერესებს, რა ევალებოდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და რა გააკეთა მან!



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის ინიციატივას, სამინისტროების შემცირების თაობაზე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაზა პაპუაშვილი გამოეხმაურა. პაპუაშვილი ამბობს, რომ ეს სადისკუსიო თემაა და ყველაფერი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს.

– ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი წევრი, მეც გავდივარ ცხოვრების რთულ პერიოდს. ვერ გავიგე, რა არის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის დანიშნულება და თავის დროზე რატომ არ გაითვალისწინეს ის რისკები, რაც შეიძლება მომხდარიყო. ვერ გავიგე, ვინ არის ადამიანი, რომელიც სამინისტროების შეკვეცით არის დაინტერესებული. ყველაფერში მთავრობა, პარლამენტი და ბიძინა ივანიშვილი ყოფილა დამნაშავე.

რაც შეეხება სამინისტროების შეკვეცას, ეს სადისკუსიო და გასააზრებელია, ყველაფერი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს. თუ სახელმწიფო ჩათვლის, რომ ეს სამინისტროები აღარ არის საჭირო და მათში ფული უსაფუძვლოდ იხარჯება, მაშინ ამაზე საუბარი შეიძლება. მაინტერესებს, რა ევალებოდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და რა გააკეთა მან, ხოლო ყურადღების გადატანა მთავრობაზე, სადაც ის ამბობს, რომ სამინისტროების შეკვეცით ლარის მდგომარეობა გაუმჯობესდებაო, მიუღებელია.

მესმის, საგარეო პოლიტიკა რთულ მდგომარეობაშია, მაგრამ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ ქვეყანაში ვითარება გაუმჯობესებულიყო და რისკები შემცირებულიყო. ჩვენ კი არა, ფინანსურად ჩვენზე ძლიერ ქვეყნებში მათ ეროვნულ ვალუტას დაემუქრა საფრთხე, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს.

ერთმანეთის ლანძღვა კი არა, პრობლემის გადაჭრის გზები უნდა ვეძებოთ, რისი აცილება შეგვეძლო და რა გავაკეთეთ. ყველაფერი ანალიზის გაკეთების შედეგად უნდა გადავწყვიტოთ და არა ემოციურ ფონზე, – განაცხადა პაპუაშვილმა. (რეპორტიორი)

## უკრაინის წინააღმდეგ მებრძოლი ჩეჩნები ქართველების ნასახლარზე — კადრები აფხაზეთიდან



საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ქართველების სახლებს დე ფაქტო ხელისუფლება უკრაინის წინააღმდეგ მებრძოლ სეპარატისტებს აქტიურად ჩუქნის.



„ნიუპოსტმა" ექსკლუზიურად მოიპოვა ოკუპირებულ აფხაზეთში დახურულ შეხვედრაზე გადაღებული ფოტოები, სადაც „ეფესბეს" მაღალჩინოსნები ლუგანსკში უკრაინის წინააღმდეგ მებრძოლ მეომრებს მადლობის სიგელებითა და სპეციალური ორდენებით აჯილდოებენ.

ბატალიონში, რომელიც აფხაზეთში უკრაინიდან ჩავიდა, ჩეჩნები, აფხაზები და რუსები შედიან.

დაჯილდოების შემდეგ მეომრებს ოჩამჩირეში ქართველების კუთვნილი სახლები და მიწის ნაკვეთები საჩუქრად გადასცეს.

ამასთანავე, როგორც ირკვევა, ლუგანსკში მაიკოპის შემდეგი ასეული მიმდინარე წლის 22 თებერვალს გაემგზავრება.





უკრაინის წინააღმდეგ მებრძოლებისთვის ქართველების სახლების დაკანონება უკვე ტრადიციად იქცა.

ჩეჩენი მებრძოლები ოკუპირებულ აფხაზეთში ოჯახებით ჩადიან, დე ფაქტო ხელისუფლება კი მათ ქართველების მიერ დატოვებულ სახლებში ცხოვრებას სთავაზობს. ცნობილია, რომ ქირას რუსეთის ხელისუფლება გადაიხდის.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, უკრაინაში რუსეთის მხარეს მებრძოლმა ჯარისკაცებმა სოხუმში, გაგრასა და ოჩამჩირეში მდებარე ქართველების სახლები საჩუქრად ერთი თვის წინაც მიიღეს. (ნიუპოსტი)

## უკრაინაში მმართველი კოალიცია დაიშალა

უკრაინაში მმართველი კოალიცია დაიშალა. „ბიბისის" ინფორმაციით, ფრაქცია „თვითდახმარებამ" განაცხადა, რომ მმართველი საპარლამენტო კოალიცია „ევროპულ უკრაინას" ტოვებს.

ამ გადაწყვეტილებამ საპარლამენტო უმრავლესობის დაშლა გამოიწვია, რადგან კოალიციაში საჭირო 226-ზე ნაკლები დეპუტატი დარჩა.

ფრაქცია „თვითდახმარებაში" განაცხადეს, რომ შეუძლებელია იმ პოლიტიკურ ძალებთან კავშირი, რომლებიც „პარლამენტში ოლიგარქიული გადატრიალების მონაწილეები გახდნენ".

„თვითდახმარება" რიგით მესამე პარტია გახდა, რომელმაც მმართველი კოალიცია დატოვა. პრემიერ-მინისტრ არსენი იაცენიუკის თანამდებობაზე დარჩენის გასაპროტესტებლად ანალოგიური გადაწყვეტილება იულია ტიმოშენკოს „ბატკივშინამ" მიიღო.

გასული წლის სექტემბერში კი მმართველი კოალიცია ოლეგ ლიაშკოს რადიკალურმა პარტიამ დატოვა. (ინტერპრესნიუსი)

## მოსკოვში ქართველი „კანონიერი ქურდი" „ლევან სუხუმსკი" დააკავეს





მოსკოვში ქართველი „კანონიერი ქურდი" ლევან აბულაძე, მეტსახელად „ლევან სუხუმსკი", დააკავეს.

როგორც რუსული მედია რუსეთის შსს-ს პრესსამსახურზე დაყრდნობით წერს, კრიმინალური ავტორიტეტი ქვეყანაში ყალბი პასპორტით იმყოფებოდა.

ძალოვანი უწყების ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს ლევან აბულაძეს რუსეთის ტერიტორიაზე ყოფნა აუკრძალეს, თუმცა მას ქვეყანა არ დაუტოვებია.

რუსი სამართალდამცველების თქმით, ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ნარკოტიკული ნივთიერება „სპაისი" აღმოაჩინეს. (ინტერპრესნიუსი)

## ვლადიმერ პუტინი რაულ ხაჯიმბას შეხვდა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მოსკოვში ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს, რაულ ხაჯიმბას შეხვდა.

როგორც რუსული მედია იტყობინება, პუტინმა განაცხადა, რომ ორმხრივი ურთიერთობა ყველა მიმართულებით ვითარდება, მათ შორის ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში.

– ზედმეტია საუბარი ჩვენი ურთიერთობის განსაკუთრებულ ხასიათზე. ეს ურთიერთობა ვითარდება. ალბათ, არის საკითხები, რომელიც ცალკე განხილვას საჭიროებს, – განაცხადა პუტინმა.

თავის მხრივ, რაულ ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ ორმხრივი ურთიერთობის განვითარება ინტენსიურ ხასიათს უნდა ატარებდეს. (ინტერპრესნიუსი)

## ახმეტაში ნასვამი ზვიადაური ჯერ მანქანას, შემდეგ კი სახლს შეეჯახა — არიან დაშავებულები



ახმეტაში მომხდარი ავარიის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა. როგორც თვითმხილველებმა „კახეთის საინფორმაციო ცენტრს" განუცხადეს, მანქანას, რომელიც ავარიის მიზეზი გახდა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პარლამენტის წევრი, ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ზვიადაური მართავდა. დაზარალებულებს სამედიცინო დახმარება საავადმყოფოში გაუწიეს, თუმცა პოლიციას ფაქტზე გამოძიება არ დაუწყია.

როგორც **news.ge**-ს შსს-ში განუცხადეს, მომხდარი ფაქტის შესახებ უწყებაში ინფორმაცია არ შესულა, – „იქ პატრულირებს პოლიცია და ეს ინფორმაცია ჩვენთან არ შემოსულა".

შემთხვევა 2016 წლის 13 თებერვალს, საღამოს, ქალაქ ახმეტაში მოხდა. როგორც თვითმხილველებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს უთხრეს, ზურაბ ზვიადაური საკუთარი „ტოიოტას" მარკის ავტომანქანით, სახელმწიფო ნომრით **JU-090-DO**, ილია ჭავჭავაძის ქუჩის (ყოფილი სტალინის ქუჩა) გადამკვეთი საუბნო გზიდან დიდი სისწრაფით გამოვიდა და ჯერ ამავე ქუჩაზე მოძრავ „ნისანის" მარკის ავტომანქანას შეეჯახა, შემდეგ კი ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის კედელს.

თვითმხილველების განმარტებით, ავტოავარიის შედეგად „ნისანის" მძღოლი 65 წლის მირიან ქავაზაური დაშავდა – მას მარჯვენა ფეხზე მოტეხილობა აქვს. შედარებით მსუბუქად დაშავდა მისი მეუღლე.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი მირიან ქავაზაურს ტელეფონით ესაუბრა.

**— ბატონო მირიან, როგორ ხართ, ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ფეხი როგორ გაქვთ?**

– ფეხი კარგად მაქვს. თაბაშირში მაქვს ჩასმული და ორ კვირაში მოგიხსნითო, მითხრეს.

**— დაზიანება რა ვითარებაში მიიღეთ?**

– არ ვიცი, რა ვიცი, აბა, სახლში რომ მოვედი, მტკიოდა.

**— ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არ დაშავდით?**

– არა, გადამიბრუნდა, კაცო.

**— თქვენი მეუღლე რა ვითარებაში დაშავდა?**

– მეუღლეს არაფერი უჭირს... ცოტა გვერდი აქვს დაჟეჟილი, ისიც წამლებს სვამს

**— დავუშვათ, თქვენ ფეხი გადაგიბრუნდათ და მოიტეხეთ, თქვენმა მეუღლემ როგორ მიიღო დაჟეჟილობები?**

– რომ წავიქეცი, მაყენებდა და იმან კიდევ სახელურს ჩამოარტყა გვერდი და დაჟეჟილობები მიიღო.

**— ავტოსაგზაო შემთხვევის დროს არ დაშავებულხართ?**

– არაფერი ავტოსაგზაო შემთხვევა არ ყოფილა. ყველაფერი კარგად არის, ყავარჯნებით დავდივარ და ორ კვირაში მომხსნიან.

**— ზურაბ ზვიადაური რომ მონაწილეობს ავტოსაგზაო შემთხვევაში, ამიტომ არ ახმაურებთ ინფორმაციას?**

– ზვიადაურს ტელევიზორიდან ვიცნობ, არც კი ვიცნობ წესიერად. ჩემპიონი რომ გახდა იმ დღიდან... არც მინახავს ეგ ახლოდან.

მირიან ქავაზაურს სამედიცინო დახმარება თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გაუწიეს. საავადმყოფოს დირექტორის ზაზა კოპლატაძის განმარტებით, პაციენტმა ექიმებს უთხრა, რომ დაზიანება კიბიდან ჩამოვარდნის შედეგად მიიღო.

– ისტორიაში ჩანაწერია გაკეთებული, რომ კიბიდან ჩამოვარდა და დაეცა. გაეწია შესაბამისი ტრავმატოლოგიური დახმარება და გაეწერა ბინაზე. რადგან დანაშაულის ნიშნები არ ისახებოდა, ამიტომ პოლიციისთვის არ გვიცნობებია. რაც შეეხება მეუღლეს, ის გარეთ ელოდებოდა, შემდეგ კი რენტგენი გადაიღო. უთხრეს, რომ შინაგანი დაზიანებები არ ჰქონდა და სახლში წავიდა, – აღნიშნა კოპლატაძემ. **(news.ge)**

## სოსო ცისკარიშვილი: მაპ-ი ნიშნავს დამატებით რამდენიმეწლიან შფოთს ქართულ-რუსულ ურთიერთობაში



– აპატურაის გამონათქვამი სწორედ საქართველოს მხარდაჭერას ისახავს მიზნად, – ასე ეხმაურება პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ჯეიმს აპატურაის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, საქართველო მაპ-ს არ მიიღებს. როგორც ცისკარიშვილი განმარტავს, საქართველოს ნატოში გაწევრიანება ყოველგვარი ანონსების გარეშე უნდა მოხდეს, რადგან ზედმეტი მოლოდინი რუსეთის აგრესიას ამძაფრებს.

– ვფიქრობ, სრულიად იგივე მიდგომები აქვს ჩვენს თავდაცვის მინისტრს, რადგან აპატურაიმ პრაქტიკულად მაპ-ი, როგორც ასეთი, ჩათვალა ზედმეტ ინსტრუმენტად საქართველოსთვის. ეს ასე იყო დიდი ხნის განმავლობაში. მაპ-ი ნიშნავს დამატებით რამდენიმეწლიან შფოთს ქართულ-რუსულ ურთიერთობაში. თუ უნდა ნატო-ს საქართველოს მიღება, ყოველგვარი მაპ-ებისა და ანონსების გარეშე შეიძლება ეს მოხდეს როგორც ვარშავის სამიტზე, ისე მომდევნო სამიტებზე. ხანგრძლივი მოლოდინი რუსეთს კიდევ უფრო აღაგზნებს და იმდენად გაველურებულია რუსული ხელისუფლება და გაურბის თვალი და თითი ბირთვული ღილაკებისკენ, რომ ზედმეტი შფოთის შემოტანა არ არის არც საქართველოს და არც ნატო-ს ინტერესებში. ამიტომ, რაიმე გაუგებრობას ჩემთვის ადგილი არ აქვს და მაკვირვებს ბევრი კომენტარი, რომელიც გამოიყენება ანტინატოური განწყობის ჩამოსაყალიბებლად. აპატურაის გამონათქვამი სწორედ საქართველოს მხარდაჭერას ისახავს მიზნად, – განაცხადა ცისკარიშვილმა. (რეპორტიორი)

## ე.წ. ღორის გრიპით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა

ე.წ. ღორის გრიპს კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოყვანილი მამაკაცი გარდაიცვალა.

როგორც მედიკოსები განმარტავენ, გარდაცვალების მიზეზი **H1N1** ვირუსის დაგვიანებული მკურნალობა გახდა. (პირველი რადიო)

## მკვლელობა ძველი ვალის გამო — რა გახდა დიღომში მომხდარი მკვლელობის მიზეზი?




შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღმაშენებლის ხეივანში მომხდარი მკვლელობა ძველი ვალის გამო მოხდა.

უწყების განმარტებით, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს და პირადი ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღიც ამოიღეს. მისი თანმხლები პირების ძებნა კი ამ დრომდე მიმდინარეობს.

– საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული დავით ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული, თანმხლებ პირებთან ერთად, მიმდინარე წლის 16 თებერვალს, თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-9 კილომეტრზე მდებარე ერთ-ერთი კომპანიის ოფისში მივიდა და წარსულში არსებული ვალის გამო მეპატრონეებთან, ძმებთან – ზურაბ ბ-სა და გიორგი ბ-თან ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა. კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც დავით ბ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1967 წელს დაბადებულ ზურაბ ბ-ს, ხოლო 1970 წელს დაბადებული გიორგი ბ. ფეხის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ზურაბ ბ. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო გიორგი ბ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

სამართალდამცველებმა დავით ბ. მომხდარიდან რამდენიმე წუთში, დიღმის მასივში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი – „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო. თანმხლები პირების ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, 117-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით) – აღნიშნულია შს სამინისტროს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# გოგი თოფაძე მართალია — რატომ დუმს და რას ელოდება ბიძინა ივანიშვილი



კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება პიკს აღწევს და სადაცაა ერთმანეთი თმებით ათრიონ, ბიძინა ივანიშვილი კი, რომელმაც კოალიცია შეაკოწიწა, დუმს. შეიძლება დახურულ შეხვედრებზე ზოგიერთებს თათხავს კიდეც, მაგრამ საჯარო განცხადება ჯერ არ გაუკეთებია.

„მრეწველების“ ლიდერი გოგი თოფაძე ვა-ბანკზე მიდის და თავდაცვის მინისტრს ღია ომს უცხადებს. ჯერ იყო და ის სისხლის სამართლის დანაშაულში – საგარეჯოში შუალედური არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა, პროკურატურას მოუწოდა ამ საქმით დაინტერესება, თინას კი შეუთვალა, თავდაცვის სამინისტროში კი არ უნდა იჯდე, პროკურატურის კითხვებს უნდა პასუხობდეო... თოფაძემ, ხიდაშელს „საგზური“ გამოუწერა და უწინასწარმეტყველა, რომ ძალიან მალე ის თავდაცვის მინისტრი აღარ იქნება.

თინა ხიდაშელის განცხადებების შემდეგ, ნატოში აუცილებლად უნდა შევიდეთო, რუსეთთან ჩვენ რა დიალოგის რეჟიმში უნდა გადავიდეთ ან რა ნატო, რის ნატო, აქ რომ ნატოს ჯარები ჩადგნენ, რუსეთი საქართველოს ჰაერში აწევსო, – გოგი თოფაძის ამ პოზიციას, ცხადია, მოსარჩელე მხარე გამოუჩნდა, რესპუბლიკელი“ დავით ბერძენიშვილის სახით, რომელმაც 17 თებერვალს გოგი თოფაძე ანტიკოალიციურ და ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებში დაადანაშაულა. ბერძენიშვილის განცხადებაში იყო შანტაჟის ელემენტები და კატეგორიული მოთხოვნა, – ან გააჩერებთ თოფაძეს, ან კოალიციას დავტოვებთო, მაგრამ „რესპუბლიკელებს“ იმდენი ტვინი კი ყოფნით, რომ ივანიშვილის გარეშე ბარიერს კი ვერ გადალახავენ...

პარტია „ქართულ ოცნებაში“ უმრავლესობის სურვილია, რომ გოგი თოფაძემ „ტროას ცხენის“ ფუნქცია შეასრულოს და კოალიცია მარტივ მამრავლებად დაშალოს? უკვე ძალიან დიდი ხანია ისმის კითხვა – როდის დაიშლება კოალიცია? დიდი ხანია, ვხედავთ იძულებით ერთობას, ერთმანეთისადმი ზიზღსა და სიძულვილს, მაგრამ ფორსმაჟორში შექმნილი კოალიციის ბედი მაინც ერთი კაცის ხელშია, თუმცა ბიძინა ივანიშვილი ამ საკითხში პრინციპული ვერ იქნებოდა რომ არა გარე ფაქტორები, რადგან დასავლეთისთვის კოალიციის ასეთი ფორმით არსებობაა მიზანშეწონილი.

ექსპერტი მამუკა არეშიძე „ალიასთან“ საუბარში აცხადებს, – „კოალიციის დაშლა-არდაშლის საკითხი არ არის მხოლოდ კოალიციის სუბიექტების თემა, სუბიექტებს შეუძლიათ გავიდნენ კოალიციიდან, ხოლო კოალიციის დაშლა, როგორც ასეთი, არ არის მხოლოდ კოალიციის წევრების გადასაწყვეტი. კოალიციის წინაშე ლომის წილი თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა შეიტანა. კოალიციაში შემავალ ლიდერებთან მას პირადი ურთიერთობები აკავშირებს, ზოგ შემთხვევაში მეგობრულიც. 2012 წლის ვითარებიდან გამომდინარე, გუნდმა ასეთი კონფიგურაცია მიიღო, მაგრამ თუ გახსოვთ, მასში შედიოდნენ „თავისუფალი დემოკრატები“, რომლებიც დღეს ამ კოალიციის სუბიექტები აღარ არიან. „თავისუფალი დემოკრატების“ არყოფნა ზუსტად იმ უთანხმოებით არის განპირობებული, რომელიც მათსა და დამფუძნებელს შორის მოხდა. ამიტომ, რასაც დაშალა ჰქვია, არ დაიშლება, თუკი შესაბამის გადაწყვეტილებას არ მიიღებს კოალიციის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი, ხოლო კოალიციიდან გასვლა ნებისმიერს შეუძლია.

რაც შეეხება აქტუალურ კითხვას, გავა თუ არა კოალიციიდან „რესპუბლიკური პარტია“, „რესპუბლიკური პარტიის“ იდეოლოგია წლების მანძილზე აპრობირებულია და ძალიან კარგად იცნობენ ამ ძალას დასავლეთში, ხოლო „ქართული ოცნების“ იდეოლოგიის თაობაზე დასავლეთში ჩამოყალიბებული, ერთგვაროვანი აზრი არ არსებობს. „ქართული ოცნება“ მაინც ცენტრისტულ ძალად შეიძლება წარმოვიდგინოთ რომელიც რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად თამაშობს, სიტუაციიდან და პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე. მოგვწონს თუ არა „რესპუბლიკური პარტია“, ეს ცალკე თემაა, მაგრამ ამ ეტაპზე მათი კოალიციაში ყოფნა, გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, აუცილებელია“...

„ალიას“ კითხვაზე, ვინ შეიძლება უკვეთდეს გოგი თოფაძეს „მუსიკას“, ხომ არ არის ივანიშვილთან შეთანხმებული „რესპუბლიკელებზე“ თავდასხმები, მეჭიაურის, თოფაძის, ქანთარიას მხრიდან? მამუკა არეშიძე პასუხობს: „არ მეგულება ადამიანი, ვის შეკვეთასაც გოგი თოფაძე შეასრულებს, მას ყოველთვის ჰქონდა თავისი მჭახე აზრი, გოგი სულ კონფრონტაციის რეჟიმში იყო მასთან, ვისი აზრებიც არ მოსწონდა, გოგი თოფაძემ გაახმოვანა ის აზრი, რომელიც კოალიციის ნაწილში არსებობს, მათ შორის „ქართული ოცნების“ წიაღში. ბიძინა ივანიშვილს შეიძლება გაღიზიანება ჰქონდეს „რესპუბლიკელების“ მიმართ, მაგრამ ის, რომ ღიად გაილაშქროს „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ, ამ ეტაპზე გამორიცხულია“.

საინტერესოა, ახლა რატომ გაახსენდა „მრეწველთა“ ლიდერს, გოგი თოფაძეს თვეების წინ საგარეჯოში გაყალბებული არჩევნები და რას უკავშირდება მისი გააქტიურება? თოფაძე აცხადებს, რომ ვადაზე ადრე პარლამენტს არ დატოვებს, არადა, „რესპუბლიკელები“ კოალიციიდან მის გარიცხვას ითხოვენ, თუმცა 18 თებერვლის იუბილარს, ბიძინა ივანიშვილს თავისი სეფესიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვამს.

„საყველიეში“ რომ დიდი აურზაურია, ამაში ყოველდღიურად ვრწმუნდებით, ამ კოალიციას პატრონი რომ არ ჰყავს, პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი არმაზ ახვლედიანი თავისი შოკისმომგვრელ განცხადებით ამტკიცებს: „გაერთიანებაში, სადაც გოგი თოფაძე სპიკერად მიიჩნევა, არც ერთი ჭკუათმყოფელი პროფესიონალი არ მივა, მინდა ვუსურვო კვირიკაშვილს, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაათავისუფლოს ბებერი პოლიტიკური ნიანგებისგან პარტია და მოახერხოს ჯანსაღი, დემოკრატიულად მოაზროვნე გუნდის შემოკრება. ასეთ შემთხვევაში, მის ლიდერობას პარტიაში აზრი ექნება, ყველა სხვა შემთხვევაში კი, ეს იქნება ისევ მოჯადოებულ წრეზე ყოფნა. ნიანგები საკუთარ თავს მარტივად ამოიცნობენ“...

არმაზ ახვლედიანმა, რომელიც კვლავ პოლიტსაბჭოს წევრია, სიტყვა დააგდო და ახლა ელოდება, მას როდის გააგდებენ პოლიტსაბჭოდან. როდესაც „მოქალაქეთა კავშირში“ ე.წ. რეფორმატორები აღმოცენდნენ, მაშინაც ასე დაიწყო, „სმკ“ ორად გაიყო – დრომოჭმულ „ბებერ ნიანგებად“ და ე.წ. „რეფორმატორებად“, მაშინ შევარდნაძის ხელისუფლებაში მყოფმა ივანე მერაბიშვილმა ამერიკულ გამოცემა „ვაშინგტონ პოსტს“ ინტერვიუ მისცა, სადაც შევარდნაძეს და მის გუნდს დრომოჭმულ ბებერ „ნიანგებად“ მოიხსენიებდა. ახვლედიანისა და მერაბიშვილის ინტერვიუების შინაარსი დიდად არ განსხვავდება, ვანო „სმკ“-ზე საუბრობდა, ახვლედიანი – „ქართულ ოცნებაზე“, მაშინაც არჩევნებისწინა პერიოდი იყო და შედეგად მივიღეთ „ვარდების რევოლუცია“, რომელიც, ფაქტობრივად, ხელისუფლების შიგნით დაიგეგმა და დასავლეთის დახმარებით განხორციელდა...

საინტერესოა, რა თამაშს თამაშობენ „რესპუბლიკელები“ არმაზ ახვლედიანთან ერთად და თუკი პარტია „ქართული ოცნება“ თამაზ მეჭიაურის ამოჩემებული გზით წავა და ყველა სუბიექტის არჩევნებზე ცალ-ცალკე გასვლა გადაწყდება, რა მოხდება ქვეყანაში?! უახლესი ისტორიიდან გვახსოვს, რომ ხელისუფლებაში მყოფი პროდასავლური ძალა დომინანტია და დასავლეთი მათ გადასარჩენად ფერადი რევოლუციების გზით მიდის...

> **„როდესაც „მოქალაქეთა კავშირში“ ე.წ. რეფორმატორები აღმოცენდნენ, მაშინაც ასე დაიწყო, „სმკ“ ორად გაიყო — დრომოჭმულ „ბებერ ნიანგებად“ და ე.წ. „რეფორმატორებად“, მაშინ შევარდნაძის ხელისუფლებაში მყოფმა ივანე მერაბიშვილმა ამერიკულ გამოცემა „ვაშინგტონ პოსტს“ ინტერვიუ მისცა, სადაც შევარდნაძეს და მის გუნდს დრომოჭმულ ბებერ „ნიანგებად“ მოიხსენიებდა. ახვლედიანისა და მერაბიშვილის ინტერვიუების შინაარსი დიდად არ განსხვავდება, ვანო „სმკ“-ზე საუბრობდა, ახვლედიანი — „ქართულ ოცნებაზე“, მაშინაც არჩევნებისწინა პერიოდი იყო და შედეგად მივიღეთ „ვარდების რევოლუცია“**

## რუსთავში სამი მამაკაცი დაჭრეს

ურთიერთშელაპარაკებისას რუსთავში სამი ახალგაზრდა დაჭრეს. შემთხვევა გვიან ღამით მე-7 მიკრორაიონში მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მამაკაცებს შორის ჩხუბი გარკვეულ უთანხმოებას მოჰყვა. ადგილზე საპატრულო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები იყვნენ მობილიზებულები. დაჭრილები რუსთავის კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა ერთ-ერთი დაზარალებულის თბილისში ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმედ დაზიანებას გულისხმობს. (რუსთავი ინფო)

## „ეს ოთხივე სწორედაც რომ წურბელაა, ქართული სახელმწიფოს კისერზე მოკალათებული“



„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი „ფეისბუკით“ პოსტს აქვეყნებს:

– კვლავ გია ვოლსკის მინდა გამოვეხმაურო: ამ 3 წლის მანძილზე, რაც ხელისუფლებაში აღმოჩნდით, რამდენჯერ და რამდენი განცხადება გააკეთეს კომუნისტინმა, გამყალბებლოვამ, ძმებმა სტუკაჩოვებმა, ან თუნდაც, ზახარინმა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა თქვენი კოალიციის გაცხადებულ პრინციპებსა თუ პრიორიტეტებს? მაგრამ ხმაც არ ამოგიღიათ! თქვენივე პარტიის ლიდერებს ლანძღავენ და ტალახში სვრიან და კვლავ დუმხართ! რატომ?

„რესპუბლიკელები“ რომ რაღაცას იტყვიან, ეს თურმე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა... თქვენს ლიდერებს რომ ლანძღავენ, უბრალოდ, გეშინიათ, რომ დაიცვათ, ხოლო თოფაძემ რომ სიმართლე თქვა, ეს კოალიციის საწინააღმდეგო განცხადებაც ყოფილა და ანტისახელმწიფოებრივიც.

ახლა მე მომისმინეთ, ბატონო გია და კარგად მომისმინეთ: ჯერ ერთი, რომ თინა გამყალბებლოვა არც სახელმწიფოა და არც საქართველო. არც დავით კომუნისტინია საქართველო, არც ძმები სტუკაჩოვები. ეს ოთხივე სწორედაც რომ წურბელაა, ქართული სახელმწიფოს კისერზე მოკალათებული. საგარეო კურსით სპეკულაცია ახალი არ არის.

ჯერ სააკაშვილი სპეკულირებდა და, საბოლოო ჯამში, სოხუმი და ცხინვალი გაყიდა. ახლა ეს წურბელები სპეკულირებენ. სინამდვილეში კი, ბათუმის, ოზურგეთისა და ახალციხის გაყიდვა სურთ. ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებლობის დაკანონებაზე ლაპარაკს აღარც ერიდებიან – ღიად ლაპარაკობენ! ვისაც აქამდე თვალი არ აეხილა, ახლა მაინც მოიხსნას მზის სათვალე. (marshalpress.ge)

## თქვენი მთავარი ლიდერი დარბის ტყეში, თხრის ხეებს და საკუთარ ეზოში გადარგვას აპირებს — ნუგზარ წიკლაური



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი ნუგზარ წიკლაური „ქართულ ოცნებას" შეუსრულებელ დაპირებებს ახსენებს:

– თქვენ ბრძანდებით ის პარტია, რომელმაც აულაგმავი პოპულიზმით გადაწყვიტა ქართველი ხალხის გამასპინძლება და დაჰპირდა ისეთ რამეებს, რომელთა მეათედიც კი არ შეუსრულა ჩვენს ხალხს, საუბარი ახლა იმაზე, რომ ვინმე პოპულისტობს აქ, არის სრულიად გადამეტებული და არანაირად სინამდვილეს არ შეეფერება.

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მთელ კახეთში დენისა და გაზის გაძვირება ამ გაუსაძლისი ვითარების დროს არის მხოლოდ პოპულიზმი, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ხალხი ამორიცხეთ თქვენ იმ ადამიანთა ნუსხიდან, რომელზეც ზრუნვა გევალებათ. ისევე, როგორც ამორიცხეთ საქართველოს სხვა კუთხის მაცხოვრებლებიც, რომლებსაც ჰპირდებოდით ბედნიერების მთებს და არაფერი ამ დაპირებათაგან არ შეასრულეთ. სწორედ ეს მიუთითებს სახელმწიფო ხედვის ნაკლებობაზე თქვენი მხრიდან.

თქვენი საუბრები იმაზე, როცა ჩვენ ხელისუფლებას აკრიტიკებდით, იყო თითქოს ჩვენ რაღაც ახირებულები ვართ. ოღონდ ჩვენი ახირებები იყო დაკავშირებული სიღნაღის აღმშენებლობასთან, ლაზიკის პორტის შენებასთან, იუსტიციის სახლების გახსნა, ახალი ავტობანების გახსნა, ჩვენი ახირებები იყო საქართველოს სრულიად სხვა ქვეყნად გადაქცევა, მაგრამ ახლა ვიკითხოთ, აი, ამ ფონზე რა არის თქვენი ახირებები?

თქვენი ახირებაა ის, რომ თქვენი მთავარი ლიდერი, რომელიც გყავთ, არის დაკავებული იმით, რომ დარბის ტყეში, თხრის ხეებს და აპირებს ამ ხეების საკუთარ ეზოში გადარგვას. დავფიქრდეთ, რომელი ახირება უფრო უმჯობესია – ის, რომ აშენებდე ქვეყანას, საფუძველს უყრიდე ქვეყნის განვითარებას თუ ის, რომ მხოლოდ იმაზე ფიქრობდე, რას ამოთხრი და რას მიიტან სახლში?! ეს იყო განა „ქართული ოცნების" დაპირებები? – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა. (ნიუპოსტი)

## გოგი თოფაძე: მურვან ყრუ არ სძულდა საქართველოს მოსახლეობას ისე, როგორც ძმები ბერძენიშვილები სძულს



– სანამ არ დამიწყეს შეურაცხყოფა და კბენა, კოალიციის არც ერთ წევრზე აუგი არ მითქვამს, – ამის შესახებ უმრავლესობის წევრმა გოგი თოფაძემ ტელეკომპანია „იბერიის" ეთერში განაცხადა.

დეპუტატმა გაიხსენა თინა ხიდაშელთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებული განცხადება და ისევ გაიმეორა, რომ თავდაცვის მინისტრმა უხეშად დაარღვია კანონი საგარეჯოს არჩევნებში და კოალიციას ძალიან ბევრი პრობლემა შეუქმნა.

– მან მომაყენა შეურაცხყოფა და გავეცი პასუხი, თუ მას მიაჩნია, რომ რამე არასწორი ვთქვი ამ არჩევნების მიმართ, შეუძლია, მიჩივლოს, – განაცხადა თოფაძემ.

თოფაძე, ასევე, გამოეხმაურა ძმებ ბერძენიშვილების განცხადებებს, რომლებიც თინა ხიდაშელს გამოექომაგნენ და აღნიშნა, რომ არც თინა ხიდაშელს და არც ბერძენიშვილებს არ აქვთ უფლება, ისეთი განცხადებები გააკეთონ, როგორიც გააკეთეს.

– ლევან ბერძენიშვილს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი რომ არ ჰქონდეს, ის ასე აქტიურად არ ჩაერეოდა. მე 80-იანი წლების მის ძალიან სამარცხვინო ქმედებას მოგიყვანთ, როდესაც მისი თანაგუნდელები, რომლებიც პოლიტიკური საბაბით ერთად იყვნენ პატიმრები, როგორ ჩაუშვა, როგორ გაათავისუფლეს თვითონ „კაგებეს" თანამშრომლებმა და დანიშნეს სამსახურში და როგორ ჩააგდო ვახტანგ ძაბირაძე, ვახტანგ შონია და ზამბახიძე. ამის მერე მის ბიოგრაფიას აღარ მოვყვები. საჯარო ბიბლიოთეკაში რაც გააკეთა, ეს კიდევ სხვა თემაა, – განაცხადა თოფაძემ.

მისივე თქმით, ის ამ შემთხვევაში აკრიტიკებს ძმებ ბერძენიშვილებსა და თინა ხიდაშელს და არა მთლიანად „რესპუბლიკურ პარტიას".

– ისინი სძულს საქართველოს მოსახლეობას. მურვან ყრუ რომ იყო, ისე არ სძულდათ, როგორც ისინი სძულთ. არ აქვთ მათ მორალური უფლება, ასე ხელაღებით ილაპარაკონ კოალიციის რომელიმე წევრზე. არასოდეს მე, მიუხედავად იმისა, რომ რაღაცებში არ ვეთანხმებოდი, სანამ არ დამიწყეს შეურაცხყოფა და კბენა, კოალიციის არც ერთ წევრზე უარი ან აუგი არ მითქვამს, – განაცხადა გოგი თოფაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## მიხვდა, ნაწყენები რომ ვართ და შეცვალა „პლასტინკა"



ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის თქმით, ალიანსის ყველა წევრი იზიარებს მოსაზრებას, რომ საქართველო, მიუხედავად ტერიტორიული კონფლიქტებისა, ნატოს წევრი მაინც გახდება. აღნიშნული განცხადება ჯეიმს აპატურაიმ აზერბაიჯანულ მედიასთან გააკეთა.

– 2008 წლის კონფლიქტი ართულებს ქვეყნის ალიანსის წევრობის საკითხს, ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება ხვალ, მაგრამ აუცილებლად მოხდება, – განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

მისი თქმით, საქართველოს გასატარებელი აქვს რეფორმები, რომლებზეც მხარეები ამჟამად მუშაობენ:

– ჩვენ ახლა ჩვენი ურთიერთობების გაფართოებაზე ვმუშაობთ და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით კონფლიქტების მალე მოგვარების იმედი გვაქვს, – აღნიშნა აპატურაიმ. (ნიუპოსტი)

## ნონა გაფრინდაშვილი და ზაზა ფირალიშვილი შეწყალების კომისიის წევრები გახდნენ

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ნონა გაფრინდაშვილი და ზაზა ფირალიშვილი შეწყალების კომისიის წევრები გახდნენ. კომისია იურისტმა თამარ ხიდაშელმა დატოვა.

ამ დროისთვის კომისიაში 11 წევრია. (ნიუპოსტი)

## ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიის ბანკს სასამართლოში უჩივლა



**The Wall Street Journal**-ის ინფორმაციით, საქართველოს ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ჟენევის სასამართლოში შვეიცარიის ბანკ **Credit Suisse**-ის მენეჯერის მოქმედების გამო, სარჩელი შეიტანა. ბანკი ივანიშვილის საინვესტიციო პორტფელს მართავდა.

გამოცემის ინფორმაციით, ივანიშვილი ამბობს, რომ ბანკირმა ვერ შეძლო მისი საინვესტიციო პორტფელის წარმართვა, რამაც შესამჩნევი ზარალი გამოიწვია.

ბიძინა ივანიშვილმა დეკემბერ-იანვარში ჟენევის პროკურორთან რამდენიმე საჩივარი გაგზავნა, სადაც ის შვეიცარიის ბანკის მენეჯერს თაღლითობასა და ცუდ მენეჯმენტში სდებს ბრალს, – აღნიშულია სტატიაში. (ipress.ge)

## შოთა არველაძემ საქართველოს ეროვნული ნაკრების გაწვრთნაზე უარი თქვა



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავებაზე ფეხბურთელმა შოთა არველაძემ უარი თქვა.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა აღნიშნა, დიდი სურვილი ჰქონდა, ნაკრების სათავეში შოთა არველაძე მოსულიყო, თუმცა ეს თემა დაიხურა.

კობიაშვილის თქმით, ამჟამად მოლაპარაკება ორ უცხოელ სპეციალისტთან მიმდინარეობს.

ყველა შემთხვევაში, 29 მარტისთვის, როცა საქართველოს ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ყაზახეთს უნდა უმასპინძლოს, გუნდს ახალი მწვრთნელი ეყოლება. (ნიუპოსტი)

## „საზაფხულოდ ევროპულ და ამერიკულ ავტომობილებზე ფასები გაიზრდება"



საქართველოში იმპორტირებულ ავტომობილებზე მოთხოვნა შემცირდა. ავტოდილერებს ჯერჯერობით უჭირთ სტატისტიკაზე საუბარი, თუმცა, მყიდველთა რაოდენობის კლება, მათი თქმით, თვალშისაცემია. რაც შეეხება ფასებს, როგორც „ჯორჯიან იმპორტის" წარმომადგენელი აღნიშნავს, ცვლილება, ამ მხრივ, ბოლო პერიოდში საგრძნობი არაა.

– იმპორტირებულ ავტომობილებზე ჯერჯერობით ფასები იგივე რჩება. წესით, უნდა გაძვირებულიყო, მაგრამ რადგან მყიდველთა რაოდენობა ძალიან მცირეა, ფასების გაზრდაც არ მომხდარა. ვფიქრობთ, საგაზაფხულოდ ევროპულ და ამერიკულ ავტომობილებზე მოთხოვნა და ფასებიც გაიზრდება. რუსთავის ავტომობილების ბაზრობაზე მეზობელი ქვეყნებიდან მომხმარებლის 80 პროცენტი ადგილობრივი რეგულაციების გამო, ისედაც აღარ ჩამოდიოდა. დღევანდელი მდგომარეობით კი მანათის გაუფასურების შედეგად, აზერბაიჯანელ მყიდველთა წილი დაახლოებით 2-3 პროცენტია, – აცხადებს „ჯორჯიან იმპორტის" წარმომადგენელი.

„რობანი მოტორსის" დირექტორის, ელგუჯა ჯამაგიძის თქმით, ავტომობილების რეალიზაცია გართულებულია. იგი აღნიშნავს, რომ იანვარ-თებერვალში მანქანების გაყიდვის ტემპი, ზოგადად, დაბალია და იმედოვნებს, რომ ვითარება გაზაფხულიდან შედარებით გამოსწორდება.

– ეს თვეები ავტომობილების ბიზნესისთვის საკმაოდ პასიურია. სადღესასწაულო დღეების, შეცვლილი კლიმატური პირობების თუ სხვა მიზეზთა გამო, მაგრამ მოთხოვნის შემცირება რომ თვალშისაცემია, ეს ფაქტია, – აცხადებს ელგუჯა ჯამაგიძე.

საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის შალვა ოგბაიძის განცხადებით, მოთხოვნის შემცირება რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობამ, მათ შორის ლარის გაუფასურებამ და მეზობელ ქვეყნებში საექსპორტო ბაზრების ჩაკეტვამ გამოიწვია.

– მოგეხსენებათ, საქართველოში ავტობიზნესის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი რეექსპორტია, იმპორტირებული მანქანების კოსმეტიკური შეკეთება და გარკვეულ ვადაში, განუბაჟებლად მეზობელ ქვეყნებში გაყვანა არსებულ სიტუაციას საკმაოდ აბალანსებდა, თუმცა ეს ბაზრები ადგილობრივი რეგულაციების გამო, საქართველოსთვის თითქმის დაკეტილია. ლარის კურსის ვარდნისა და რეექსპორტის მნიშვნელოვნად შემცირების ფონზე კი მივიღეთ ავტომანქანებზე შემცირებული მოთხოვნა და გადავსებული ბაზარი. ამ ეტაპზე მიწოდება აშკარად სჭარბობს მოთხოვნას, რაც თავისთავად კარგი არ არის, – აღნიშნავს ოგბაიძე.

მისივე თქმით, ხშირ შემთხვევაში ბევრი ადამიანი ავტომობილს თვითღირებულებაზე ნაკლებადაც კი ყიდის. ამასთანავე, ის მიიჩნევს, რომ ავტომობილებზე ფასები გაზაფხულიდან დარეგულირდება.

– ვფიქრობ, რომ რამდენიმე თვეში ეს სიტუაცია უნდა გამოსწორდეს. ბიზნესის შეჩერება შეუძლებელია, საქართველოში, ზოგადად, საკმაოდ მყარი მოთხოვნა არსებობს ავტომობილებზე, 50-60 ათასი ავტომობილი ყოველ წელს – ეს სტატისტიკური მონაცემი საკმაოდ დიდი ციფრია, – აღნიშნავს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის მონაცემებით, ავტომობილების იმპორტი უმსხვილესი საიმპორტო საქონლის წილში 6 პროცენტს შეადგენს. (allnews.ge)

## ქუთაისის მერიამ „ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ სასამართლო წააგო




ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მერიის სარჩელი ბათილად ცნო, რის საფუძველზეც „ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაცია, 1000-ლარიან სანქციას გადაურჩა.

მოსამართლემ სამართლებრივი დარღვევების არქონის გამო, საქმის წარმოება შეწყვიტა. ქუთაისის მერია კი გადაწყვეტილების გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ოფისის აივნიდან „თავისუფალი ზონის" წევრებმა საპროტესტო პლაკატები გადმოფინეს – „არა გაზპრომს" და „არა რუსი ოლიგარქის ოცნებას", რის გამოც ქუთაისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა, ორგანიზაციის დაჯარიმება გადაწყვიტა. მიზეზად კი ისტორიულ უბანში, მსგავსი ქმედებების დაუშვებლობა დაასახელა.

აღნიშნულ ფაქტს პარლამენტის დეპუტატი, გია თევდორაძეც გამოეხმაურა და ადგილობრივ თვითმმართველობას არაკომპეტენტური უწოდა, ხოლო ქუთაისის მერიას – ბიძინა ივანიშვილის სადამსჯელო რაზმი.

– მურღულიას უწყება არის ივანიშვილის რეჟიმის ეგზეკუცია, იგივე სადამსჯელო რაზმი. ისინი დაკავებული არიან პოლიტიკური ოპონენტებისთვის ჯარიმების ოქმის გამოწერით და ორსული ქალების განთავისუფლებით, – განაცხადა გია თევდორაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას. (ipress.ge)

# ნავთობის ფასების პროგნოზი შემცირდა



საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო **Standard & Poor's**-მა „ბრენტის“ მარკის 2016 წლის ფასების პროგნოზი შეამცირა.

სააგენტოს პროგნოზით, მიმდინარე წელს „ბრენტის“ მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 40 დოლარი იქნება, ნაცვლად მანამდე ნავარაუდევი 55 დოლარისა.

**S&P**-მა, ასევე, შეამცირა 2016-2019 წლების ფასების პროგნოზი. სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნულ პერიოდში „ბრენტის“ მარკის ნავთობზე ფასი ბარელზე 46 დოლარი იქნება, ნაცვლად ნავარაუდევი 65 დოლარისა.

სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ რუსეთსა და ოპეკის რამდენიმე წევრ ქვეყანას შორის მიღწეული შეთანხმება ნავთობის მოპოვების მოცულობის გაყინვაზე, მნიშვნელოვნად არ აისახება ნავთობის ფასებზე. **(bpn.ge)**

# „თქვე ვითომ ქამარშემოჭერილო ღორებო, თქვენი პრემიების მეათედი მაინც ჩაუტანეთ ადამიანებს...“



გადაცემა „მძიმე კაცთან“ წამყვანი, დავით კოვზირიძე სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს და წეროვანში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახის გასაჭირზე წერს:

– წეროვანში ვიყავით ეხლა. ხალხს უჭირს, მაგრამ მაინც მაგრად დგანან, თუმცა ერთი ოჯახის ამბავი მაინც შემზარავია – ხანშიშესული, უსინათლო დედა და მისი პატარა შვილი, ბიჭი, რომელიც დედას უვლის, აჭმევს, ატარებს აქეთ-იქით, რეცხავს, ალაგებს და ყველაფერს აკეთებს. ეს ოჯახი უმძიმეს საცხოვრებელ პირობებშია, ჰოდა, მთავრობას, გამგეობებსა და ასე შემდეგ მივმართავ – თქვე ვითომ ქამარშემოჭერილო ღორებო, ერთხელ მაინც ჩადით იქ და თქვენი პრემიების მეათედი მაინც ჩაუტანეთ ადამიანებს, რომლებიც უბრალოდ ტრაგიკულად არსებობენ...

სტატუსის გამოქვეყნების შემდეგ ავტორს არაერთი ადამიანი შეეხმიანა და გაჭირვებულ ოჯახს დახმარება გაუწია.

– ძალიან მაგარია, რომ გუშინდელი სტატუსის შემდეგ უამრავი ადამიანი შემეხმიანა და წეროვანში, იმ ოჯახში, ბევრი საჩუქარი თუ აუცილებელი ნივთი მიაქვთ. გვიყურეთ უსაქმურო, უსინდისო ჩინოვნიკებო და შეგრცხვეთ, – წერს დავით კოვზირიძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (ნიუპოსტი)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

„ალიას“ ოთხშაბათის (17 თებერვალი) ნომერში ვწერდით, ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ („აფბა“) საზოგადოებას ონლაინკაზინოების რეგულირების კონცეფცია წარუდგინა, რომელიც უახლოეს ხანში კანონპროექტის სახეს მიიღებს და პარლამენტში შევა. როგორც ამ ასოციაციის ანალიტიკოსმა, ზურაბ კუკულაძემ ისაუბრა „ალიასთან“, რეგულაციები დაახლოებით ასე ჩამოყალიბდება: 1. ეს არის თანხების აღრიცხვა და გადასახადის დადგენა. დღევანდელი მდგომარეობით, კაზინოების მფლობელები კი იხდიან მოსაკრებელს, მაგრამ ამაში ავტომატურად იგულისხმება ონლაინ-თამაშების გადასახადიც. ახლა საერთოდ არ არის ცნობილი, რა თანხები ტრიალებს ამ კუთხით, ვინ რამდენს იგებს, ვინ რამდენს აგებს. ბოლო წლებში ძალიან სწრაფად განვითარდა ეს სფერო – მაგალითად, თუ 2011 წელს აქ იყო 200-მილიონიანი ბრუნვა, 2015 წელს ავიდა 2 მილიარდზე, ხოლო გადასახადი იგივე დარჩა; 2. სისტემა უნდა გახდეს გამჭვირვალე, უნდა შეიქმნას ერთიანი ინტერნეტ-ბაზა, სადაც მოექცევა ყველა კაზინო, ტოტალიზატორი თუ ინლაინმოთამაშე და ყველა ტრანზაქცია საგადასახადო სამსახურისთვის გამჭვირვალე იქნება. საგადასახადოს უნდა ჰქონდეს წვდომა, რომელი კაზინო რა გადარიცხვებს აკეთებს, რა შემოსავლები ფიქსირდება და ასე შემდეგ; 3. გარდა ონლაინკაზინოებისა, ასევე უნდა დარეგისტრირდნენ მოთამაშეებიც. ესეც გამჭვირვალე გახდება, ოღონდ სახელმწიფოსთვის. სახელმწიფომ უნდა იცოდეს მოთამაშეების რეალური ვინაობა. იუსტიციის სახლში ყველა დარეგისტრირდება რეალური მონაცემებით. გაიცემა კოდები, რომელთა საშუალებითაც მოხდება კონტროლი; 4. გადასახადი უნდა დაუწესდეთ მოთამაშეებსაც, ეს უკვე იქნება ფიქსირებული. პროექტის მიხედვით, დაწესდება ან ერთჯერადად წლიური 1200 ლარი, ან 100 ლარი თვეში. მოთამაშემ უნდა იყიდოს უფლება სახელმწიფოსგან; 5. დაწესდება სათამაშო ლიმიტი, დარეგისტრირებულ მოთამაშეს არ ექნება თვეში 100 ლარზე მეტის წაგების უფლება. ვისაც არ უნდა, რომ ფინანსთა სამინისტროში წარადგინოს დეკლარაცია, ასეთებს ეძლევათ რეალურ კაზინოში თამაშის უფლება, იქ უკვე გზა ხსნილი აქვთ; 6. 100-ლარიანი ლიმიტი არ გავრცელდება უცხოელებზე, რომლებიც ჩამოსულები არიან და აქ თამაშობენ, რადგან ამ შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს ერთგვარ ინვესტიციასთან.

# პრემიერი კვირიკაშვილი ონლაინ კაზინოების დახურვას აპირებს

## რას უპასუხებენ „ალიას“ კაზინოების მფლობელები?





იკაშვილმა მაშინ ისიც აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს ონლაინ და რეალური კაზინოები, რადგანაც რეალური კაზინოები საქართველოს ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩვენთან უკვე ასეულობით ონლაინკაზინო ჩაირთო ინტერნეტში. მათი დიდი ნაწილი, თითქმის 98 პროცენტი, მსხვილი სათამაშო კომპანიების საკუთრებაა, მათ შორის ჩვეულებრივი კაზინოების. თუ მკაცრი რეგულაციები დაწესდება, ცხადია, ისინი შემოსავლების ნაწილს დაკარგავენ, ამიტომ, რატომ არ სურთ ამ კონცეფციაზე საუბარი, გაუგებარია.

> „დავუშვათ, დაწესდა ონლაინთამაშების კონტროლი, ესეც ძალიან ძნელია, ნებისმიერ დროს ისეთ რაღაცას გააკეთებენ, აზრზე ვერ მოხვალ. თუმცა მე არ ვამბობ, რომ ეს საჭირო არ არის. მაგალითად, თუ გარიგებაა, ისე წავაგებ და იმდენს წავაგებ, გინდა ფინანსური პოლიცია უყურებდეს, გინდა – პროკურატურა, მაინც ვერ მომედავებიან“

„ალია“ შეეცადა, კაზინოების – „აჭარაბეთისა“ და „ევროპაბეთის“ ხელმძღვანელებს ან წარმომადგენლებს გასაუბრებოდა და ზემოჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვები დაესვა. „აჭარაბეთიდან“ გვითხრეს, რომ აქეთ დაგვირეკავდნენ, ხოლო „ევროპაბეთმა“ წერილობითი შეკითხვები მოითხოვა და გადავუგზავნეთ, მაგრამ არც ვინმე დაგვკავშირებია და არც პასუხები გამოუგზავნია ვინმეს. ალბათ, ჯერ დასკვნების გაკეთება ცოტა ნაადრევია, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი საერთოდ არ ამოიღებენ ხმას. არა და, საინტერესო იყო ამ კონცეფციაზე მათი მოსაზრების მოსმენა – რა პრობლემები შეექმნება მათ ბიზნესს, რას ეთანხმებიან კონცეფციაში და რას – არა.

სხვათა შორის, გიორგი კვირიკაშვილი ჯერ კიდევ პრემიერმინისტრობის კანდიდატი იყო, როცა განაცხადა, ინტერნეტკაზინოები სათანადო რეგულაციების არარსებობის გამო ქვეყნის მოსახლეობას მნიშვნელოვნად აზიანებსო. კვირიკაშვილმა მაშინ ისიც აღნიშნა...

სხვათა შორის, ონლაინ კაზინოები მაშინაც საერთოდ დადუმდნენ, როცა გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა ხმამაღალი განცხადება. თუ ისინი ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მოინდომებენ საუბარს, ჩვენ, მათ პოზიციასაც დავაფიქსირებთ.

### რა ხდება რეალურად ონლაინ კაზინოებში?

**როგორც ფინანსური პოლიციის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ამბობს „ალიასთან“, კაზინოებისა და ონლაინთამაშების მესვეურები თავიანთი გადასახედიდან ხმას არასოდეს ამოიღებენ, რადგან კარგად იციან, თუ საკითხებს სამართალდამცავები ჩაუღრმავდებიან, ხეირი არ დაადგებათ:**

– ვინც აზარტული თამაშების სისტემაში ერკვევა, ყველამ იცის, რომ საერთოდ კაზინო არსებობს ფულის გასათეთრებლად. როცა მე ვიყავი ფინანსურ პოლიციაში, მაშინ ერთი მაგიდა, საშუალოდ, 6-7 ათასი ლარი ღირდა, ასე იყო გადასახადი ყოველთვიურად. როგორც ვიცი, ახლა მეტია, სადღაც 10 ათასამდე ადის. სათამაშო აპარატებზე სხვა გადასახადი იყო.

**— სერგო, ამიხსენი, როგორ შეიძლება ონლაინთამაშების გაკონტროლება ისე, რომ თანხები ვერ დამალონ? კი, ბატონო, დარეგისტრირდებიან საჯარო რეესტრში, საგადასახადოსთვის ყველაფერი იქნება გამჭვირვალე და ასე შემდეგ. კიდევ რა შავი ხვრელები არსებობს?**

– არ არსებობს, ბოლომდე ვინმემ გააკონტროლოს მოგება, შავი ფული ყველაზე იოლად კაზინოში თეთრდება.

დავუშვათ, დაწესდა ონლაინთამაშების კონტროლი, ესეც ძალიან ძნელია, ნებისმიერ დროს ისეთ რაღაცას გააკეთებენ, აზრზე ვერ მოხვალ. თუმცა მე არ ვამბობ, რომ ეს საჭირო არ არის. მაგალითად, თუ გარიგებაა, ისე წავაგებ და იმდენს წავაგებ, გინდა ფინანსური პოლიცია უყურებდეს, გინდა – პროკურატურა, მაინც ვერ მომედავებიან. ონლაინთამაშების შეზღუდვა შეიძლება ლიმიტების დაწესებით და ფიქსირებული გადასახადის შემოღებით, მაგრამ თუ სამართალდამცავებმა შიგნით უფრო ღრმად არ ჩაიხედეს, თუ საკითხი არ შეისწავლეს, მაშინ ისინი სხვა ხვრელებს გამოძებნიან. სხვათა შორის, მოთამაშეებს უნდა დაუწესონ ფიქსირებული გადასახადი, რადგან ყველა ლატარიაზე არის დაწესებული, როდესაც ადამიანი თანხას იგებს, მას უკავებენ საშემოსავლოს. ჩვენს პრემიერს ერთი პერიოდი უნდოდა, საერთოდ გაეუქმებინა ონლაინთამაშები, მაგრამ, როგორც ჩანს, არ გამოვა, ამიტომ ასეთი შეზღუდვები დააწესონ და ვისაც ფული არ აქვს, ცოტა „დაჭკვიანდება“. პრინციპში, თუ ონლაინთამაშები შეიზღუდება, მათ მფლობელ კაზინოებს ბევრი არაფერი დააკლდება, შენ აზრზე არ ხარ, საქართველოში რამდენი უცხოელი ჩამოდის ყოველდღიურად და თამაშობს. მათ ძირითადად შავი ფული ჩამოაქვთ, ათეთრებენ და რაკი პროცენტებს აქ ტოვებენ, ყველა ჩუმადაა. ეს ძალიან დიდი ფულის ჭაობია.

# „რუსეთს არ გააჩნია ვალდებულება, გამოძიებასთან ითანამშრომლოს, მაგრამ ჩვენ ვაგრძელებთ ძალისხმევას“



ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამუშაო ჯგუფმა თბილისში სამდღიანი ვიზიტი შეაჯამა.

ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისის წარმომადგენელმა ფაქისო მოჩოჩოკომ განაცხადა, რომ არ შეიძლება გადაჭრით იმის თქმა, ითანამშრომლებს თუ არა რუსეთი გამოძიებასთან.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე პროკურორის ოფისის წარმომადგენლები არ გეგმავენ რუსეთში ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩასვლას და დღეისთვის მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდში იმყოფებიან.

– რუსეთი არ არის რომის სტატუტის მონაწილე ქვეყანა და თუ მხოლოდ კანონის კუთხით ვისაუბრებთ, არ გააჩნია ვალდებულება, გამოძიებასთან ითანამშრომლოს, მაგრამ არაფერი უშლის ხელს, ეს საკუთარი სურვილით გააკეთოს. ჩვენ ვაგრძელებთ ძალისხმევას, რომ რუსეთი ჩავრთოთ ამ პროცესში. უარის შემთხვევაში გამოძიება გაგრძელდება და ჩვენი საკუთარი საშუალებებით მოვიპოვებთ სამხილებს. მართალია, ეს უფრო გაართულებს პროცესს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გავაგრძელებთ სამხილების მოპოვებას, – განაცხადა ფაქისო მოჩოჩოკომ. (პირველი რადიო)

# იტალიის ხელისუფლება ერდოღანის ვაჟს ფულის გათეთრებაში ეჭვმიტანილად მიიჩნევს



თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის ერთ-ერთი ვაჟი ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის მონაწილედ მოიაზრება. აღნიშულ გამოძიებას იტალიის ხელისუფლება ახორციელებს.

აქამდე იყო შემთხვევა, როდესაც რუსეთმა ერდოღანის ვაჟს ნავთობის კონტრაბანდაში დასდო ბრალი.

გამოძიება თურქეთის პრეზიდენტის ერთ-ერთი ვაჟის, 35 წლის ბილალ ერდოღანზე, იტალიის პროკურორმა გახსნა, – წერს „ტაიმსი“. გამოცემის ინფორმაციით, სამართალდამცავი ორგანოები, პრეზიდენტის ვაჟის საქმით თურქი ბიზნესმენის საჩივრის შემდეგ დაინტერესდნენ. **(ipress.ge)**

## დასავლური მუსიკის მოსმენისთვის ISIS-მა 15 წლის ბიჭი სიკვდილით დასაჯა

15 წლის აიჰამ ჰუსეინი „ისლამური სახელმწიფოს“ წევრებმა პოპ-მუსიკის მოსმენისთვის ერაყის ქალაქ მოსულში დაიჭირეს, შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს.

აიჰამ ჰუსეინი ჯიჰადისტებმა პოპ-მუსიკის მოსმენისას მამის მაღაზიაში, მოსულის დასავლეთ ნაწილში დაიჭირეს. მისი ცხედარი კი ოჯახს სამშაბათს გადასცეს.

ბიჭის სიკვდილით დასჯას ადგილობრივი მაცხოვრებლებიც ესწრებოდნენ. (fortuna.ge)

## ფირმებს, რომლებიც უცხოეთში დასაქმების მომსახურებას ეწევიან, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში დარეგისტრირება მოუწევთ

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში დარეგისტრირება სავალდებულო იმ ფირმებისთვისაც იქნება, რომლებიც უცხოეთში დასაქმების მომსახურებას ეწევიან. ამას მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს.

მთავრობის ინიციატივით, რეესტრის ახალი სახე - ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრი იქმნება, სადაც რეგისტრირება სავალდებულო გახდება იმ პირებისთვის, რომლებიც ახორციელებენ: სურსათის, ცხოველური და მცენარეული საკვების პროდუქციის წარმოებასა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას, კოსმეტიკურ-ესთეტიკურ მომსახურებას და ასევე, ისეთ საქმიანობას, რომელიც უცხოეთში დასაქმებას უკავშირდება. ყველა სხვა სუბიექტისთვის ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში დარეგისტრირება ნებაყოფლობითი იქნება.

– აღნიშნული სამი სახეობის საქმიანობა მომეტებულ რისკებს შეიცავს, დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან და ზოგჯერ სიცოცხლესთან. რაც შეეხება უცხოეთში დასაქმებას, ეს სადღაც ტრეფიკინგის ზღვარზე გადის და ამიტომ ამ ტიპის საქმიანობა ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში სავალდებულო წესით იქნება დასარეგისტრირებელი. ის, ვინც ამგვარ საქმიანობას ეწევა და არ დაარეგისტრირებს, ჩაითვლება, რომ საქმიანობას უკანონოდ ეწევა და აქედან გამომდინარე, დაჯარიმდება. უარესი შედეგის შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც შეიძლება დადგეს, – განაცხადა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე, სადაც საკითხის პირველი მოსმენით განხილვა მიმდინარეობდა. (bpn.ge)

## „არ მინდოდა, საქართველოში რაიმე მომწონებოდა“ — რას წერს აფხაზი ბლოგერი ზუგდიდში ვიზიტის შემდეგ







გამოცემა სპუტნიკ-**abkhazia.ru**-ზე საიტის მესვეტე საიდ ბარგანჯიას ბლოგი გამოქვეყნდა, სადაც ის ზუგდიდში მოგზაურობის შესახებ წერს. ბარგანჯია 25 წლისაა, სწავლობდა ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც საერთაშორისო ურთიერთობებს დაეუფლა. ახლა კი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს:

„სამშაბათს დილით მე და ჩემი კოლეგა ჟურნალისტები აფხაზეთიდან დავიძარით. ჯერ კიდევ საზღვართან ვფიქრობდი, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებ, საქართველოში რომ მივდივარ-თქო. მაინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა „ენგურჰესი“. საზღვართან რომ მივედით, გულში რაღაცამ გამკრა. იმის არ მეშინოდა, რომ ტყვედ ამიყვანდნენ, რადგან ჩვენ არავის ვჭირდებოდით, მაგრამ უცნაური შეგრძნება დამეუფლა. საზღვარზე რამდენიმე ფოტო გადავიღე და მეგობრებს გავუგზავნე. ერთ-ერთმა მათგანმა მიპასუხა, გამყიდველოო. რასაკვირველია, იხუმრა, მაგრამ მაინც უსიამოვნო იყო.

მე 1991 წელს დავიბადე, 1992 წელს ქართულ-აფხაზური ომი დასრულდა, რომელშიც 30 სექტემბერს აფხაზებმა გაიმარჯვეს. არც ჩემი ნათესავები, არც მეგობრები არასოდეს ყოფილან საქართველოში. არანაირი კონტაქტი არ მქონდა ქართველებთან, გარდა ერთისა, რომელთანაც კრასნოდარში საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი. მასთანაც დიდად არ მქონია ურთიერთობა, ჩემზე უფროსი იყო და ის ფაქტი, რომ ჩვენს შორის ომი მოხდა, დიდად არ განგვაწყობდა ერთმანეთთან ურთიერთობისკენ.

ჩემთვის უცხოა საუბრები იმის შესახებ, რომ მსგავსი მენტალიტეტი, ტრადიციები და თვისებები გვაქვს, რომ ერთნაირი შეხედულებები გაგვაჩნია, რომ მეზობლები ნათესავებზე ახლობლებად ითვლებიან. მესაზღვრეებმა პასპორტები მოაგროვეს, გადაგვიყვანეს საზღვარზე და უკან დაგვიბრუნეს საბუთები. არც ჩვენ, არც ჩვენი ჩანთები არ გაუჩხრეკიათ. ძალიან „მოშვებულები“ იყვნენ. ქართულ მხარეს ჩვენს დელეგაციას უკვე ელოდებოდა მიკროავტობუსი. ნომრები აფხაზური იყო და ამან გამახარა. ალბათ, იმიტომ, რომ მათზე ჩვენს დროშას ვხედავდი.

ფანჯარასთან ვიჯექი. დათოვლილი მთები, ლამაზი ხედები, რასაკვირველია, იპყრობდა ჩემს ყურადღებას, მაგრამ თითქოს ვაძალებდი ჩემს თავს, რომ არ მომწონებოდა. არ მინდოდა, რომ საქართველოში რაიმე მომწონებოდა. ბუნებაც კი. არ მტოვებდა ფიქრები ომზე. რისთვის? რატომ? ვის სჭირდებოდა ეს? სამწუხაროდ, პასუხები ამ კითხვებზე ცნობილია, მაგრამ იმ მომენტში ყველაფერი სხვანაირად აღიქმებოდა. იმაზე ვფიქრობდი, ნეტავ როგორ ვიცხოვრებდით, რომ არა ომი. პირველად 24 წლის მანძილზე გამიჩნდა ასეთი ფიქრები.

ფანჯრებს მიღმა პანორამა ძალიან ჰგავდა აფხაზეთს. ისეთივე სახლები, ადამიანები ეზოებში. შეგრძნება, რომ საქართველოში ვიყავი, მხოლოდ ქართული ენის გაგებისას მეუფლებოდა. როდესაც დავბრუნდით, ყველა მეკითხებოდა, როგორ შეგხვდნენო. მოკლედ ვპასუხობდი, რომ კარგად.

მივედით „ენგურჰესზე“, თანამშრომლები უკვე გველოდებოდნენ. დავათვალიერეთ იქაურობა. ერთ-ერთი თანამშრომელი მოვიდა ჩვენთან და გატეხილი აფხაზურით დაგველაპარაკა. სოხუმში ვსწავლობდიო, იქ ბევრი მეგობარი მყავსო, მოკითხვა გადაეცით მათო. მისი სახელი არ მახსოვს, მაგრამ მოკითხვას გადმოგცემთ. როდესაც სამუშაო დავასრულეთ, სახლისკენ გამოვეშურეთ. აი, დავწერე ეს სიტყვა და გულში სითბო ჩამეღვარა. დიდი ბედნიერებაა საკუთარი სახლის ქონა. მაგრამ სახლში არ გვიშვებდნენ. დაიწყო მოლაპარაკება, სხვადასხვა არგუმენტების მოყვანა, რომ სავახშმოდ დავრჩენილიყავით. ვაღიარებ, მშივრები ვიყავით. კამათს აზრი არ ჰქონდა. აი, ამ დროს დაიწყო „სინდისის ქენჯნა“. ყველა უცნაურად უყურებდა ერთმანეთს, ან მე მეჩვენებოდა. ისე აღვიქვამდი, რომ ეს არასწორი იყო, მაგრამ ვერაფერს გავაწყობდით.

ზუგდიდში წავედით. და იქ უკვე ვაღიარე, რომ ეს ნამდვილი კრასნოდარი იყო. სუპერმარკეტები, კინოთეატრი, პარკი შადრევანით და უკანასკნელი დარტყმა მომაყენა „მაკდონალდსმა“. შევედით რესტორანში, სუფრა უკვე გაშლილი იყო. ყველაფერი აფხაზური. ყველი, ელარჯი, შემწვარი ხორცი... ხუთი ქართველი გვახლდა, „ენგურჰესის“ თანამშრომლები. ვერ ვდუნდებოდი, რომ დავმჯდარიყავი და მეჭამა. არ მტოვებდა ფიქრები, რომ ეს ყველაფერი არასწორი იყო. ორი მიმტანი გვემსახურებოდა. პირადად მე განსაკუთრებული ნეგატიური ან პოზიტიური დამოკიდებულება არ მიგრძვნია, როგორც ყველა სხვა რესტორანში.

ვისხედით მაგიდასთან, ნაცნობი საუბრები მიდიოდა, იგივე ხუმრობები და მუსიკა – რუსული პაპსა. ამ რესტორანში ახალგაზრდები დაბადების დღეს აღნიშნავდნენ, ამას ალეგროვას სიმღერით „გილოცავ დაბადების დღეს“ მივხვდი.

გვიან ღამით დავბრუნდით. არასოდეს მეგონა, რომ გალში მოხვედრილი თავს როგორც სახლში, ისე ვიგრძნობდი. სოხუმში ჩასვლისას ცარიელ ქუჩებში გავისეირნე და გონებაში მადლობას ვუხდიდი მათ, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად მოიპოვა აფხაზეთის თავისუფლება და სახლი შეგვინარჩუნა. ქედს ვიხრი თქვენს წინაშე და საქართველოში მოხვედრა მეტად აღარ მინდა“, – წერს საიდ ბარგანჯია. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სანდრა უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი — ზუსტად ასეთი პრეზიდენტი გვჭირდება“



საქართველოს ყოფილი პირველი ლედის სანდრა რულოვსის ფოტო სოციალური ქსელის ჰიტად იქცა. შავ-თეთრ ფოტოზე სანდრა ისეთი ლამაზია, რთულია კომპლიმენტებისგან თავი შეიკავო და საზოგადოების რეაქციაც გასაკვირი ნამდვილად არ არის. უმოკლეს დროში პირველი ლედის ფოტომ ათასობით მოწონება და გაზიარება დააგროვა, მათ შორის იყო კომენტარები, სადაც ხალხი მის სილამაზეს აღნიშნავდა, განსაკუთრებით საყურადღებო კი ერთ-ერთი მომხმარებლის კომენტარია:

„სანდრა უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი – ზუსტად ასეთი პრეზიდენტი გვჭირდება“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ყოფილი პირველი ლედი თბილისში ხშირად იმყოფება, რადგან მისი და მიხეილ სააკაშვილის უმცროსი ვაჟი – ნიკუშა განათლებას საქართველოში იღებს. (okmagazine.ge)

## ნიკა გვარამია „ევროვიზიის“ სიმღერას იწუნებს — „ეს არის გარანტირებული ბოლო ადგილი“

„რუსთავი 2“-ის დირექტორი ნიკა გვარამია ნიკა კოჩაროვსა და „**Young Georgian Lolitaz**“-ს აკრიტიკებს სიმღერის გამო, რომელიც „ევროვიზიაზე“ გასატანად მომზადდა.

მისი თქმით, ასეთი სიმღერით ამ ტიპის კონკურსზე გასვლა მიზანშეწონილი არ არის.

– ამ ნომერს „ევროვიზიაზე“ რა უნდა, ღადაობთ? ამის გამგზავნს „ევროვიზია“ ერთხელ მაინც არ გინახავთ?! - კითხულობს გვარამია და დასძენს, რომ ეს არის „სრული არაფორმატი და გარანტირებული ბოლო ადგილი“. (musicbox.ge)

## აზერბაიჯანი, რუსეთი და ირანი ენერგეტიკული კორიდორის შექმნაზე მუშაობენ

აზერბაიჯანი, რუსეთი და ირანი ახალი ენერგეტიკული კორიდორის „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ შექმნაზე მუშაობენ.

აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრ ნატიგ ალიევის განცხადებით, ირანისთვის სანქციების მოხსნა აზერბაიჯანის ამ ქვეყანასთან კავშირებს მნიშვნელოვნად გააღრმავებს.

– იქმნება კორიდორი „ჩრდილოეთი-სამხრეთი, რომელსაც არა მხოლოდ სატრანსპორტო, არამედ ენერგეტიკული დანიშნულება ექნება. კორიდორი რუსეთიდან აზერბაიჯანში და შემდგომ ირანში ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს. საკითხზე სამუშაოდ უკვე შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელსაც სამი ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრები ხელმძღვანელობენ, – განაცხადა ალიევმა.

მისი განცხადებით, ირანსა და აზერბაიჯანს შორის ენერგეტიკის სფეროში მსხვილი გარიგებები იგეგმება ნავთობსაგაზო სფეროში. მათ შორის თანამშრომლობა ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ირანული გაზის აზერბაიჯანის გავლით ტრანზიტი, აზერბაიჯანის გაზსაცავების ირანის მიერ გამოყენება და სხვა. (bpn.ge)

## ეუხ, თურმე, შიმშილით კვდება ეს უკრაინაში...



უკრაინულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოდესის გუბერნატორს ხელფასი მოემატა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილს ხელფასი 5 644 გრივნიდან 7 055 გრივნამდე გაეზარდა. დღევანდელი კურსით 7 055 გრივნა 263 აშშ დოლარს უდრის.

ხელფასის მატების ფაქტს მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მისთვის ეს უსიამოვნო მოულოდნელობა იყო.

– ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უკრაინაში ჩინოვნიკებმა თავიანთი შრომის სანაცვლოდ ღირსეული გასამრჯელო უნდა მიიღონ. თუმცა, არც მე და არც ჩემი გუნდი ფულის გამო არ ვმუშაობთ აქ. არამედ იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანას მომავალი ჰქონდეს. ხელფასის მატების გადაწყვეტილება ჩემი თანხმობის გარეშე მოხდა. არასდროს მივცემდი საკუთარ თავს ხელფასის მომატების უფლებას მაშინ, როდესაც რიგითი თანამშრომლები გროშების სანაცვლოდ მუშაობენ. მე ვაუქმებ ამ გადაწყვეტილებას და აუცილებლად დავსჯი დამნაშავეებს, – დაწერა მიხეილ სააკაშვილმა „ფეისბუკზე“. (bpn.ge)

## მგონი, „რადა“ გამოფხიზლდა,



დილა არის მშვენიერი,
მიშა ფეხზე დაიკიდეს,
ვეღარ ხდება პრემიერი!

ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა, ფაქტს, როდესაც უკრაინის ხელისუფლება, არსენი იაცენიუკის მეთაურობით მმართველობაში დარჩა, „ოლიგარქიული გადატრიალება“ უწოდა, – აღნიშნულის შესახებ იგი თავის ოფიციალურ „ფეისბუკ“-გვერდზე წერს:

– მოხდა ის, რაც ყოველთვის ხდება ხოლმე, როდესაც რევოლუციის შემდეგ, არ ხორციელდება რევოლუციური რეფორმები – ძველი რეჟიმის რესტავრირება. ჩემი აზრით, ჩვენს ქვეყანაში ოლიგარქიული გადატრიალება მოხდა. როგორც „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა იანუკოვიჩი, ახმეტოვმა და სხვა ოლიგარქებმა, ისევ თავიანთ ხელში აიღეს სიტუაციის კონტროლი, – წერს სააკაშვილი. (marshalpress.ge)

## „ერთი გამოსავალია, კენჭი ყველამ დამოუკიდებლად იყაროს“ — მეჭიაური „მრეწველებისა“ და „რესპუბლიკელების“ დაპირისპირებაზე



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური „რესპუბლიკელებისა“ და „მრეწველების“ დაპირისპირებას ეხმაურება და ამბობს, რომ არც ერთი მხარე არაა მართალი და ცალკე სასაუბრო თემაა, შეურაცხყოფა მეტი დოზით ვინ მიაყენა რომელიმე მხარეს:

– ერთი გამოსავალია – კენჭი ყველამ დამოუკიდებლად იყაროს. ვისაც ერთმანეთის გარეშე პოლიტიკური ცხოვრება არ შეუძლია, მერე ერთად დაწყვილდნენ და ის მანდატები მშვიდობაში მოახმარონ, რომელსაც მოსახლეობა მათ მისცემს. ამ პოლიტიკურ ძალებს აერთიანებთ მხოლოდ ერთი რამ – პარლამენტში მოხვედრის გარანტია. აქედან გამომდინარე, მერე თავს შეუთავსებლობა იჩენს, რაც აზიანებს არა მხოლოდ კოალიციას, არამედ ქვეყნის ინტერესებსაც, – განაცხადა მეჭიაურმა. (პირველი რადიო)

# უმაღლესი სასწავლებლების ნაწილი დაიხურება?

## რა ცვლილებები შედის განათლების კანონში?



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შედის.**

**რა იცვლება კანონში? რის საფუძველზე უნდა გატარდეს ცვლილებები? რა შედეგს მოიტანს ეს?**

**„ალიას“ „ანტიკორუფციული მედიაცენტრის“ ხელმძღვანელი, იურისტი პეტრე წურწუმია ესაუბრა:**

– განათლების სამინისტროს ავტორობით, საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილია კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც ეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. როგორც ისწინებულია დღეს მოქმედი 3 სტანდარტით. თუკი სამინისტრო სტანდარტების გამკაცრებას აპირებდა, ეს 2-3 წლის წინათ უნდა გაეკეთებინა.

**— რატომ?**

– იმიტომ, რომ, თუ გადავხედავთ ბაზარზე არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს, მათი რიცხვი 2013 წლიდან დღემდე 57-დან 75-მდე გაიზარდა. ანუ ხარისხის გაუმჯობესების კუთხით ნაბიჯი არა თუ წინ, არამედ უკან გადაიდგა. კონკურენცია რაოდენობის ზრდას არ გულისხმობს. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, არა თუ 75, არამედ 57 უმაღლესიც ძალიან ბევრია. თუ სახელმწიფო ფიქრობს უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, სწავლების ხარისხს ადგება ზიანი. თუკი ამ მიმართულებით სამინისტროს სურს, შეცვალოს რამე, ეს უნდა მოხდეს სახელმწიფოსა და უმაღლესი სასწავლებლის ინტერესების დაცვით, სადაც გამოკვეთილი იქნება სტუდენტის უფლება, მიიღოს ხარისხიანი განათლება.

**— ცვლილებების მიხედვით სააპელაციო საბჭოც უნდა შეიქმნას. მას კონკრეტულად რა ფუნქცია ექნება?**

– რაც შეეხება დავების განმხილველი ორგანოს, სააპელაციო საბჭოს, რომელიც ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის იქმნება, მისი არსებობა სამართლებრივი მიზანშეწონილების კუთხით არის განსახილველი.

უნდა დაიწყოს უმაღლესი წლებში დაიწყო რეფორმების განხორციელება. უმაღლესი საგანმანათლებლო სტატუსის მოსაპოვებლად დაწესდა ავტორიზაციის გავლა, რომელიც დადგენილი მინიმალური სტანდარტების დაცვას გულისხმობდა. ამან უპირველესად ხელი შეუწყო იმას, რომ დაიხურა 90-იანი წლებიდან არსებული ე.წ. სადარბაზოებში გახსნილი უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა რიცხვი 250-ს აჭარბებდა. 2010-11 წლებში დაწყებული რეფორმის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი იყო, თუნდაც დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე რეფორმის შემდგომი ეტაპის განხორციელება.

**— რა უნდა გაკეთებულიყო?**

– მაგალითისთვის, გარე შეფასების კუთხით, თუნდაც კანონპროექტის ავტორები განმარტავენ, ცვლილების მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების სტრუქტურის შინაარსობრივი გადახედვა და ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცედურების დახვეწა, რაც, თავის მხრივ, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას ემსახურება. სინამდვილეში კი ეს გულისხმობს ავტორიზაციის 3 სტანდარტის 7 სტანდარტად ჩაშლას. იმ შინაარსით, როგორიცაა წარდგენილი, სტანდარტს არ ამკაცრებს, მხოლოდ უკვე არსებულის განვრცობაა, არაფრისმთქმელია, კონკურენტუუნარო განათლებას ემსახურება.

სამინისტროს არგუმენტი ასეთია: „უმაღლესი სასწავლებლის დღეს არსებული ავტორიზაციის 3 სტანდარტის დაკმაყოფილება, არსებული რეალობის გათვალისწინებით, არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. მან დაკარგა ეფექტური ფუნქცია და ფორმალური ხასიათი მიიღო“.

გვიჩნდება შეკითხვა, რა სირთულე იქნება იგივე 3 სტანდარტის 7 ქვეპუნქტად ჩაშლილი სტანდარტების დაკმაყოფილება? არანაირი, რადგან ყველა შემოთავაზებული ახალი ე.წ. „სტანდარტი“ უკვე გათვალ- ამ რაოდენობამდე ავიდოდა მათი რიცხვი? მეორე საკითხია 2-წლიანი ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭება იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ დააკმაყოფილებს აკრედიტაციის პირობებს. ამის არგუმენტად მოყვანილია ის, რომ გამოირიცხოს უმაღლესი დაწესებულების მიმართ ხისტი გადაწყვეტილების მიღება და მისცემს უმაღლეს სასწავლებელს ვადას, გამოასწოროს გამოვლენილი ხარვეზები. ერთი მხრივ, გასაგებია, რომ უმაღლესი სასწავლებლების მხარდაჭერა ხდება, მაგრამ რას ვპასუხობთ სტუდენტს? 2 წელი სწავლობს სტუდენტი, სახელმწიფო იხდის გრანტს პროგრამაში, რომელიც სტანდარტს არ აკმაყოფილებს?

**„ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, არა თუ 75, არამედ 57 უმაღლესიც ძალიან ბევრია. თუ სახელმწიფო ფიქრობს უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ამ რაოდენობამდე ავიდოდა მათი რიცხვი?“**

გასაგებია, რომ განათლებაც ბიზნესია გარკვეულწილად, მაგრამ ერთი გადაწყვეტილებით მეორეს – უფრო დიდ სიკეთეს, განათლების ხარისხის განვითარების მიზნით ქმედითი ზომების მიღება, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობას ევროპის საგანმანათლებლო პროგრამებთან, დასაქმების ბაზრის გამოწვევებთან და მოთხოვნებთან, აკადემიური პერსონალისთვის წაყენებული მოთხოვნების დახვეწას, უცხოელი ექსპერტების მეტ ჩართულობას თუნდაც ე.წ. აკრედიტაციის პროცესის წარმართვისას და ა.შ. სამუშაოს მიმართულება საკმაოდ ბევრია. ქართულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა დაიწყონ იმაზე ფიქრი, როგორ მიუახლოვდნენ და გაუწიონ კონკურენცია თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

განათლების სფეროში და მათ შორის უმაღლეს განათლებაში, თუ არ ჩავთვლით ერთიან ეროვნულ გამოცდებს, 2010-11 სამინისტროს მიერ კვლევა და კონტროლი იმისა, შედეგისკენ იყო თუ არა მიმართული საუნივერსიტეტო კურიკულუმები, მიმდინარეობდა თუ არა მათი მოდიფიცირება სიახლეების გათვალისწინებით და ა.შ. რომლის ძირითადი გენერატორი უმაღლეს სასწავლებლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებია, ეს კი საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის შესრულების მიმდინარეობაზე მოგვცემდა წარმოდგენას, რაც ხარისხის კონტროლს უწყობს ხელს. სამწუხაროდ, სამინისტრომ დღემდე ვერ ან არ შეძლო უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების განხორციელება.

**— თუკი უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება, რეალურად რა ხდება, რატომ შეიტანეს ცვლილებების პაკეტი პარლამენტში?**

– პასუხი მარტივია, ეს არის, ერთი მხრივ, ცვლილებები ცვლილებისთვის, რომელიც არ აუმჯობესებს განათლების ხარისხს და მეორე – მრჩება შთაბეჭდილება, რომ ახალი სტანდარტების დაუცველობის საფუძვლით დაიხურება უმაღლესი სასწავლებლების ნაწილი, რაც სტუდენტების უკმაყოფილებას გამოიწვევს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გიორგი ოთხმეზური: თუ იმ 9-წლიანი რეჟიმის დროს არ იყო კრიმინალი, ეს 300 000 კაცი ყოფილა პოლიტპატიმარი!



„გაიზარდა თუ არა ქვეყანაში კრიმინალი?“ – ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას მიერ დასმულ ამ შეკითხვას ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში პასუხობს:

– ვერ ვგრძნობ კრიმინალის ზრდას! შევადაროთ განვლილ წლებს, ქვეყანაში 300 000 პრობაციონერი იყო და 30 00-მდე პატიმარი. იმასთან შედარებით, როგორ შეიძლება გაზრდილი იყოს კრიმინალი? „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობენ, ჩვენს დროს კრიმინალი არ იყო და ახლა არისო. თუ მაშინ არ იყო კრიმინალი, ეს 300 000 კაცი ყოფილა პოლიტპატიმარი! სახელმწიფო დანაშაულებიც ხდებოდა! ციხეებში ყოველწლიურად 140 ადამიანის მკვლელობის შემთხვევა იყო. ამ 140 კაციდან მესამედზე მეტს ძალადობის კვალი აღენიშნებოდა! იმ განვლილ 9 წელთან შედარებით, ნაკლებია კრიმინალი! – განაცხადა გიორგი ოთხმეზურმა. (რეპორტიორი)

## ანკარაში დაღუპულთა რიცხვი გაიზარდა — თურქეთის პრემიერმა ბრიუსელში ვიზიტი გადადო



თურქული მედიის ინფორმაციით, ანკარაში მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულთა რიცხვი 28-მდე გაიზარდა. ინფორმაციას ამის შესახებ თურქეთის ტელეარხი **NTV** ანკარის გუბერნატორის მეჰმედ კილიჩრალის განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

აფეთქების შედეგად სხეულის დაზიანება 61-მა ადამიანმა მიიღო.

თურქეთის ხელისუფლების წინასწარი ვერსიით, აფეთქება მანქანაში დამონტაჟებულმა ბომბმა გამოიწვია. პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბექირ ბოზდაკი მომხდარს ტერორისტულ აქტად აფასებს.

მომხდარის გამო თურქეთის პრემიერ-მინისტრმა დავითოღლუმ ბრიუსელში დაგეგმილი ვიზიტი გადადო. **CNN Türk**-ის ინფორმაციით, აფეთქება ანკარის ცენტრში მდებარე სამხედროების საერთო საცხოვრებელთან მოხდა. (ნიუპოსტი)

## ზიკას ვირუსთან საბრძოლველად 56 მილიონი აშშ დოლარია საჭირო



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადებით, ზიკას ვირუსთან საბრძოლველად 56 მილიონი აშშ დოლარია საჭირო. აღნიშნული თანხის ნაწილი ვაქცინის შექმნასა და დიაგნოსტიკას მოხმარდება.

საკუთარი ფინანსური რესურსიდან 25 მილიონ დოლარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ვირუსის გამავრცელებელ კოღოებზე კონტროლზე დახარჯავს. ამჟამად, მედიკამენტის შექმნაში 15 ფარმაცევტული კომპანია მუშაობს. თუმცა ვაქცინის სრულფასოვანი გამოცდა მხოლოდ 1,5 წლის შემდეგ დაიწყება.

როგორც ცნობილია, ვირუსი კოღოების მიერ ვრცელდება. ვირუსი აფრიკიდან და აზიიდან სამხრეთ ამერიკაში 2015 წელს შევიდა და სწრაფად გავრცელდა. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა კოლუმბიასა და ბრაზილიაში. დაფიქსირდა ევროპაშიც – დანიაში, ესპანეთში, გერმანიაში, ავსტრიასა და რუსეთშიც.

ვირუსით დაავადებული ახალშობილები მიკროცეფალიით (თავის არაპროპორციულად პატარა ზომა) იბადებიან. (ნიუპოსტი)

## ფოთის პროკურორის შვილი ქურდობის ფაქტზე დააკავეს

ქალაქ ფოთის პროკურორის, ალექსანდრე გოგუაძის უმცროსი ვაჟი ამირან გოგუაძე ქურდობის ფაქტზე დააკავეს.

21 წლის ახალგაზრდამ თბილისში, ორ მეგობართან ერთად, ერთ-ერთ ავტომობილს ე.წ. ბამპერი მოხსნა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მომხდარზე საქმე 177-ე მუხლის მესამე ნაწილით აღიძრა, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. (ნიუპოსტი)

## „უმძიმესი წუთები მიდგას...“ — ლაშა ღლონტის მამა გარდაცვლილი იპოვეს



ყველასთვის საყვარელი მომღერალი ლაშა ღლონტი სოციალურ ქსელში ამაღელვებელ პოსტს აქვეყნებს, რომელიც მისი ოჯახის ტრაგედიასა და ამავე დროს წარსულის მოგონებას შეეხება. შეგახსენებთ, რომ ლაშას მამა ბათუმში 10 თებერვალს შინიდან გავიდა და ოჯახი მას 5 დღის განმავლობაში ეძებდა. სამწუხაროდ, 76 წლის თენგიზ ღლონტი გარდაცვლილი იპოვეს.

„მამაჩემის ძმაკაც...

უმძიმესი წუთები მიდგას, ტრაგიკულად გარდაცვლილ მამას, რომლის ცხედარიც 5 დღის ძებნის შემდგომ წყალში ვიპოვეთ, ღამეს ვუთევ. მახსენდება მასთან ერთად გატარებული ყოველი წამი.

უცებ, თითქოს არაფერშუაში გონებაში ამოტივტივდა ერთი ისტორია: შეყვარებული ვიყავი და ჩემს მომავალ მეუღლესთან თეასთან ერთად ბათუმის ქუჩებში ვსეირნობდი. ერთ-ერთ კაფეში მამაჩემის ძმაკაცი, ნუგზარ ჯაფარიძე შემხვდა. რომ დამინახა გოგოსთან ერთად, ფეხზე წამოდგა, თეას ხელზე ემბორა, ერთი წუთითო, გვითხრა და სადღაც გაუჩინარდა. 5 წუთში იგი თეთრი ვარდების უზარმაზარი თაიგულით მოგვევლინა.

ამ ამბის მერე, იგი მალე გარდაიცვალა.

უკვე ძალიან გვიანია, დილის 4 საათი. ვდგავარ მამის კუბოსთან მარტოდმარტო და მიხარია, რომ არ გამწირა უფალმა და ცხედარი მაინც ვიპოვე.

უცებ კარზე მორიდებული კაკუნის ხმა შემომესმა, მივედი და კარს უკან ბატონი ნუგზარის შვილი, ზალიკო იდგა.

„უკაცრავად, ლაშა, შეიძლება მამათქვენს ფსალმუნი წავუკითხოო“. იგი დილამდე იდგა მამაჩემის კუბოსთან და ჩუმად, თვალცრემლიანი ფსალმუნს კითხულობდა“, – წერს ლაშა ღლონტი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (ნიუპოსტი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**ხელისუფლებამ მოუვლელი მიწების ასათვისებლად ახალი გზა გამოძებნა. როგორც პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში აცხადებენ, ეს საკითხი არის თემა, რაზეც ჩვენმა მოსახლეობამ იმაზე ბევრად ნაკლები იცის, ვიდრე უნდა იცოდეს.**

**კონკრეტულად რას სთავაზობს ხელისუფლება მიწის მესაკუთრეებს?**

# ვინ მიიღებს ევროკავშირისგან 50 000 ევროს?

## რა წერია პარლამენტის მიღებულ კანონში?



**„ალიას“ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, გელა სამხარაული ესაუბრა:**

– საქართველოში მიწის რეფორმა 1992 წელს ჩატარდა. ამით, ერთი მხრივ, თანაბრად გადანაწილდა მოსახლეობაზე სასოფლო-სამეურნეო მიწები, მეორე მხრივ კი, დიდი მიწები დანაწევრდა პატარ-პატარა ფართობებად, შედეგად პატარა მიწის დამუშავება იმდენად ძვირი უჯდება მესაკუთრეს, რომ რაიმე სახის მოგების მიღება შეუძლებელია. ამიტომ, შეიქმნა „კანონი კოოპერატივების შესახებ“.

**— და რა წერია მაგ კანონში ისეთი, რომ მიწის მესაკუთრემ სარგებელი ნახოს?**

– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეუძლიათ შექმნან. ამისთვის განცხადებით უნდა მიმართონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი იურიდიული პირია). მაღალმთიან რეგიონში ეს ერთობა სამი წევრისგან უნდა შედგებოდეს, ხოლო ბარში – 5 წევრისგან. განცხადებას უნდა ერთვოდეს ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება აღნიშნული იურიდიული პირის რეგისტრაციის ფაქტი. საჭიროების შემთხვევაში – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ან ქონებაზე საკუთრების უფლება, ასევე, კოოპერატივის წესდება. თუ დოკუმენტაცია წესრიგში იქნება, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას სტატუსის მინიჭების შესახებ და გასცემს შესაბამის მოწმობას.

**— ეს პროცედურები ფასიანია? რა უჯდებათ?**

– ერთადერთი, თანხა ჯდება რეესტრში დარეგისტრირება, რომლის ღირებულებაც 100 ლარია, როგორც მე ვიცი.

**— ამ 5 ადამიანს თუ ფული არ აქვს, მარტო კოოპერატივად დარეგისტრირება რა ხეირი?**

– ის, რომ არ იხდიან მოგების გადასახადს, არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს. გარდა ამისა, ერთობლივად მუშაობა გაცილებით იოლია, ვიღაცას მიწა აქვს, ვიღაცას „თავი უმუშავებს“ კარგად, საკუთარ ანგარიშს გახსნიან, ინაწილებენ ხარჯებს. როცა იძენენ შხამქიმიკატებს, ან სხვა სახის საჭირო ნივთიერებას, ეს ბევრად უფრო იაფი უჯდებათ, იმიტომ, რომ ბითუმად ბევრად უფრო იაფია, ვიდრე საცალოდ.

**— ეს გასაგებია, მაგრამ თუ ფული არ აქვთ, ტექნიკა არ ჰყავთ, მიწა როგორ უნდა დაამუშაონ?**

– სახელმწიფო უკეთებს შეღავათს. არსებობს შპს „მექანიზატორი“, რომელიც სოფლის მეურნეობის დაქვემდებარებაშია. ამ კომპანიასთან აფორმებენ ხელშეკრულებას და კოოპერატივები ისარგებლებენ მნიშვნელოვანი ფასდაკლებით.

**— როგორ ხდება მათი საქმიანობის კონტროლი? იქნებ ამ შეღავათებს არამიზნობრივად იყენებენ, ვთქვათ, არა კოოპერატივის, არამედ საოჯახო ნაკვეთები დაამუშავეს...**

– სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს. დარღვევის შემთხვევაში, ეს შესაძლოა, კოოპერატივის სტატუსის შეჩერების, ან შეწყვეტის საფუძველი გახდეს. ასევე, ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია – დონორი ორგანიზაციები შემოვიდნენ. აქ არის ევროკავშირის ფული, ევროკავშირმა გამოყო ფული საქართველოში კოოპერატივების განვითარებაზე, ასევე კერძო შემოწირულობები ევროკავშირის ქვეყნებიდან. ევროპული ორგანიზაციები გამოაცხადებენ საგრანტო კონკურსებს, გადანაწილებული აქვთ სხვადასხვა რეგიონები, სოფლები... ითხოვენ პროექტებს, ვის სურს განვითარება, თანხა 50 ათას ევრომდეა. კოოპერატივების თანამონაწილეობა არის 30%, ხოლო დანარჩენი 70% ეძლევათ გრანტის სახით. ბევრს აქვს სურვილი, საჩუქრის სახით მიიღოს ეს თანხა, რითაც უზრუნველყოფას მოახდენს როგორც დანადგარების, ასევე სხვადასხვა საჭიროებების, მაგრამ მათ შორისაც სპეციალური კრიტერიუმებით შეირჩევიან მონაწილეები – ვინ უფრო კეთილსინდისიერია, მოტივირებულია, ვის აქვს მეტი განვითარების პერსპექტივა და ა.შ. პროცესი უკვე დაწყებულია. ყველა რეგიონში სხვადასხვა მიმართულებით ცხადდება კონკურსი.

**— ვისთან უნდა იქონიონ კონტაქტი. არ იქნება მარტივი ყველა დეტალზე სამინისტროში სიარული.**

– სამინისტრომ რეგიონებში, ყველა მუნიციპალიტეტში შექმნა რგოლი, ბიუროების სახით, რომელთა დახმარებითაც ხდება საჭირო პროცედურების მოგვარება.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ტყემალაძე, თოფაძე და ბერძენიშვილი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ — დეპუტატები მანდატურებმა გააშველეს



მორიგი დაპირისპირება პარლამენტში – ამჯერად ერთმანეთს „ქართული ოცნების“ წევრები, დეპუტატები ზურაბ ტყემალაძე, გოგი თოფაძე და დავით ბერძენიშვილი ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.

მმართველი გუნდის წევრები მანდატურებმა გააშველეს.

დაპირისპირება დავით ბერძენიშვილის მიერ სხდომაზე გაკეთებულმა განცხადებამ გამოიწვია.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დავით ბერძენიშვილი გოგი თოფაძის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ თინა ხიდაშელზე მისი განცხადებები ანტიკოალიციური, ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახელისუფლებოა.

– ამ თემაზე პოლიტსაბჭოზეც ვისაუბრე, მაგრამ მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ორკესტრირებული კამპანია თავდაცვის მინისტრის სამიზნედ შერჩეული ყველაზე მნიშვნელოვანია ევროატლანტიკურ ასპარეზზე ჩვენი ხელისუფლების თანამდებობის პირის წინააღმდეგ, გოგი თოფაძის, პარლამენტში თუ განსაკუთრებით პარლამენტს გარეთ, მისი მხარდამჭერების, თუ შემკვეთების არის ანტიკოალიციური, ანტისახელისუფლებო, ანტიქართული კამპანია. მე მოველი, მრეწველთა ფრაქციის იმ წევრებისგან, რომლებიც „ქართული ოცნების“ წევრები არიან, პასუხს იმაზე, რამდენად შესაძლებლად მიაჩნიათ, ასეთ ფრაქციაში, ამ თავმჯდომარის პირობებში საქმიანობის გაგრძელება. მე მოველი „მრეწველთა პარტიის“ ხელმძღვანელისგან, ზურაბ ტყემალაძისგან, რომლისგანაც არაერთხელ მოგვისმენია ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის დამადასტურებელი პოზიციები, მოველი ამჟამად რას ფიქრობს მისი ფრაქციის თავმჯდომარის ამგვარ განცხადებებზე. არაფერ შუაშია აქ საგარეჯოს არჩევნები...

ბერძენიშვილის თქმით, მას გაუკვირდა, რომ გია ვოლსკი სიტყვით გამოსვლისას ამ თემას არ შეეხო. (ნიუპოსტი)

## რომ ჰკითხო, ორმოები არ არის თბილისშიო და... რა ვიცი, რა ვიცი...



– ამინდების გაუმჯობესებასთან ერთად, დედაქალაქში გზების ორმოული შეკეთება აქტიურ ფაზაში შედის, – ამის შესახებ დავით ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

– დღეის მდგომარეობით, დაახლოებით, 50-მდე ქუჩაზე ორმოული შეკეთებები დასრულებულია. ამასთანავე, ამ ეტაპზე მიმდინარეობს კიდევ 15-მდე ქუჩის ორმოული შეკეთება და უახლოეს დღეებში სამუშაოები დაიწყება დამატებით 25 ობიექტზე, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

რაც შეეხება საგზაო საფარის კაპიტალურ შეკეთებას, ამ დროისთვის მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები ორ 4-მილიონიან ტენდერზე, რომელთა ფარგლებშიც, კაპიტალურად შეკეთდება მტკვრის ორივე სანაპიროზე არსებული დაზიანებული გზები. ასევე, ერთ კვირაში, თბილისის მასშტაბით, დაიწყება საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები 6-მილიონიანი ხელშეკრულების ფარგლებში. (ipress.ge)

## კახა კახიშვილი სასჯელაღსრულების სამინისტროს გაუქმებას არ გამორიცხავს

კახა კახიშვილი სასჯელაღსრულების სამინისტროს გაუქმებას არ გამორიცხავს. მინისტრის განცხადებით, სტრუქტურული ცვლილება შესაძლოა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განხორციელდეს.

რაც შეეხება სხვა უწყებებს, რომლებზეც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ბიუროკრატიული ხარჯების ოპტიმიზაციის კონტექსტში ისაუბრა, კახიშვილის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, დღის წესრიგში მათი გაუქმებაც დადგეს.

– მეც იმ აზრზე ვიყავი, რომ თავიდანვე უნდა გაუქმებულიყო იმისთვის, რომ ამ დარგს მისცემოდა მყარი განვითარების საშუალება. დღეს მიმაჩნია, რომ ვართ იმ დონეზე, როდესაც შესაძლებელია, მომავალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ვიფიქროთ სხვადასხვა სტრუქტურულ ცვლილებებზე საქართველოს მთავრობაში, – აღნიშნა კახა კახიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## დავით ბერძენიშვილი: გოგი თოფაძე შემთხვევით არაქართულ ინტერესს ხომ არ ახორციელებს?!

ფრაქცია „რესპუბლიკელების“ ლიდერი დავით ბერძენიშვილი გოგი თოფაძის მხრიდან, საქართველოს თავდაცვის მინისტრზე განხორციელებულ შეტევებს, ხელოვნურსა და მიზანმიმართულს უწოდებს.

ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ეს სცენარი იწერება იქ, სადაც არ არის გათვალისწინებული საქართველოს ინტერესები.

ბერძენიშვილი ხიდაშელის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში, უცხო ქვეყნის ხელს ხედავს და ამბობს, რომ გოგი თოფაძე ამ საკითხში მარტო არ არის.

„მე მივმართე ზურაბ ტყემალაძეს, როგორც პარტიის ხელმძღვანელს, რა პოზიციაზეა ეს პარტია. პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაგვცენ პასუხი კოალიციის პოლიტსაბჭოს, აქ არ არის რომელიმე პარტიის პრობლემა.

საერთოდ, ნატო-სთან ინტეგრირების, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თანამდებობის პირს, რომელიც სამიტიდან სამიტზე დადის და მის მიმართ არის მაღალი ნდობა ნატო-ს წევრი ქვეყნებისგან და ნატო-ს გენერალური მდივნისგან და ეს მუდმივად დადასტურებულია. „თავდაცვის სამინისტრო“ ხელოვნურად და სპეციალურად არის შეტევის ობიექტი. ვინც ახორციელებს ამ შეტევას, მას უნდა დავუსვათ კითხვები, შემთხვევით ხომ არ ემთხვევა თქვენი ეს ინტერესები რაიმე სხვას, რომელიც არ არის ქართული ინტერესი“. – განაცხადა დავით ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას. (ipress.ge)

# თიკო სადუნიშვილი ერეკლე დეისაძესთან ურთიერთობაზე ალაპარაკდა



ტელეწამყვან თიკო სადუნიშვილისა და მწერალ ერეკლე დეისაძის ბურუსით მოცულ ურთიერთობაზე ბევრი საუბრობდა. ზოგს სჯეროდა მათი რომანის, ზოგს კი – არა. საბოლოოდ თიკო მათ რეალურ ურთიერთობაზე ალაპარაკდა. როგორც ტელეწამყვანი ამბობს, ისინი კარგი მეგობრები არიან და ურთიერთობაც შესაბამისი აქვთ. ეს მხოლოდ და მხოლოდ პროექტი იყო იმის შესახებ, როგორ იბადება ჭორი, რომელზეც შემდეგ მთელი ქალაქი საუბრობს. გადაცემა „კოქტეილში“ კი თიკომ გულწრფელად აღიარა, რომ ერეკლესთვის ტუჩებშიც კი არასდროს უკოცნია. თუმცა ისიც თქვა, რომ ერთხელ აკოცებს, იქნებ მოეწონოს კიდეც.

*newposts.ge*

# „ბოლომდე ვერ ვხვდები რომ გათხოვილი ვარ“, — ნუკი კოშკელიშვილის ამერიკული ცხოვრება



როგორც ნუკი ამბობს, უზომოდ ბედნიერია თავისი ოჯახური ცხოვრებით და ბენიზე ძალიან არის შეყვარებული. ნუკიმ ქორწილის შესახებაც ისაუბრა, რომლის ინიციატივა ბენის ეკუთვნოდა და ცერემონიალი სპონტანურად დაიგეგმა. ამისთვის კი წყვილს სახლი ბენის მშობლებმა დაუთმეს და ქორწილი სწორედ მათ სახლში გაიმართა. „ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მდიდრები ვართ, მაგრამ ურთიერთობა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, ნამდვილი ფუფუნებაა. ხანდახან თამაში მგონია ეს ყველაფერი, ბოლომდე ვერ მივხვდი, რომ გათხოვილი ვარ, მაგრამ ვხვდები, რომ ძალიან ბედნიერი ვარ. ეს არ არის ის, რაც შეიძლება ბევრს ეგონოს – იდეალური ცხოვრება, ან ეგონოთ, რომ საერთოდ არ ვჩხუბობთ. არა, ბევრს ვჩხუბობთ. ჩხუბის დროს მინდა ხოლმე, რომ დაქალს დავურეკო და მოვუყვე ამის შესახებ, მახსენდება რომ ყველას სძინავს. ამიტომ მივდივარ ისევ ბენისთან და ვეუბნები, რომ ქმარი მჩაგრავს. მას ეცინება და მერე ვრიგდებით. ძალიან მინდა ბავშვი, მაგარია, როცა ახალგაზრდა დედა ხარ, თან ბენიც არ არის პატარა, უკვე 36 წლისაა. ამიტომ გვინდა უკვე ბავშვზე ვიფიქროთ“, – ამბობს ნუკი.

*newposts.ge*




იქით ლარს ვერაფერი ეშველა, აქეთ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთის გაუთავებელ ლანძღვაზეა გადასული...

ამდენი უარყოფითით, ამდენი სიბინძურით დაიღალა ხალხი და რით შეიძლება შევამსუბუქოთ ეს მძიმე სიტუაცია თუ არა — იუმორით?!.

„ალია“ რუბრიკით — „პროფესიული კურიოზები“ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა სახალისო ისტორიებს გაგაცნობთ.

ამჯერად ჩვენი სტუმრები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმები გურამ აბდუშელიშვილი და ქეთევან ხვისტანი არიან.



## გურამ აბდუშელიშვილი:



### უფასო ექიმი

ბედობა დღეა, გამოძახება გვაქვს. მივედით მისამართზე და გვხვდება სავარძელში მჯდომი, გაღიმებული კაცი. ვეკითხებით, – რას უჩივით ბატონო, რატომ გამოგვიძახეთ? ეს იღიმის და გვპასუხობს, – არაფერი, მინდოდა, ბედობა დღეს უფასო ექიმი დამბედებოდა.

### სექსტრავმა

კოლეგები გამოძახებაზე იყვნენ. ორი კაცი და ერთი ქალი მივიდა. ოჯახში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დახვდათ. ქმარი ხელზე პირსახოცგადახვეული ზის და ეტყობა, რომ სისხლი სდის. ჩვენი თანამშრომელი ქალი მივარდა და ხელზე ექაჩება, მაჩვენე, რა გჭირსო. ეს კაცი ცოცხალი თავით ხელს არ აჩვენებს. ექიმი ისევ ექაჩება. აქეთ ცოლი დაიძაბა, კიდევ ორი ექიმია, თანაც კაცები და ისინი რატომ არ აქტიურობენო. თურმე, სექსუალური აქტის დროს სასქესო ორგანო დაზიანებია და სასწრაფოს გამოძახების იდეა ცოლს ეკუთვნოდა. თანაც ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა.

### წამლის დალევასაც ცოდნა უნდა

ერთხელ ასაკიანმა ქალმა დარეკა. მივედით და ვხედავთ, პირდაპირ ოფოფებს აფრენს და გვლანძღავს, თქვენამდე ექიმი იყო მოსული, წნევის დაწევა ვთხოვე და ენის ქვეშ დასადები ისეთი წამალი მომცა, წნევა უფრო ამივარდაო. რომ ვუყურებ, ეს ქალი გაჩერებას არ აპირებს, ამიტომ მშვიდად ვეუბნები, ქალბატონო, იქნებ ეგ წამალი არასწორი მხრიდან დაიდეთ-მეთქი. უცებ, გაჩუმდა და გაფართოებული თვალებით მიყურებს. მივხვდი, ათიანში მოვარტყი და სერიოზული ტონით გავაგრძელე, აი, ეს წამალი ხაზი რომ აქვს ზევით მოაქციეთ და ისე დაიდეთ, თან ცოტა მარჯვნივ. ქალბატონმა დამიჯერა და მთელი სერიოზულობით შეასრულა ექიმის დავალება, თან ცდილობდა, ის წამალი მარჯვნიდან მარცხნივ არ გადმოსვლოდა.

### მუქთა იყოსო...

ერთ-ერთ ქუჩაზე დიდი ხნის პაციენტი გვყავს. გამოგვიძახებს, წნევას გავუსინჯავთ, წამალს დავალევინებთ, მშვიდდება და მოვდივართ. ერთხელაც მორიგი გამოძახება იყო და მივედით. ხელის აწევით მივესალმე, წნევის აპარატი ამოვიღე და ვუსინჯავ წნევას, ცოტა აწეული ჰქონდა, წამალიც დავალევინე, რჩევებსაც ვაძლევ, მაგრამ ეს ნაცნობი პაციენტი ცოტა უცნაურად მიყურებს. თურმე, იმავე ქუჩაზე, იმავე სახელით მეზობელი ცხოვრობს, რომელსაც აუტანელი თავის ტკივილი აწუხებდა. ასე „გამოვაჯანმრთელეთ“ ძველი პაციენტი, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ არაფერი სჭირდა, უფასო დახმარებაზე უარი მაინც არ უთქვამს.



### კაცი გამოძახებით

ერთხელაც, ღამის საათებშია გამოძახება. რა თქმა უნდა, მივედით და გვხვდება დაახლოებით 35 წლის ქალი. აქედან მოუარა, იქიდან მოუარა, მაგრამ ვერაფრით გვითხრა, რა უნდოდა. ჩვენც თავი გავისულელეთ. ბოლოს რაღაც მცირე მიზეზი გამოჩხრიკა და გვითხრა, რატომ გამოგვიძახა. ჩვენც წამალი მივეცით. წყლის დასალევად რომ გავიდა, თანამშრომელი მთავაზობს, თუ გინდა დაგტოვებო. დილის 4 საათი იყო, აქეთ სახმარი ვიყავი, თუ ძმა ხარ აქ არ დამტოვო-მეთქი. ამას ვეუბნები, თან სახელოზე ვექაჩები და გავდივართ, ამ დროს სამზარეულოდან გამოდის პაციენტი და სევდიანი ხმით გვეუბნება, უი, უკვე მიდიხართ? კარგით, მაშინ ტაქსის დავურეკავო.

### ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო

ერთი ქალი საავადმყოფოში გადავიყვანეთ, სადაც წვეთოვანი დაუდგეს. ამ ქალს წვეთოვანის იდეა ეცოტავა და გაბრაზებულმა ჩხუბი დაიწყო, მომხსენით ეს რაღაცები, მეტი არაფერი იცით, წვეთოვანს დადგამთ და ველოდო ახლა, ეს როდის ჩაიცლებაო. მე ვამშვიდებ, ქალბატონო აუცილებელია, მოიცადეთ, დამშვიდდით. ამ დროს მოვიდა იმ საავადმყოფოს ექიმი და ძალიან სერიოზული ხმით ეუბნება – თქვენ გვერდით რომ ქალი წევს, ხომ ხედავთ? თქვენ რომ მოიხსნათ, ის იტყვის, მაგის წილიც მე გადამისხითო. უცებ გაყუჩდა ეს ქალი, ისევ დაწვა და კარგი, იყოს, გადავისხამო.

## ქეთევან ხვისტანი:



### სიყვარული ყველას უნდა

ერთ-ერთ გამოძახებაზე მივედით და დაგვხვდა დაახლოებით 40 წლის მარტოხელა ქალი. ქალი ექიმები რომ დაგვინახა, ეგრევე მოგვახალა, თქვენ რატომ მოხვედითო. გაუმართლა, რაღაც დაეკარგა, მიზეზი ჰქონდა და რახან სასწრაფომ იმედები ვერ გავუმართლეთ, არა უშავს, პატრულს დავურეკავო. მოვიდა პატრული და კითხულობს, რა გნებავთ, ქალბატონოო. ამან კიდევ არც აცია, არც აცხელა, მივარდა და რა მინდა და კაცი მინდაო. ამ დროს პატრულს უკან კრიმინალური სამსახური მოჰყვა. საქმის დასასრულს აღარ დავსწრებივართ.

*****

ერთხელაც ცხვირიდან სისხლდენის გამო გამოგვიძახეს. მივედით და გურული ქალი დაგვხვდა. კაკანებს, მაგრამ რას კაკანებს, რას ჰქვია, სისხლი წამომივიდა, ასეთი რამ არასოდეს დამმართნიაო. მოკლედ, ისეთი აღშფოთებულია, გაჩერებას არ აპირებს. სანამ წყალბადის ზეჟანგიანი ბამბით დავუმუშავებდი და სისხლდენას შევუჩერებდი, დამამშვიდებელი უნდა გამეკეთებინა. შემეშალა და დასაძინებელი წამალი გავუკეთე. ეს ქალი არ ცხრება, ისევ ქოთქოთებს, უცებ, ნელ-ნელა ლაპარაკი შეწყვიტა და გაითიშა. გადაირია ოჯახი, რა გაუკეთეთო. წავიშინე თავში ხელი, ვაი შენს ქეთევანს-მეთქი, მაგრამ სიმშვიდე შევინარჩუნე და ვუთხარი, ახლა ქალბატონი გამოიძინებს, დამშვიდდება, მე კი, ამასობაში მშვიდად ვიმუშავებ და სისხლდენას შევუჩერებ-მეთქი. გამიმართლა, დამიჯერეს.



*რუბრიკა მოამზადა დარინა ქამადაძემ*

# ვის გასაცნობად მიდის რუსეთში მაიკო კაჭკაჭიშვილი გახდომის შემდეგ



ქართველი ქალების ახალი გულთამპყრობელის, სტანისლავ ბონდარენკოს განხილვა სოციალურ ქსელში კვლავ აქტუალურია. მისი თაყვანისმცემლების რიცხვს კომპოზიტორი და მომღერალი, მაიკო კაჭკაჭიშვილი შეემატა, რომელიც „ფეისბუკის“ პირად გვერდზე სტატუსს აქვეყნებს:

„წავედი მე რუსეთში, უნდა მივაღწიო სასწაულ წარმატებას და სტასი გავიცნო...

პ.ს. ჯერ უნდა გავხდე ოღონდ“, – წერს მაიკო კაჭკაჭიშვილი და მისი და სტასის დამონტაჟებულ ფოტოს აქვეყნებს.

*newposts.ge*

# „ზუსტად ესაა ჩემი უზარმაზარი სიყვარული, რომელსაც შენ ჩემი თვალებიდან ხედავ და არა სტატუსებიდან!“



ნინი წიკლაურისა და მისი ბებოს დიდი სიყვარულის შესახებ ალბათ, ბევრმა იცის. მას არაერთხელ გამოუხატავს თბილი გრძნობები ინტერვიუებში და უთქვამს, რომ ის ბებიამ გაზარდა. მომღერალმა ბებოს ემოციური პოსტი მიუძღვნა.

– ლიანა ბაქანიძე, შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ დედამიწის ზურგზე... ამ პოსტს ვერ ნახავ, რადგან არც ფაცებოოკ გაქვს და არც სხვა სოცქსელი, მაგრამ ზუსტად ესაა ჩემი უზარმაზარი სიყვარული, რომელსაც შენ ჩემი თვალებიდან ხედავ და არა სტატუსებიდან. მიყვარხარ და ეს სიტყვა არ მყოფნის იმ სიყვარულის ასახსნელად, რასაც შენდამი ჩემი დაბადების დღიდან განვიცდი. შენ ბევრად მეტი ხარ, ვიდრე სიყვარული. მადლობა, რომ შემაძლებინე, როგორ მიყვარდე...

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ალასკაში მგლების ხროვამ ქალი და ახალშობილი გადაარჩინა



აშშ-ის ალასკას შტატში დიდ თოვლში მოხვედრილი 25 წლის მერი კრანიკი და მისი ახალშობილი მგლების ხროვამ გადაარჩინა.

ქალი რვა თვის ორსული იყო, როდესაც მანქანით სახლში ბრუნდებოდა. ძლიერი თოვლის გამო მისი მანქანა გაიჭედა. მერის იმედი ჰქონდა, რომ სხვა მანქანა წაიყვანდა, მაგრამ მოძრაობა ამ მონაკვეთზე პარალიზებული იყო.

25 წლის ქალი იხსენებს, რომ ის მანქანიდან გადმოვიდა და ფეხით დაახლოებით ერთი კილომეტრი გაიარა, რა დროსაც მას მშობიარობა დაეწყო. მერიმ შეამჩნია ადგილი, სადაც ნაკლები თოვლი იყო, იქამდე ძლივს მიაღწია და ტკივილისგან გონება დაკარგა.

„როდესაც აზრზე მოვედი, თავი უზარმაზარი მგლის ზურგზე მედო, სავარაუდოდ, ის ხროვის ბელადი იყო. დანარჩენმა მგლებმა ალყა შემომარტყეს და ქარისგან მიცავდნენ. მე შეშინებაც ვერ მოვასწარი. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ ბავშვი გავაჩინე. ერთ-ერთმა მგელმა ჭიპლარი გადაღრღნა და შემდეგ ბავშვი ალოკა. მერე მგლები მეხუტებოდნენ და მათბობდნენ“, – იხსენებს მერი.

ახალგაზრდა დედა ამბობს, რომ მგლებმა ის საკუთარი ხროვის წევრად ჩათვალეს. გარკვეული დროის შემდეგ მერის ნაცნობებმა მისი მიტოვებული ავტომობილი აღმოაჩინეს და მერის ძებნა დაიწყეს. როდესაც მგლების ხროვა შენიშნეს, იფიქრეს, რომ „საშინელება მოხდა“.

მათ სროლა დაიწყეს. მგლები გაიქცნენ და ამ დროს ადგილზე მისულებმა მერი და მისი ახალშობილი აღმოაჩინეს. მერი იხსენებს, რომ მგლები შორს არ გაქცეულან. ისინი ტყიდან უყურებდნენ, როგორ გადაჰყავდათ ის და ბავშვი მანქანაში. მარი კრანიკი ამბობს, რომ ის და პატარა ბილი აუცილებლად მივლენ იმ ადგილზე, რათა მგლებს კიდევ ერთხელ შეხვდნენ.

„დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მოვლენ“, – ამბობს მერი.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ვინ კვებავს დუმას — მთავარი მზარეულის ფოტოებმა რუსული ინტერნეტსივრცე ააფეთქა



რუსულ სოციალურ ქსელებში ირინა ვოვკი ვარსკვლავი რამდენიმე საათში გახდა. ქალი სახელმწიფო დუმის მთავარი მკვებავია – იგი იმ კვების კომბინატს ხელმძღვანელობს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ემსახურება. ვოვკის გარეგნობა მთელი ქვეყნის სასაუბრო თემა მას შემდეგ გახდა, რაც **Единая Россия**-ს დეპუტატმა ალექსანდრე ხინშტეინმა მისი ფოტო „ტვიტერის“ პირად გვერდზე განათავსა წარწერით: „დუმის მთავარი მზარეული. ახლა დუმაში მეტი გემრიელობა და მხიარულება იქნება“.

მთავარი მზარეულის საკმაოდ „მადისაღმძვრელი“ ფოტოები დეპუტატმა ვოვკის პირადი გვერდიდან მოიპარა, შემდეგ კი ქალის სოციალურ ქსელს ინტერნეტმომხმარებლები შეესივნენ და პირად გვერდებზე გააზიარეს.

გულახდილ ფოტოებს ასობით კომენტარი მოჰყვა: „...და რუს დეპუტატებს რძის პროდუქტის მიღებაზე აღარ ექნებათ სადარდებელი“, „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დუმა ძუძუთი უნდა კვებოს“, „გოსდუმას გულახდილი დრესკოდი ჰქონია“, „ამას პირველს შეჭამენ. იმპორტის აკრძალვის პირობებში შიდა პროდუქტით „იკვებებიან“ ალბათ“, – წერენ რუსი ინტერნეტმომხმარებლები. ასეთმა მოულოდნელმა პოპულარობამ, როგორც ჩანს, ვოვკი შეაშინა: ქალმა პირადი პროფილი გააუქმა.

რაც შეეხება დეპუტატებს, ისინი ახალი საკვებით არც ისე კმაყოფილნი არიან და ამბობენ, რომ ვოვკის მოსვლა სამზარეულოს დაეტყო: სოუსებს აღარ ამზადებენ, სუპებში კი არაჟანს არ ამატებენ. საინტერესოა, რომ კვების ხარისხის გაუარესების საკითხი დეპუტატებმა სახელმწიფო დუმის საბჭოზეც კი გაიტანეს. ახალი ხელმძღვანელობა არც სასადილოს თანამშრომლებს ეხატებათ გულზე.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## „არასოდეს მინდოდა, შვილები მყოლოდა“ — ანჯელინა ჯოლის მოულოდნელი აღიარება



ჰოლივუდის ვარსკვლავმა და მსოფლიოს ერთ-ერთმა ულამაზესმა ქალმა, 40 წლის ანჯელინა ჯოლიმ ინტერვიუში გაკეთებული მოულოდნელი განცხადებით, მკითხველი გაოგნებული დატოვა. 6 შვილის დედამ განაცხადა, რომ მას არასოდეს სურდა, შვილები ჰყოლოდა.

„ძალიან უცნაურია, მაგრამ არასოდეს მინდოდა, შვილი მყოლოდა. არასოდეს მინდოდა, ორსულად ვყოფილიყავი. ვერასდროს აღვიქვამდი თავს მომავალ დედად“, – განაცხადა ჯოლიმ.

როგორც მსახიობმა ისაუბრა, 15 წლის წინათ მისი გეგმები და შეხედულებები რადიკალურად განსხვავებული იყო, რომელთა შეცვლა 2001 წელს კამბოჯაში პირველმა ვიზიტმა განაპირობა.

„კამბოჯაში ფილმის გადაღებებზე ვიმყოფებოდი, სადაც სკოლის მოსწავლეებს შევხვდი. უცებ ვიგრძენი, რომ ჩემი მომავალი შვილი ამ ქვეყანაში ცხოვრობდა“, – განაცხადა ჯოლიმ. სწორედ კამბოჯაში გადაწყვიტა მსახიობმა, გაეროს მშვიდობის ელჩი გამხდარიყო და 2012 წელს პირველი ბავშვი იშვილა.

ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი 6 შვილის მშობლები არიან, აქედან 3 – აყვანილი, 3 კი მათი ბიოლოგიური შვილია.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## არგენტინაში დამსვენებლებმა დელფინი მოფერებითა და სელფების გადაღებით მოკლეს



ფოტომანია სერიოზული პრობლემაა არა მხოლოდ ადამიანებისთვის, არამედ უკვე ცხოველებისთვისაც. სელფის მოყვარულებისთვის მთავარია, რამე ობიექტი შენიშნონ და მორჩა, მთელ დღეს მობილურს ხელიდან ვერ გამოგლეჯ. არგენტინაში, სანტა-ტერეზას სანაპიროზე დამსვენებელ, სელფმოყვარულთა ერთ-ერთი მსხვერპლი პატარა დელფინი გახდა. დამსვენებლები იმდენ ხანს იღებდნენ ფოტოებს და დელფინს აწვალებდნენ, სანამ პატარა არსება გაუწყლოებისგან არ მოკვდა. უსარგებლო ობიექტი კი ადგილზევე მიატოვეს.

მომხდარის შესახებ ცხოველთა დაცვის ადგილობრივმა ორგანიზაციამ გაიგო. მათი განცხადებით მკვდარი დელფინი ფრანცისკანული ჯიშისაა, რომელიც მხოლოდ არგენტინაში, ურუგვაისა და ბრაზილიაში გვხვდება. ძალიან მგრძნობიარენი არიან და დაცვას საჭიროებენ. მსოფლიო მასშტაბით დაახლოებით 30 ათასია დარჩენილი. ხშირად, სხვა თევზებისთვის განკუთვნილ ბადეში ხვდებიან და იღუპებიან.

„ეს დელფინები, როგორც სხვა დანარჩენები მშრალ ადგილას დიდხანს ვერ ძლებენ. მათ სქელი, ცხიმოვანი კანი აქვთ, რაც ზღვაში გაყინვისგან იცავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წყლის გარეშე, გაუწყლოება მარტივად ემართებათ და კვდებიან“, – განაცხადა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## გერმანელი ლიბერალი ქალი, რომელიც იმიგრანტებმა გააუპატიურეს, მოძალადეებს ბოდიშს უხდის



27 იანვარს გერმანიის ახალგაზრდა მემარცხენეების პარტიის წევრი 24 წლის გოგონა მანჰეიმში სამმა იმიგრანტმა გააუპატიურა.

საპასუხოდ ძალადობის მსხვერპლმა „გულისამაჩუყებელი“ წერილი გამოაქვეყნა, სადაც მასზე მოძალადეებს ბოდიშს უხდიდა იმ რასიზმის გამო, რომლის ატანაც მათ გერმანიაში უწევთ.

„ბედნიერი ვარ, რომ აქამდე მოაღწიეთ, რომ გამოექეცით „ისლამურ სახელმწიფოს“ და ომი უკან მოიტოვეთ, რომ არ დაიღუპეთ ხმელთაშუა ზღვაში, მაგრამ ვშიშობ, აქაც არ ხართ უსაფრთხოდ. ლტოლვილთა ცენტრების დაწვა, ძალადობრივი შეტევები ლტოლვილებზე, ყოველთვის ვებრძოდი ამ ყველაფერს.

მე მინდა ღია, მეგობრული ევროპა. ევროპა, სადაც ცხოვრება მინდა, სადაც ჩვენ ყველანი უსაფრთხოდ ვიქნებით.

თქვენ უსაფრთხოდ არ ხართ იმიტომ, რომ ჩვენ რასისტულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. მე უსაფრთხოდ არ ვარ იმიტომ, რომ ჩვენ სექსისტურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, მაგრამ ყველაზე მეტად იმის მეშინია, რომ ჩემზე ძალადობის სექსისტური აქტი თქვენ მიმართ მეტ და მზარდ აგრესიულ რასიზმს გამოიწვევს.

მე არ გავჩერდები, არ ვიქნები უმოქმედოდ და არ მივცემ უფლებას რასისტებსა და შეშფოთებულ მოქალაქეებს, თქვენ პრობლემად წარმოგაჩინონ. თქვენ სულაც არ ხართ პრობლემა. თქვენ მშვენიერი ადამიანები ხართ, ვინც თავისუფლებასა და დაცულობას ისევე იმსახურებს, როგორც ყველა. მადლობა, რომ არსებობთ და სასიამოვნოა თქვენი აქ ყოფნა“, – წერს ლიბერალი ქალი.

**whitegenocideproject.com**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩაიხედეთ სარკეში, დააკვირდით ტუჩებს და გაიგეთ სიმართლე თქვენ შესახებ




1. თქვენზე ხშირად ამბობენ, რომ ქალი-შოკი ხართ.

თამამად შეგიძლიათ სერიოზულ ავანტიურაზე წახვიდეთ. არ ამბობთ უარს თანამედროვე შესაძლებლობებზე და მეგობარი მამაკაცის გვერდით ყოლა თქვენს სტატუსს უფრო ამაღლებს.

2. რომანტიკული პიროვნება ხართ. ხშირად ვერ აკონტროლებთ ემოციებს და გაითვალისწინეთ, რომ ამის გამო თქვენზე, სამწუხაროდ, ხშირად იცინიან.

3. თქვენი კრედოა ყველაფერი ან არაფერი. ასეთი დამოკიდებულება ხშირად გიქმნით პრობლემებს და ყველაზე ცუდი ისაა, რომ გამოსწორებას იშვიათად ახერხებთ.

4. უბრალოდ, არ შეგიძლიათ, რომ ყურადღების ცენტრში არ იყოთ. შეიძლება გაგიჟდეთ, რომ ღონისძიებაზე ან უცხო გარემოში ყურადღება არ მოგაქციონ. გაითვალისწინეთ, რომ თქვენნაირი ტუჩები სხვებსაც აქვთ და ისინიც ასე იბრძვიან.

5. ძალიან მყარად დგახართ, ცხოვრებისეულ სირთულეებს პრაგმატულად უდგებით და შესანიშნავად აგვარებთ. კარგია, თუ ასეთ დამოკიდებულებას სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებთ, მკაცრი იმიჯი ცუდი სულაც არაა თქვენი კარიერისთვის.

6. იმდენად მებრძოლი ხართ, რომ გარშემომყოფთ ხშირად აშინებთ. ამის გამო მამაკაცებიც გიფრთხიან და გიჭირთ მეორე ნახევრის მოძებნა.

**etanews.ge**

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ... მაკედონელი
2. იგი ცნობილია თავისი ქუსლით
3. შხამიანი გველი
4. საზღვაო ფლოტის მეთაური
5. მწერალი მიხეილ ...
6. ნასესხები ფული
7. ქალაქი სამეგრელოში
8. ... ბეგაშვილი
9. ნილოსის დუმფარა
10. ძვირფასი ქვა
11. ბრინჯის კერძი
12. ღლავი
13. წყლის შინაური ფრინველი
14. ლაბორატორიის თანამშრომელი
15. მხ/ფ „ჯაზში მხოლოდ ... არიან“
16. ზამბახი
17. ჯოხი ძუითა და კაუჭით
18. ცალ ფეხზე ხტომა
19. სისხლძარღვი
20. ქალაქის მუნიციპალიტეტი
21. „... კარგო ქვეყანავ“
22. მსახიობი ... გარდნერი
23. მკაცრი ცხოვრების წესის მიმდევარი
24. სრუტე პა-დე-...
25. მქუხარე ტაში
26. სიახლე ჩაცმულობაში
27. მსახიობი ... აფლეკი
28. მდინარე პარიზში
29. ექს-პრეზიდენტი ფრანსუა ...
30. ტაილანდის ძველი სახელწოდება
31. ფრაზა-მოწოდება
32. პომიდვრის ნერგი
33. განთიადი
34. მექსი-კური არაყი
35. თავისუფალი ქცევის ქალი ძვ. საბერძ.
36. ვიოლინოების იტალიელი ხელოსანი
37. ორელექტროდიანი მილაკი
38. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
39. „ადამიანი ამფიბია“ პერსონაჟი
40. ამ ქალაქშია სვეტიცხოველი
41. მსახიობი ... ანჯაფარიძე
42. კუბური ცეკვა
43. დონ კიხოტის ცხენი
44. ანტილოპას სახეობა
45. გამოუწვავი აგური
46. მ.ქ.კ. ანუ ... ქმედების კოეფიციენტი
47. მსახიობი ... რურკი
48. ქართ. ფილმი ზღაპარი
49. უანგარო დახმარება
50. მსახ. ... ბეგალიშვილი
51. სრუტე ხმელთაშუა ზღვაზე
52. ფრინველის სამყვდევი
53. ბიბლიური პატრიარქი
54. თავადაზნაურული ტიტული ინგლისში
55. კომპოზიტორი ედვარდ ...
56. ლუდის ხელიანი სასმისი
57. ჟანკლოდ ... დამი
58. პოეტი ... ბარტო
59. რეჟისორი ... იოსელიანი
60. თბილისის უბანი
61. სლავური ანბანი
62. არქიპელაგი გიგანტური კუებით
63. მომღერალი ... ტატიშვილი
64. მხ/ფ „... ჭაბუკი“
65. მეფის ვაჟი
66. მოგზაური ... პოლო
67. მამლის ფორმის კარამელი
68. იტალიელების გმირი ჯუზეპე ...
69. ხელით ნაკეთი, ანუ ...
70. მეჭეჭების მოსაწვავი სითხე
71. ლატვიის დედაქალაქი
72. მიწის თხილი
73. რქამოკლე საქონელი
74. წყლის შინაური ფრინველი
75. მკვეთრი განსხვავება
76. მსახ. სილვესტერ ...
77. საინიექციო მინის ფლაკონი
78. მუხის ნაყოფი
79. მსახიობი ... ჯინორია
80. მოულოდნელი საჩუქარი
81. ერთგვარი ბორანი
82. ტყის ფრინველი
83. სარძევე ჯირკვლების ანთება
84. კაკლის საბერტყი ჯოხი
85. ცვილის ქანდაკებების მუზეუმის შემქმნელი
86. ღომის მოსაზელი ჯოხი
87. სიტყვათა წარმოთქმის მანერა
88. მზის სხივი
89. ვაჭრების დასახლება სპარსეთის ქალაქებში
90. „ერი ..., გულადი, მებრძოლი შავის ბედისა“
91. ბალზაკი. „მამა ...“
92. მსახიობი კამერონ ...
93. საჭმელად ვარგისი სოკო
94. ყურძნის ჯიში
95. ხის ქერქქვეშა ნაწილი
96. მწნილი
97. არაბეთის ემირატების დედაქალაქი
98. დახლართული გასასვლელები
99. სასამართლოს გადაწყვეტილება
100. მთაში გაყვანილი კომუნიკაცია
101. ინერტული აირი
102. „ჰამლეტი“ პერსონაჟი
103. ამერიკული ავტომობილი
104. მომღერალი ... ოსბორნი
105. მხ/ფ „უცხო“ სიგურნი უივერი
106. ჭოკითმხტომელი სერგეი ...
107. „კაცი რომელიც იცინის“ გოგონა
108. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი
109. ძვ. თბილისური მიმართვა
110. რეჟისორი კინგ ...
111. ხის ხელოსანი
112. სიმებიანი მუსიკ. ინსტრუმენტი
113. თხევადი ქონი, ცხიმი
114. მევიოლინე ლიანა ...
115. ... პოპესკუ გოპო
116. მრავალშრიანი ფანერა
117. სასოფლო-სამეურნ. იარაღი
118. დაბალფასიანი
119. ოთახი. არიგებდნენ ფულს
121. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
122. ...-ვეგასი
123. თავის ჩონჩხი
124. ლონდონის ცენტრი
125. გამის ნოტი
126. იოგებით გამოცემული ბგერა
127. შტატი აშშ-ში
128. მარცვლოვანი მცენარე
129. ილუზიონისტი
130. ვაჟიშვილი
131. ზეთზე მომწვარი კვერი
132. მსახიობი ... ტაილერი
133. მსახიობი ... ბესინჯერი
134. განგსტერი ... კაპონე
135. სახეზე ამოსული თმა
136. გოგოლის მოთხრობა
137. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
138. ხელოსნების გაერთიანება ძველად
139. მსახიობი ... ჰაიეკი
140. ქართ. ასტრონომი ევგენი ...



## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას



საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი მწუხარებას გამოთქვამს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის თანამშრომლის

### ოთარ ყურაშვილის

ტრაგიკული გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

ოთარმა, როგორც გამორჩეული პიროვნული თვისებებით შემკულმა პერსპექტიულმა ახალგაზრდამ და თანამშრომლებისთვის საიმედო თანამებრძოლმა, დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა ჩვენს გულებში. მისი ხსოვნა მუდამ ტკივილიანი იქნება ყოველი ჩვენგანისთვის

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

## მეცნიერულად დამტკიცებულია — დადებითი მოგონებები ციდან მოდის



თუკი გსურთ, რომ ტკბილი მოგონებების სადღეგრძელოს თქმა განსაკუთრებით მომხიბვლელად გამოგივიდეთ, გირჩევთ, ამ დროს თვალები ცაში აღაპყროთ, გარეგნულადაც უფრო შთამბეჭდავი იქნებით და თქვენს მჭევრმეტყველებასაც უფრო მეტი დამფასებელი გამოუჩნდება. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც ჰოლანდიელი მკვლევარები განმარტავენ, თუკი ადამიანს სურს, რომ გული დადებითი მოგონებებით გაიხალისოს, ამისთვის მზერის ცისკენ მიმართვაა საჭირო.

კერძოდ, მაქს პლანკ დანიელის სახელობის ფსიქოლოგიური უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ადამიანური ემოციები და დედამიწის ვერტიკალური მოდელი გააერთიანეს და იმის დადგენას შეეცადნენ, როგორ ხდება მოგონებების ერთად თავმოყრა და აღქმა.

ცნობილია, რომ, როცა ადამიანები დადებით და უარყოფით ემოციებზე საუბრობენ, ხშირად იყენებენ მეტაფორულ გამოთქმებს. მაგალითად, „ბედნიერებისგან ცას ვეწიე“, ან „უბედურებამ მიწაზე დამანარცხა“... ჰოლანდიელი მეცნიერებისთვის ამოსავალი წერტილიც სწორედ ეს გამონათქვამები გახდა და: მოხალისეების ერთ ჯგუფს კუბურების მაქსიმალურ სიმაღლეზე დალაგება დაევალა, მეორეს კი – მათი მიწაზე დაწყობა. პარალელურად, მათ უსვამდნენ კითხვებს წარსულზე და ემოციები კომპიუტერის დახმარებით იზომებოდა. დასასრულ, აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფი, რომელიც კუბურებს სიმაღლეზე აწყობდა და შესაბამისად, მზერაც ცისკენ ჰქონდა მიპყრობილი, წარსულიდან, ძირითადად, დადებით მოგონებებზე საუბრობდა, კუბურების მიწაზე დამწყობებს კი უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი ემოციები ეძალებოდათ.

ჰოდა, მეცნიერებმა დასკვნაც შესაბამისი გამოიტანეს...

*myjane.ru*

## ახლად აღმოჩენილი ნივთიერება ადამიანს აღარც გაასუქებს და აღაც დააბერებს



მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის პროფესორს, ლეოპარდ ჰარენტს აღმოუჩენია პროტეინი, სახელწოდებით „სირტლი“, რომელიც ადამიანის ორგანიზმს აძლევს ბრძანებებს, საჭიროების შემთხვევაში, შეინახოს მთელი ცხიმი, ან მის გახარჯვაზე იზრუნოს ისე, რომ წონაში მატება არ მოხდეს.

მეცნიერებისთვის დიდი ხნის მანძილზე ცნობილია, რომ ძუძუმწოვრები უსაზღვრო რაოდენობის საკვებს იღებენ და ამის მიუხედავად, არც წონაში იმატებენ და საშიში დაავადებებითაც, ფაქტობრივად, არასოდეს იტანჯებიან. როგორ და რა გზებით ხდებოდა ამის მიღწევა, უცნობი იყო იქამდე, ვიდრე ლეოპარდ ჰარენტმა და მისმა კოლეგებმა „სირტლი“ არ აღმოაჩინეს.

საქმე ისაა, რომ ძუძუმწოვრების ორგანიზმში ცილები და ნახშირწყლები, ფაქტობრივად, წამიერად იწვება, ცხიმი კი თეთრი ცხიმოვანი ქსოვილის უჯრედებში ინახება. როცა ცხოველი კალორიების ნაკლებობას განიცდის, ამ დროს საქმეში ცხიმების მარაგი ერთვება და ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარეგულირებას იწყებს. ამერიკელების აზრით, ეს ყველაფერი სწორედ „სირტლის“ ხარჯზე ხდება, რომელსაც შეუძლია რეცეპტორების იმგვარად კონტროლი, რომ ზედმეტმა კალორიებმა წონის მატება არ გამოიწვიოს.

მოკლედ, ამერიკელების დასკვნა მართლაც საიმედოა, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მათ კვლევები მხოლოდ ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს და რამდენად შეიძლება ამ ყველაფრის ადამიანებთან დაკავშირება, ჯერჯერობით დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით.

*factroom.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**19 თებერვალი:** იმდენად თავქარიანი იქნებით, რამდენის შესაძლებლობასაც ასაკი და თქვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა მოგცემთ. ზომიერება არ დაარღვიოთ.

**კურო 22.04-21.05**

**19 თებერვალი:** არავითარ შემთხვევაში დინებას არ მიჰყვეთ. როგორც არ უნდა გეზარებოდეთ და მაქსიმალურად იაქტიურეთ და არ მოდუნდეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**19 თებერვალი:** აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილების მისაღებად შეიძლება ძალიან დიდხანს იფიქროთ. მხოლოდ ლოგიკას ნუ დაეყრდნობით, ინტუიციაც გამოიყენეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**19 თებერვალი:** შეეცადეთ, ფიზიკურად მაქსიმალურად დაიტვირთოთ, წაგადგებათ. რომ არ მოიწყინოთ, ამ საქმეში თქვენი ახლობლებიც ჩართეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**19 თებერვალი:** გარშემომყოფნი იმით უფრო დაინტერესდებიან, რას აკეთებთ ამ მომენტში და არა თქვენი სამომავლო გეგმებით. არავის არაფერი გაუმხილოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**19 თებერვალი:** თუ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გაწუხებთ, დღეს მისი თავიდან მოცილების შანსი მოგეცემათ.

**სასწორი 23.09-22.10**

**19 თებერვალი:** შესაძლოა, დღეს თქვენი საიდუმლოებებიდან ბევრი რამ გამჟღავნდეს. იმედია, ეს წაგადგებათ და თქვენს სასარგებლოდ გამოიყენებთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**19 თებერვალი:** სისულელეა მოწინააღმდეგესთან კამათი, თუკი მისი არგუმენტები შეუვალია. საკუთარი შეცდომის აღიარება მოგიწევთ და რაც მალე იზამთ ამას, მით მალე დაივიწყებენ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**19 თებერვალი:** შეიძლება თქვენი აზრი მოულოდნელად საწინააღმდეგოდ შეცვალოთ. არ შეგეშინდეთ ამ ცვლილების, თქვენ არაფერ შუაში ხართ, დღეა ასეთი.

**თხის რქა 22.12-19.01**

**19 თებერვალი:** დღეს თქვენთვის სასურველი ნელი ტემპის შენარჩუნებას ვერ შეძლებთ. ვითარება მუდმივ აქტიურობას გაიძულებთ და დასვენებას ვერ შეძლებთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**19 თებერვალი:** შეეცადეთ, იმხიარულოთ და დრო თქვენს გემოზე გაატაროთ. საკმარისად იმუშავეთ საიმისოდ, რომ კარგად დაისვენოთ.

**თევზები 19.02-20.03**

**19 თებერვალი:** ვინმეს საქმეში ჩარევა არავითარ შემთხვევაში არ სცადოთ. თქვენი სურვილი, რომ მავანს პრობლემა მოუგვაროთ, არ დაგიფასდებათ.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი (15 საათიდან)**

## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

**555 125 770; 596 777 773**

## ლიმონის წვენი თირკმლებში კენჭების დაგროვებისგან დაგიცავთ



ერთხელ მაინც თუ გამოუცდია ადამიანს აუტანელი ტკივილები, რომელსაც კენჭის გავლა იწვევს, ის აუცილებლად გააკეთებს ყველაფერს, თუ, რა თქმა უნდა, მაზოხისტი არ არის, რომ მეორედ მსგავსი რამ აღარ დაუშვას.

და როგორც კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტები ამტკიცებენ, ამ უსიამოვნების თავიდან აცილების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება ლიმონის ნატურალური წვენის სისტემატური მიღებაა.

კერძოდ, ახალი კვლევის შედეგად ამერიკელებმა დაადგინეს, რომ თირკმლების მკურნალობისთვის ნებისმიერ სითხეზე ეფექტური სწორედ ლიმონის წვენია.

– პაციენტები, რომლებიც ლიმონის წვენს რეგულარულად სვამდნენ, თირკმლებში კენჭის გავლის დაგროვების დონე 1,00-დან 0,13-მდე შეუმცირდათ, – განმარტავენ კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტები და მიზეზად იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ლიმონი სავსეა ციტრატებით, ნივთიერებით, რომელიც მარილებსა და კენჭებს ძალიან ადვილად შლის.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



თუ ცოლთან კამათის დროს შეიარაღებული ხარ მხოლოდ ლოგიკით, ფაქტებითა და საღი აზროვნებით, ჩათვალე, ძმაო, რომ წინ დიდი ბრძოლა გელის!..

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**გაზეთი „ალია“**

გამოდის ოთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.57